ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 4 ნოემბერი, 2013 №261 (6262) ფასი: 30 თეთრი

თინა ხიდაშელი: „სააკაშვილი საკუთარ პოლიტიკურ კუბოს სახურავს ძალიან ჩქარი ტემპით აჭედებს“ გვ.5

ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ აპირებს

ვინ დაიკავებს შს მინისტრის პოსტს გვ.3

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალებს გადარჩენის მხოლოდ ერთი შანსი აქვთ“ გვ.5

ვინ უნდა გარიყონ პარტიიდან

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გაყალბებულია“ გვ.4

სვანეთი საპროტესტო აქციებისთვის ემზადება

გვ.2

„ხუდონჰესის“ წინააღმდეგ ახალი კამპანია იწყება

დავით უსუფაშვილი: „ჩვენ არ ვხსნით საწარმოებს სამჯერ, არ ვჭრით ლენტებს ყოველდღე“ გვ.2

„რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში ბოლომდე დარჩება

„რუსეთი აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნას გეგმავს“ გვ.7

პატრიარქს ჰელმანდის პროვინციიდან ჩამოტანილი საქართველოს დროშა გადასცეს გვ.6

მიხეილ სააკაშვილი: „ბოლო დღეებს ყველა მიმართულებით მაქსიმალურად ვიყენებ“ გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი ბიბლიოთეკარი ვერ გახდება“ გვ.6

ISSN 1987-9385

2 ინტერპოლი ამოწმებს, არის თუ არა ზურაბ ადეიშვილი პოლიტიკური დევნილი

7 გიორგი ლაღიძე: „ახლო მომავალში სოციალური პრობლემები არ მოგვარდება“

2 გიორგი კარბელაშვილი: „ხუდონჰესის“ აშენება სვანეთის დასაფლავებაა“

2 პაატა ზაქარეიშვილი: „იმედია, სააკაშვილის მიერ ჩადენილი ბევრი ბოროტებიდან ახალაიას შეწყალება ბოლო იქნება“

სვანეთი საპროტესტო აქციებისთვის ემზადება

„ხუდონჰესის“ წინააღმდეგ ახალი კამპანია იწყება

შორენა მარსაგიშვილი

სვანეთში ვითარება ისევ იძაბება. ენერგეტიკის მინისტრის კაპრიზს აყოლილი ხელისუფლება ჯიუტად აცხადებს, რომ „ხუდონჰესი“ უნდა აშენდეს. საოცნებო ხელისუფლება იმის გაკეთებას აპირებს, რისი გაკეთება საბჭოთა კავშირმაც კი ვერ გაბედა. ჰესის აშენების იდეა თავში ნაციონალურ ხელისუფლებას მოუვიდა.

მოსახლეობა მაშინვე წავიდა გიგანტური ჰესების წინააღმდეგ. ეს მეოცნებეებმა საპარლამენტო არჩევნების წინ კარგად გამოიყენეს. „ქართულმა ოცნებამ“, ბიძინა ივანიშვილის თამადობით დადო პირობა, რომ საქართველოში გიგანტური ჰესები არ აშენდებოდა.

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება“-ს საარჩევნო პროგრამაში თუ ჩავიხედავთ, მე-4 თავში, „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება“, 54-ე გვერდზე წავიკითხავთ: „სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა“.

ახლა კი ივანიშვილი და მისი ენერგეტიკის მინისტრი ამბობენ, რომ ასეთი პირობა არასდროს დაუდიათ. არადა, ამის ამსახველი ვიდეო-მასალები არსებობს. კალაძემ ისე დაარწმუნა ივანიშვილი ჰესების აშენების აუცილებლობაში, რომ მან პატრიარქის თხოვნაც კი არ შეისმინა.

უკვე ნათელია რომ ხელისუფლება უკან არ დაიხევს. უკანდახევას არც სვანეთის მოსახლეობა არ აპირებს. გაჩერებას არც არასამთავრობო ორგანიზაციები აპირებენ. ამის გამო ისინი ენერგეტიკის მინისტრმა უკვე შეაჩვენა.

ჰესების მოტრფიალე მინისტრმა ის ხაიშელებიც შეაჩვენა, რომლებმაც ხატზე დაიფიცეს, რომ ჰესის აშენებას არ დაუშვებდნენ. ჰესის აშენების შემთხვევაში სვანეთში 7 სოფელი, სასაფლაოები, სალოცავები და ეკლესიები დაიტბორება. დაიტბორება ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაც. რომელიც 12 საუკუნეშია აგებული. სწორედ ამ ეკლესიაში დადეს სვანებმა იცი.

პროექტის მიხედვით, ხუდონჰესის წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 528 ჰექტარი იქნება. კომპლექსის გავლენის არეალში ხვდება შემდეგი სოფლები: ხაიშის თემიდან – ხაიში, იდლიანი, სკორმეთი, ლალხორალი, ტობარი, ლუხი, ქვედა წვირმინდი, ნაკი, დაკარი, შგედი, ლაჯრა, გაღმა ხაიში და ციცხვარი. ჭუბერის თემიდან – სოფელი ლახანი. გარდა ამისა, საპროექტო არეალში ხვდება 584 საფლავი.

ხაიშელებმა ჰესის წინააღმდეგ ხატზე პირველად მიმდინარე წლის 7 მაისს დაიფიცეს. შეფიცულებს სექტემბრის თვეში რამდენიმე ათეული ადამიანი შეუერთდა. გუშინ კიდევ 200 ადამიანმა დაიფიცა ხატზე.

გუშინ ხაიშის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, პროტესტს პერმანენტული ხასიათი მიეცემა.

„გრინფისის ჯგუფის“ ხელმძღვანელის ლაშა ჩხარტიშვილის განცხადებით, ხუდონჰესის მშენებლობის შედეგები ამ რეგიონისთვის შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს.

– მოვითხოვთ, რომ საქართველოში დიდი კაშხლები არ აშენდეს, მით უფრო უცხოეთში ელექტროენერგიის ექსპორტის მიზნით, რადგან ჩვენ, ისევე როგორც სვანეთის მოსახლეობა, არასდროს არ დავუშვებთ, რომ სამშობლო ფულზე გავყიდოთ. საქართველოს დიდი ჰესები არ სჭირდება, არსებული ჰესების გადაიარაღება კი ერთნახევარჯერ მეტ ელექტროენერგიას მოგვცემს, ვიდრე ხუდონჰესი, – განაცხადა ჩხარტიშვილმა

აქციას გუშინ სასულიერო პირებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყო ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მამა დემეტრე.

– იმედია ხუდონჰესთან დაკავშირებით ხელისუფლება ხალხის აზრს გაითვალისწინებს. ხალხი აღელვებული და გულნატკენია და ხელისუფლებამ მათი მოსაზრება უნდა გაითვალისწინოს. ხალხი აღელვებული და გულნატკენია. მათი პოზიციაა, რომ არ უნდა აშენდეს ხუდონი და ტაძარი არ უნდა დაიტბოროს. მთელი სვანეთი აქ არის. იმედია ხალხის აზრს გაითვალისწინებენ და უხეშად არ მოექცევიან, – განაცხადა მამა დემეტრემ.

როგორც ადგილობრივი სკოლის პედაგოგი აკაკი ზუმაძე აცხადებს, ფიცი არა მარტო ხაიშის, არამედ მთელი სვანეთის მცხოვრებლებმა დადეს. ფიცის ტექსტი შემდეგია: „ვფიცავ, არ დავიშურებ ძალ-ღონეს და ჭკუა-გონებას, რომ ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, სოფელი და სასაფლაოები წყალქვეშ არ მოექცეს. ფიცის სინამდვილეს ვადასტურებ ხელმოწერით“.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ ისინი არც ერთ შემთხვევაში არ დათანხმდებიან „ხუდონჰესის“ აშენებას. მათივე ინფორმაციით, იყო შეთავაზებები კომპენსაციებზე, თუმცა კონკრეტული შეთავაზება არ ყოფილა. თუმცა, მოსახლეობის თქმით, რა თანხაც არ უნდა შესთავაზონ, ხუდონჰესის მშენებლობას არც ერთ შემთხვევაში არ დათანხმდებიან.

კახა კალაძის განცხადებით, კი სვანეთის გადასარჩენად ხუდონჰესის პროექტი მნიშვნელოვანია.

– მე ნამდვილად ვერ დავარქმევ ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას მოსახლეობის განწყობას, რადგან ეს გარკვეული ჯგუფის ინტერესია. ხუდონის პროექტი ადვილი პროექტი არ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგობების გამო ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ყველაფერზე. ინტერესი არის ხე-ტყის უკანონო ჭრა და ჩვენ თუ გვინდა გადავარჩინოთ სვანეთი, გადარჩეს სვანეთის მოსახლეობა, ამისთვის მნიშვნელოვანია განხორციელდეს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, – განაცხადა კახა კალაძემ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ღია ეთერში“ სტუმრობისას.

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საინვესტიციო ღირებულება, მშენებლობის დროს გაწეული ფინანსური ხარჯების ჩათვლით, 1,2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ეს თანხა ექვს წელზე გადანაწილდება და წელიწადში 200 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელს დამატებით 1,1%-ით გაზრდის. ამასთან, ჰესის მშენებლობის ექვსწლიან პერიოდში (2014-2020) ქონების და საშემოსავლო გადასახადის სახით ქვეყნის ბიუჯეტში 157 800 000 ლარი შევა, რაც წელიწადში 26 300 000 ლარია.

პაატა ზაქარეიშვილი: „იმედია, სააკაშვილის მიერ ჩადენილი ბევრი ბოროტებიდან ახალაიას შეწყალება ბოლო იქნება“

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის მიერ თავდაცვის ყოფილი მინისტრის შეწყალება ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა.

„სამწუხაროდ, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტია, ის განაგრძობს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს. სულ ცოტა დრო დარჩა 17 ნოემბრამდე, მოვითმინოთ. რა თქმა უნდა, მას აქვს კონსტიტუციურად უფლებამოსილება, რომ შეიწყალოს პატიმარები, მათ შორის ბაჩო ახალაიაც. იმედი მაქვს, საქართველოს წინაშე მისი ჩადენილი ბოროტებიდან ეს ბოლი იქნება. ბაჩო ახალაიას კიდევ სხვა თემებზეც აქვს, ბრალდებები, აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ახალაია ასე იოლად ვერ დატოვებს საპყრობილეს“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

პირველი

გიორგი კარბელაშვილი: „ხუდონჰესის“ აშენება სვანეთის დასაფლავებაა“

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აღნიშნული პროექტის განხორციელების კატეგორიული წინააღმდეგია.

კარბელაშვილი მიიჩნევს, რომ ხუდონჰესის აშენებასთან დაკავშირებით ინვესტორ კომპანია „ტრანსელექტრიკასთან“ მემორანდუმის გაფორმება წინა ხელისუფლების შეცდომა იყო, რაც ახალმა ხელისუფლებამ არ უნდა გაიმეოროს.

„მე წინააღმდეგი ვარ ამ პროექტის განხორციელების და აქ ამიტომ ვიმყოფები. ასევე ჩემი ოჯახი და მეგობრები წინააღმდეგი არიან, რადგან ეს არის არა სვანეთის ჩაძირვა, არამედ სვანეთის დასაფლავება. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს პროექტი არ განხორციელდეს“, – განაცხადა კარბელაშვილმა.

რაც შეეხება კითხვას – დააფიქსირა თუ არა მან თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პროექტთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც „ტრანსელექტრიკასთან“ მემორანდუმის გაფორმება გადაწყდა, კარბელაშვილი პასუხობს, რომ იგი სხვა სფეროში მუშაობდა და აღნიშნულ საკითხთან შეხება არ ჰქონია. მისივე თქმით, დღეს რომ წინა ხელისუფლებას დაეწყო ამ პროექტის განხორციელება, იგი საწინააღმდეგო პოზიციას დააფიქსირებდა და ხალხის გვერდით დადგებოდა.

„იყო ჰესებთან დაკავშირებით ალტერნატიული პროექტები, რომლის მომხრეც ვიყავი. ხუდონჰესი კი მიუღებელია საქართველოსთვის და ამიტომ ყველა ხელისუფლებისთვის ასევე მიუღებელი უნდა იყოს“, – განაცხადა კარბელაშვილმა და დასძინა, რომ დასაქმება საჭიროა, მაგრამ არა ხალხის ხარჯზე.

კარბელაშვილი გუშინ ხაიშში ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგ გამართულ აქციას ესწრებოდა.

პირველი

ინტერპოლი ამოწმებს, არის თუ არა ზურაბ ადეიშვილი პოლიტიკური დევნილი

როგორც მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში სტუმრობისას განაცხადა, ყოფილი იუსტიციის მინისტრის ამბობს, რომ ის პოლიტიკური დევნის მსხვერპლია და ინტერპოლის სამდივნო დაინტერესებულია ეს გააარკვიოს.

„ის, რაც დღემდე ხდება, როგორც კეზერაშვილთან, ისე ადეიშვილთან დაკავშირებით, ეს იყო კომუნიკაცია ინტერპოლის სამდივნოსთან ძებნის გამოცხადებაზე. სამგზის ჰქონდა ამგვარ კომუნიკაციას ადგილი. დოკუმენტების ნაწილი გაიგზავნა, იყო კითხვები, მერე ისევ დოკუმენტები და ა.შ. ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება ინტერპოლის სამდივნოს არ მიუღია. ანუ როდესაც დასრულდება ეს პროცესი, მაშინ შეიძლება, ვისაუბროთ წარმატებულ, ან წარუმატებელ შედეგებზე. რადგან ინფორმაციის გამოთხოვა ხდება, ჩვენ ამაში ცუდს ვერ ვხედავთ. როგორც მოწერიდან ჩანს, ადეიშვილი აცხადებს, რომ ის პოლიტიკური დევნის მსხვერპლია და სამდივნო დაინტერესებულია გაარკვიოს, ეს ასეა თუ არა. ის ითხოვს ჩვენგან შესაბამის მტკიცებულებებს და ჩვენ მათ ვაწვდით“, -განაცხადა კბილაშვილმა.

პირველი

ეგეოსის ზღვაში ქართველ მეზღვაურთა გემი ჩაიძირა

ეგეოსის ზღვაში სატვირთო გემი „სტელა“ ჩაიძირა. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს. ტელეკომპანიასთან საუბრისას საქართველოს კონსულმა საბერძნეთის რესპუბლიკაში გიორგი არჩემაშვილმა აღნიშნული ფაქტი დაადასტურა და განაცხადა, რომ გემის ეკიპაჟზე ექვსი ქართველი მეზღვაური იმყოფებოდა. აქედან ხუთი მეზღვაური უკვე იმყოფება კუნძულ როდოსზე და მათ გაიარეს სამედიცინო შემოწმება. რაც შეეხება მეექვსე მეზღვაურს იგი ამ დროისთვის დაკარგულად ითვლება და მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

მედიანიუსი

დავით უსუფაშვილი: „ჩვენ არ ვხსნით საწარმოებს სამჯერ, არ ვჭრით ლენტებს ყოველდღე“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ხელისუფლება გაკეთებულ საქმეებს მოსახლეობას არ ამადლის, რადგან მიაჩნია, რომ ეს მათი ამოცანაა. ამის შესახებ დავით უსუფაშვილმა რესპუბლიკური პარტიის დღევანდელ ყრილობაზე განაცხადა.

„ჩვენ არ ვხსნით საწარმოებს სამჯერ, არ ვჭრით ლენტებს ყოველდღე, არ ვამადლით ხალხს იმას, რომ პენსიები გაიზარდა, რომ ყველა დაზღვეულია, რომ მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ გადეცათ. ასეთ საქმეებს მოქალაქეებს არ ვამადლით, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ამოცანაა. ეს არის ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა და ასე გაგრძელდება“, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

მედიანიუსი

„რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში ბოლომდე დარჩება

როგორც „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გუშინ პარტიის მე-15 ყრილობაზე განაცხადა, საქართველოში უპასუხისმგებლო პარტიების და პოლიტიკოსების ეპოქა დამთავრდა.

მისივე თქმით, „სადღაც გადამხტარ და შუა გზიდან გაქცეულ“ პოლიტიკოსებს პოლიტიკური კარიერის გაგრძელების შესაძლებლობა აღარ უნდა ჰქონდეთ.

„გპირდებით, კოალიციაში ვიქნებით საიმედო პარტნიორი, ვიქნებით ბოლომდე. ვიდრე კოალიციაში თუნდაც ერთი პარტია იქნება, იქნებიან „რესპუბლიკელებიც“, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

ქართლოს ღარიბაშვილმა იმდენჯერ იყარა კენჭი პრეზიდენტის პოსტზე, რომ ქვეყნის პირველი პირი ღარიბაშვილი გახდა. მართალია, იმ კაცს ირაკლი ჰქვია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ქვეყნის პირველი პირი ღარიბაშვილი იქნება.

ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერება ქვეყნისთვის ძნელი გამოსაცნობი არ ყოფილა. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებების წინასწარ განჭვრეტა ცოტა რთულია, მაგრამ ამჯერად ანალიზში შესვლა რთული არ აღმოჩნდა. არავის გაჰკვირვებია, რომ პოლიტიკიდან მიმავალმა მთავარმა მეოცნებემ ქვეყნის საჭე იმ ადამიანს დაუტოვა, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობა.

პოლიტიკაში მოსვლისთანავე ივანიშვილმა განაცხადა, რომ ამ სფეროდან მალე წავიდოდა. დანაპირები შეასრულა. პოლიტიკიდან 24 ნოემბერს წავა. ამ დღეს „ქართული ოცნების“ ყრილობა გაიმართება. ამ დღესვე მოხდება პარტია „ქართული ოცნების“ ახალი თავკაცის არჩევა. პარტიის თავმჯდომარის კანდიდატურასაც ივანიშვილი შეარჩევს. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ამ პოსტს.

სრულიად საქართველო სექტემბრიდან მოყოლებული ცდილობდა ივანიშვილის მემკვიდრის ვინაობის გამოცნობას. თავიდან ყველამ ეჭვი ირაკლი ღარიბაშვილზე მიიტანა, მაგრამ იმის გამო რომ შს მინისტრის პოსტიც მნიშვნელოვანი იყო, ამ კაცს თავი დაანებეს. დაიწყო სხვა კანდიდატურების ძიება. როგორც ამბობენ, ივანიშვილსაც გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება. ერთი პერიოდი ის გიორგი კვირიკაშვილის დასახელებას აპირებდა პრემიერად, მაგრამ შემდეგ რაღაც მიზეზით გადაიფიქრა. ეტყობა მოიძებნა ერთგული კადრი, რომლითაც შს მინისტრის პოსტზე ღარიბაშვილის ჩანაცვლება მოხდება.

ივანიშვილის შემცვლელის დასახელების თარიღი რამდენჯერმე შეიცვალა. და ბოლოს როგორც იქნა, ჩამოჰკრა ნანატრმა საათმა. 2 ნოემბერს პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომაზე ივანიშვილმა თავის მემკვიდრედ შს მინისტრი დაასახელა. საპარლამენტო უმრავლესობა და მინისტრები ამ სიახლეს ტაშით შეხვდნენ. ივანიშვილის განმარტებით ეს არ ყოფილა კომუნისტური ტაში.

ქვეყნის მთავარი მეოცნებე დარწმუნებულია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი კარგი პრემიერი იქნება. მისი თქმით, ამ ახალგაზრდამ შს სამინისტროში სასწაული მოახდინა ერთ წელში და ევროპული ტიპის პოლიცია ჩამოაყალიბა

– გაკეთდა სწორი არჩევანი, აბსოლუტური უმრავლესობა დაეთანხმა ამ არჩევანს და ეს ნაწილობრივ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. მან ყველასგან კარგი დამოკიდებულება დაიმსახურა. პოლიციას აბსოლუტურად დაკარგული ჰქონდა ნდობა და იმიჯი და ასეთი პოლიციისგან ევროპული ტიპის პოლიცია მივიღეთ. ჩვენ დღეს ვამაყობთ ჩვენი პოლიციით, ისინი გულწრფელად ემსახურებიან საქართველოს და ამაში ლომის წილი ირაკლის ეკუთვნის. ის იქნება ღირსეული პრემიერ-მინისტრი, თქვენ მასზე ბევრი რამე იცით, ჰყავს ძალიან კარგი მეუღლე და ოჯახი. სკოლის მერხიდან იცნობს მის ცოლს. ტრადიციული ოჯახის მქონეა პრემიერი. მე მახსოვს, როცა პოლიტიკაში წასვლაზე განცხადება გავაკეთე, პირველი დაიჭირეს ნუნუკას მამა, თამაზ თამაზაშვილი, რადგან ირაკლი ჩემ გვერდით არ უნდა დამდგარიყო. ტელეფონით დავურეკე ნუნუკას, თუ საჭიროა, მეც თქვენ გვერდით დავდგებიო, ასეთია ნუნუკა. ასეთი პრემიერი გვეყოლება. ღირსეული პრეზიდენტი, პრემიერი და მთავრობა ეყოლება საქართველოს. ღირსეული პარლამენტი და პარლამენტის თავმჯდომარე, – განაცხადა შემცვლელის წარდგენისას ჯერ კიდევ პრემიერმა ივანიშვილმა.

პრემიერობისთვის განწირული მოქმედი შს მინისტრი გვპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ივანიშვილის დაწყებული გზა წარმატებით გააგრძელოს. მან პრემიერს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

– ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ მომეცა საშუალება, ბიძინა ივანიშვილთან ერთად მემსახურა ქვეყნისთვის. მე ვპირდები კოალიციას, მთავრობას, საზოგადოებას, რომ გავაგრძელებ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწყებული მშენებლობის გზას და პოლიტიკას. მადლობა მინდა, გადავუხადო მთლიანად კოალიციას გამოცხადებული ნდობისთვის და საპარლამენტო უმრავლესობას დამტკიცებისთვის, – განაცხადა პრემიერობის კანდიდატმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურით მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა აღფრთოვანებული

ვინ დაიკავებს შს მინისტრის პოსტს

დარჩა. გარეგნულად ყველა იღიმებოდა და ღარიბაშვილს აქებდა, თუმცა გულში რას ფიქრობდნენ ამაზე ვერაფერს გეტყვით.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი პრემიერის პოსტზე ღარიბაშვილის კანდიდატურას მხოლოდ მიესალმება. სუბარის განცხადებით, მოქმედი შს მინისტრი ერთ-ერთი იყო მოწინავეთა რიგებში, რომელიც მათთან ერთად გამარჯვებას ჭედავდა.

– ერთი წლის განმავლობაში, რაც მთავრობა დამტკიცდა, ღარიბაშვილმა მართლაც შეუძლებელი შეძლო. პოლიცია, რომელიც პოლიტიზებული იყო, აბსოლუტურად ხალხის სამსახურში ჩააყენა. ასევე, უპრეცედენტო ამნისტიის ფონზე, კრიმინალის დონემ არათუ იმატა, არამედ იკლო კიდეც და დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა საოცრად მოიმატა, ამას წინ ჩვენი ერთლწლიანი საერთო ბრძოლა უძღოდა. ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი იყო მოწინავეთა რიგებში, რომელიც ჩვენ გამარჯვებას ჭედავდა, – განაცხადა სუბარმა.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კოლეგა მინისტრების სახელით გვპირდება, რომ ახალ პრემიერს ყველანი გვერდში დაუდგებიან. ბოროტი ხმების მტკიცებით, ღარიბაშვილის პრემიერად დასახელების შემთხვევაში ალასანია თავდაცვის მინისტრის პოსტს დატოვებდა. არავისთვის დამალული არაა, რომ 2 ირაკლის შუაში შავმა ფისომ ჩაირბინა. მერე ეს შავი კატა ეტყობა ბიძინა ჩვენმა დააფრთხო და ახლა ბიჭები მორიგებულან. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე სეხნიებმა შშ სამინისტროში მეგობრული შეხვედრა გამართეს.

ალასანია ღარიბაშვილის პრემიერად დასახელებას ლოგიკურად მიიჩნევს. მისი თქმით, შს მინისტრი ამას იმსახურებდა.

– ეს არის კარგი გადაწყვეტილება, რომ გუნდიდან ასეთი წესიერი, გულანთებული და ენერგიული ადამიანი ჩაუდგება ჩვენ მთავრობას სათავეში და ჩვენ მას ყველანი გვერდში დავუდგებით, – განაცხადა ალასანიამ.

მომავალი პრემიერის მიმართ ქება-დიდება არც დავით უსუფაშვილმა დაინანა. არადა, ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ რესპუბლიკელები შს მინისტრს ძირს უთხრიდნენ. უსუფაშვილის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ გუნდში ისეთი პიროვნებები აარჩია, რომლებიც კონკრეტულ საქმეს ყველაზე უკეთ შეეფერებიან.

– ღარიბაშვილმა შეძლო ერთ-ერთ ყველაზე მძიმე სიტუაციაში აეღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. მას აქვს მენეჯმენტის კარგი უნარი, არის კომუნიკაბელური და პოლიტიკური გამოცდილება „ქართულ ოცნებაში“ მიიღო. ასე რომ, საპარლამენტო უმრავლესობა მისი კანდიდატურის ირგვლივ სრულიად ჩამოყალიბებული ვართ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ივანიშვილის გადაწყვეტილებით არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც კმაყოფილია. მისი თქმით, ღარიბაშვილი მთავრობის გამორჩეული წევრი იყო.

– მე მიხარია, რომ ასეთი კარგი და კოლეგიალური ურთიერთობა მექნება ირაკლისთან, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ნაციონალურმა მოძრაობამ ბუნებრივია დაიწუნა პრემიერობის კანდიდატი. დეპუტატი ირმა ნადირაშვილი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა ახალ პრემიერს მხარს არ დაუჭერს.

ნადირაშვილის აზრით, ღარიბაშვილი კარგი პრემიერი ვერ იქნება. მისსავე მტკიცებით, ის არც კარგი შს მინისტრი ყოფილა.

– პრემიერ-მინისტრი ხდება ადამიანი, რომელმაც ის საქმეებიც კი ვერ გამოიძია, რომელიც პირად კონტროლზე აიყვანა და ამისთვის თუნდაც რაფალიანცის საქმე და ჯიჰადის საქმეზე მოყოლილი ზღაპრების გახსენება კმარა. ღარიბაშვილი მუდმივად იმეორებდა კოკა ყანდიაშვილის მიერ მოგონილ ტერმინს პოლიციის დეპოლიზაციის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში გუნდასთვის იარაღის ჩადების საქმეც კი არ გამოიძიეს. ყველაზე მთავარი, ამ ადამიანმა თავი დაგვამახსოვრა იმით, რომ შს სამინისტროში ყველა საკვანძო თანამდებობაზე თავისი ნათესავები დანიშნა, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

გოკა გაბაშვილის თქმით კი, ირაკლი ღარიბაშვილს არავითარი ხედვა არ აქვს თუ როგორ შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

– ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, რომ წავიდეს პოლიტიკიდან, არის აშკარა გაქცევა პასუხიმგებლობისგან. დღეს უკვე ნათელია, რომ ქვეყნის ბიუჯეტი ნახევარი მილიონით არის გარღვეული, ათასობით სამუშაო ადგილი არის დაკარგული და კრიმინალი იზრდება. ირაკლი ღარიბაშვილი არის პიროვნება, რომელიც ნეპოტისტური პრინციპებით მართავს სამინისტროს და შს სამინისტროში მხოლოდ პარტიის სახეს წარმოადგენდა. მას არ აქვს არავითარი ხედვა, როგორ შეიძლება, გაუმჯობესდეს ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გაბაშვილმა.

ნაციონალ ზურაბ ჯაფარიძეს ირაკლი ღარიბაშვილის გვარის გაგონებაზე ძირითადად ნე-

გატიური რაღაცები ახსენდება. ეს არცაა გასაკვირი, შს მინისტრმა ნაციონალებს ბევრი რამის საშუალება არ მისცა. არადა, როგორ ეგონათ, რომ შსს ახალ მინისტრს აუბუნტდებოდა.

– ღარიბაშვილს აქვს გარკვეული გამოცდილება სებანკო სექტორში მუშაობის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას აქვს გარკვეული კომპეტენცია ან გამოცდილება როგორ უნდა წარმართოს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. რაც შეეხება იმას, რომ ის იყო წარმატებული მინისტრი, მე პირადად რაც მახსენდება ღარიბაშვილის მინისტრობიდან, ერთი, ეს არის ნეპოტიზმი, მან შს სამინისტროში მთელი თავისი ნათესაობა დააყენა და მეორე, ქუჩაში მოწყობილი რეიდები, როდესაც ყოველგვარი აპელაციის გარეშე ჩხრეკდნენ მოქალაქეებს, რამაც დიდი გაღიზიანება გამოიწვია მოსახლეობაში და მან მოიბოდიშა კიდეც ამის გამო. ძირითადად ღარიბაშვილზე ნეგატიური რაღაცები მახსენდება. მე მის მიერ წარმატებით განხორციელებული რეფორმა არ მახსოვს, მან საკმაოდ აწყობილი სტრუქტურა გადაიბარა, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

მათ ფონზე ცოტა არ იყოს უცნაური კომენტარი გააკეთა ნაციონალმა დეპუტატმა გიგი წერთელმა. პორტალ „საზოგადოება.გე“-სთან საუბარში წერეთელმა აღნიშნა, რომ თუ ვინმე შეძლებს გაუძღვეს პრემიერობას, ეს იქნება ღარიბაშვილი.

– შეძლებს თუ არა პრემიერობას ირაკლი ღარიბაშვილი, ამას დრო გვაჩვენებს. ყველა ასპარეზზე ადამიანი თავად აჩვენებს თავს, თუმცა მინდა ვთქვა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა ყველაზე ლოგიკური იქნება მინისტრთა კაბინეტიდან. ჩვენი, ოპოზიციის შეხედულებები ბევრ შემთხვევაში, შესაძლოა, განსხვავდებოდეს უმრავლესობის წევრების შეხედულებებისგან, მაგრამ რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, ვფიქრობ, რომ თუ ვინმე შეძლებს გაუძღვეს ამ საქმეს მინისტრთა კაბინეტიდან, ეს იქნება ღარიბაშვილი – იმ მახასიათებლებით, თუ იმ თვისებების გათვალისწინებით, რაც შეიძლება საჭირო იყოს მაღალი დონის მენეჯმენტისთვის და ეფექტური მოქმედებისთვის. ამ შემთხვევაში ეს იქნება ლოგიკური გადაწყვეტილება, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

ნაციონალების რისხვის გამო ღარიბაშვილს სანერვიულო არა აქვს. მას პრემიერად დამტკიცებისთვის მეოცნებეთა ხმებიც ჰყოფნის. ის ფაქტიურად უკვე პრემიერია. ახლა ის არის გასარკვევი, ვინ ჩაანაცვლებს მას შს მინისტრიეს პოსტზე.

2 ნოემბერს გამართულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მომავალი შს მინისტრის კანდიდატურაზეც იმსჯელეს. მეოცნებეებმა მხოლოდ ის თქვეს, რომ რამდენიმე კანდიდატურა განიხილეს. თუმცა მათი ვინაობის დასახელებისაგან თავი შეიკავეს.

ამის მიუხედავად, მედია და ერი რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს. თავიდან გავარდა ხმა, რომ ღარიბაშვილს შს მინისტრის პოსტზე კახა კალაძე ჩაანაცვლებდა. მერე კალაძემ ეს ინფორმაცია ჟურნალისტების მიერ აგორებულ ჭორად მონათლა. თუმცა იქვე დაამატა, სადაც პარტია გამიშვებს, იქ წავალ, თუნდაც კარისკაცად დავდგებიო.

გავრცელებული ხმების თანახმად, შს მინისტრის პოსტზე სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსის ანზორ ჩუბინიძის კანდიდატურაც განიხილებოდა. თუმცა ეს ინფორმაცია გუშინ ოფიციალურად უარყო ბიძინა ივანიშვილმა.

დღეს არსებული ხმების მიხედვით შს მინისტრობის ყველაზე მეტი შანსი ვახტანგ გომელაურს აქვს. რომელსაც ამჟამად შს მინისტრის მოადგილის პოსტი უკავია. ის წლების განმავლობაში იყო ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი.

ოცნებაში გვპირდებიან, რომ ახალი შს მინისტრიეს პოსტს რამდენიმე დღეში გავიგებთ. რამდენიმე დღეში შევიტყობთ იმ ცვლილებებზეც, რომლებიც მინისტრთა კაბინეტში მოხდება. მოქმედი შს მინისტრი ამბობს, მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ექნება.

ღარიბაშვილი მართალია პრემიერად ჯერ არ დაუმტკიცებიათ, მაგრამ ამერიკის ელჩისგან უკვე მილოცვები მიიღო. კინაღამ ქვეყნის „ხაზინმა“ რიჩარდ ნორლანდმა იფიქრა, არავინ დამასწროსო და პირველმა მიულოცა შს მინისტრს პრემიერად წარდგენა.

– გულითადად ვულოცავ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ამ თანამდებობაზე დანიშვნას. ჩვენ ველით ახალ პრემიერ-მინისტრთან თანამშრომლობას მას შემდეგ, რაც მას პარლამენტი დაამტკიცებს. იმ პერიოდში, როდესაც ღარიბაშვილი შს მინისტრი იყო, მასთან ინტენსიურად ვთანამშრომლობდით, მათ შორის უსაფრთხოებისა და კონტრტერორიზმის სფეროში. ჩვენ ვაფასებთ ამ პარტნიორობას და ველით, რომ ეს ურთიერთობა მომავალში მთელ რიგ ასპექტებში გაგრძელდება. ბიძინა ივანიშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადეს, რომ მთავრობაში არსებით ცვლილებებს არ ელიან. ვფიქრობ, საქართველოს მთავრობის გადასაწყვეტია, ვინ დარჩება მინისტრთა კაბინეტში. ჩვენ დაველოდებით მათ არჩევანს და ვითანამშრომლებთ ქართველ ხალხთან და საქართველო მთავრობასთან, – განაცხადა ნორლანდმა.

მომავალი პრემიერ-მინისტრის მოკლე ბიოგრაფია ასეთია – ირაკლი ღარიბაშვილი 1982 წლის 28 ივნისს თბილისში დაიბადა. რაც შეეხება განათლებას, 1999-2004 წლებში ირაკლი ღარიბაშვილმა დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობით – საერთაშორისო ურთიერთობები.

2002-2004 წლებში ღარიბაშვილმა სწავლა განაგრძო სორბონის უნივერსიტეტში, პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.

2005 წელს ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების განხრით მაგისტრატურა დაამთავრა.

რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, ირაკლი ღარიბაშვილი 2001-2002 წლებში საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში სტაჟიორია. 2004-2005 წლებში იგი მუშაობას იწყებს შპს „ბურჯის“ (ქართუ-ჯგუფი) ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეა, 2005-2008 წლებში – სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტის თანაშემწე, 2005-2012 წლებში – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ ჯერ გამგეობის თავმჯდომარე, შემდეგ კი გენერალური დირექტორი. 2006 წელს ღარიბაშვილი საქართველოში სან-მარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენლად ინიშნება. 2009-2012 წლებში შპს „ქართული ოცნების“ დირექტორია, ხოლო 2007-2012 წლებში „ბანკი ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2012 წლის თებერვალი-ოქტომბერში ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელი წევრი და პარტიის სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელია. იგი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით 2012 წლის მოწვევის პარლამენტის წევრი ხდება, თუმცა ღარიბაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა, რადგან იგი 2012 წლის ოქტომბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა.

ირაკლი ღარიბაშვილი ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს ფლობს. მომავალ პრემიერ-მინისტრს მეუღლე და ორი შვილი ჰყავს.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გაყალბებულია“

შორენა კოწოწაშვილი

რა ბერკეტები გამოიყენა ხელისუფლებამ

ინტერვიუ დამოუკიდებელ უფლებადამცველ დიმიტრი ლორთქიფანიძესთან

– ბატონო დიმიტრი, რამდენად ელოდით პრემიერის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილის დანიშვნას და, საერთოდ, რა აჩვენა ამ გადაწყვეტილებით ბიძინა ივანიშვილმა?

– ვფიქრობ, ეს იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გადადგა, იმიტომ, რომ იმ მემკვიდრეობის, რომელიც წილად ხვდა პირველი ოქტომბრის სახით, რაც არჩევნების შედეგად „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, შენარჩუნების ერთადერთი გზა და გამოსავალი იყო, ივანიშვილს მემკვიდრე დაეტოვებინა უახლოესი გარემოცვიდან. ირაკლი ღარიბაშვილი, გარდა იმისა, რომ ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია, ნამდვილად არის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი დღევანდელი ჩვენი მთავრობის. ის არის ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე კაცი, რომელმაც თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე შეძლო, ავტოკრატი დაემარცხებინა და, გარდა ამისა, მოეპოვებინა გარკვეული ავტორიტეტი. ღარიბაშვილმა დამსახურებულად მოიპოვა გარკვეული ავტორიტეტი საზოგადოების თვალში. მისი პოლიტიკური საქმიანობისადმი ნდობის რეიტინგი საკმაოდ მაღალია დასაწყისში მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა. ასე რომ, ეს არის სრულიად კანონზომიერი, ლოგიკური. სხვა ნაბიჯი რომ გადადგმულიყო და ნებისმიერი, მათ შორის, ძალიან კარგი მინისტრი, ბატონი სერგეენკო დანიშნულიყო, რომლის მიმართაც მე არაერთგზის გამომითქვამს დადებითი შეფასება, ის ვერ გამოდგებოდა იმ მონაპოვრის შენარჩუნების ბერკეტად, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. მონაპოვარში არ ვგულისხმობ იმას, რაც ამავე დროს დაპირებული სამართლიანი სამართლებრივი გარემოს აღდგენის შეუსრულებელი პოლიტიკურ ამოცანად და მიზნად რჩება. საუბარი მაქვს იმ ტირანიის დამხობაზე, დამარცხებაზე, რასაც საკაკაშვილის რეჟიმის დასრულება და ეპოქალური დასასრული ჰქვია; იმ წარმოუდგენელი რეჟიმისა, რომელიც თავისი ხასიათით იყო აბსოლუტურად ვოლუნტარისტული და მართლაც მიმართული იყო საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების კანონზომიერების საწინააღმდეგოდ თავის ყველა გამოვლინებაში. ასე რომ, როდესაც დღეს ნაციონალური მოძრაობა დასავლეთის არცთუ ნაკლებაქტიური ჩართულობის შედეგად ცხადდება მეორე პოლიტიკურ ძალად, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ხელისუფლებას სათავეში ედგას ადამიანი, რომელიც, როგორც მინიმუმ, ივანიშვილის აბსოლუტური ნდობით აღჭურვილი კაცია, რომელსაც შეუძლია, სადავეები ხელიდან არ გაუშვას. ეს ძალიან ელემენტარულია.

– ძალიან ბევრი ფიქრობდა, რომ ბიძინა ივანიშვილი მოცემულ პოლიტიკურ ვითარებაში პრემიერის პოსტიდან არ უნდა წასულიყო.

– ცხადია, ივანიშვილის წასვლას როცა ვაფასებთ, მისი მოსვლის მოტივები და მიზანშეწონილობა უნდა შევაფასოთ. ყველა დამეთანხმება, რომ ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში იყო პირდაპირი კავშირი და ძალიან ბევრ ადამიანს სული უნდა მოეთქვა. ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღე ნამდვილად შევა ისტორიაში, როგორც დღე მოწმენდილ ცაზე კომეტის გაელვებისა, რასაც ნამდვილად არ მოელოდა იმდროინდელი მმართველი ელიტა და რასაც ძალიან მნიშვნელოვანი რყევები მოჰყვა. სხვა საკითხია, რატომ ვერ შეძლო ივანიშვილმა დაპირებების მთელი რიგი საკითხების აღსრულება მმართველობის წლისთავზე. ეს არის თემა, რომელზეც ძალიან ბევრი შეიძლება ვიმსჯელოთ. ამასთან დაკავშირებით მაქვს ჩემი პოზიცია, რომელიც არაერთგზის დამიფიქსირებია და კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ. მოხარული ვიქნები, თუ მცდარი იქნება ჩემი პოზიცია. ჩემი მიზანი არ არის ივანიშვილის კრიტიკა, პირიქით, დღიდან მისი პოლიტიკაში ჩართვისა, მე აქტიურად ვედექი მას მხარში. რესურსები და შესაძლებლობა არ დამიზოგავს ჩემს მეგობარ თანაფრაქციელებთან ერთად, რომელთა ნაწილი დღეს პარლამენტის წევრია და „ქართული ოცნებაშია“, რათა ის სიმართლე, რასაც ემსახურებოდა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში, მიტანილი ყოფილიყო დასავლურ წრეებამდე. სხვა საკითხია, რატომ არ მოვხვდი მე „ქართული ოცნების“ რიგებში. ამას თავისი სუბიექტური მიზეზები აქვს და ამასთან დაკავშირებითაც არაერთგზის მისაუბრია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და ივანიშვილს შორის არასოდეს იყო კომუნიკაციის პრობლემა, სამწუხაროდ, ასე გადაწყდა. „ქართული ოცნებაში“ შემავალი არაერთი სუბიექტის კონკრეტულ „დამსახურებად“ მიმაჩნია ეს საბოლოო შედეგი. ჩემი პოზიცია ივანიშვილის წასვლასთან დაკავშირებით ასე გამოიყურება: სხვა სხვის საქმეში ბრძენიას პრინციპით უნდა მივუდგეთ ახლა ამ თემას. ძალიან ადვილია კრიტიკა ერთის მხრივ, ივანიშვილის, მაგრამ ძალიან რთულია ჩაიხედო იმ სამზარეულოში, რომელშიც ძალიან დიდ როლს თა-

მაშობს დასავლეთის მხრიდან არსებული პოლიტიკური ზეწოლა და ის ლობისტური ორგანიზაციები და ლობისტური ძალები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე აქტიურად ახორციელებდნენ საკაკაშვილის რეჟიმის აპოლოგირებას სხვადასხვა ინსტანციებში. იქნებოდა ეს ევროპის საბჭო, ნატო თუ სხვა მნიშვნელოვანი დასავლური ინსტიტუციები. ამ ყველაფრის წინააღმდეგ პოლიტიკური, იდეოლოგიური და, გნებავთ, პროპაგანდისტული ბრძოლა ძალიან ძნელია. ელემენტარულად, მილიონები იხარჯებოდა ლობისტური ორგანიზაციების მომსახურებისთვის. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ნაწილშიც იქნეს გამოძიება ბოლომდე მიყვანილი. იგივე უშიშროების საბჭოს ბიუჯეტის ხარჯვის მართლზომიერებასთან არსებული კითხვები დროულად იქნეს პასუხგაცემული. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, დასავლეთის ზეწოლის შედეგია სწორედ, რომ ივანიშვილი დროზე ადრე მიდის პოლიტიკიდან. კი, ბატონო, მან განაცხადა, რომ 2 წელი, მინიმუმ, დარჩებოდა ქართულ პოლიტიკაში. დღეს ის აცხადებს, რომ 2 წელი გავიდა მისი პოლიტიკაში გამოჩენის დღიდან. თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გასულია მხოლოდ ერთი წელი, რაც არასაკმარისია იმისთვის, რომ ამორფულ, სრულიად ეკლექტურ სიტუაციაში არსებული პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ იყოს კეთილსაიმედო ივანიშვილის გარეშე თავისი მიზნების მიღწევის საკითხში. მინიმუმ, სამი ძალა არსებობს ისეთი „ქართულ ოცნებაში“, რომელიც იდეოლოგიურად და თავისი მსოფლმხედველობით იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ისინი აუცილებლად ადრე თუ გვიან ერთმანეთს გაეყრებიან. ივანიშვილის წასვლა ძალიან დააჩქარებს ამ პროცესს, თუმცა, პოლიტიკის ბაზარზე სხვა ძალების აქტიურობის შემთხვევაში, ეს ყველაფერი შეიძლება ადვილად დაბალანსდეს. არჩევნების შემდგომ ჩვენ მივიღეთ ორი სახელისუფლებო მონსტრი, რომლებსაც გააჩნიათ მრავალმილიონიანი დაფინანსება და რომლებიც ძალაუფლებას გაინაწილებენ არჩევანი-არადანის პრინციპით. რა თქმა უნდა, ეს არ არის ის ფორმულა, რომელსაც მიესალმება საზოგადოება. ვისურვებდი, მალე გამოჩენილიყო ქვეყანაში მესამე ძალიან სერიოზული პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ორ სახელისუფლებო მონსტრს შორის ითამაშებს დამბალანსებელ ფუნქციას. მისასალმებელია, რომ პირველად საქართველოში არჩევნები ჩატარდა მშვიდობიან ატმოსფეროში. საარჩევნო კამპანიას ჰქონდა ძალიან საქმიანი ფორმა. არ მოხდება ისე, რომ დანაშაულებრივ აქტში მხილებული ნაციონალური მოძრაობა შეინარჩუნებს მეორე პოლიტიკური ძალის სტატუსს. ეს ქართველმა საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას. ის ფაქტი, რომ არჩევნებში ამომრჩევლის 54% არ მონაწილეობდა, მიტოვებს იმედს, რომ მომავალში მესამე პოლიტიკური ძალისთვის, ეს 54% აუცილებლად იქნება ამუშავებული.

– დასავლელი ლობისტების შედეგია ნაციონალების მეორე ადგილი თუ მართლაც ხელისუფლებასთან გარიგებას ჰქონდა ადგილი?

– საქმე ისაა, რომ „ქართული ოცნების“ რიგებში არიან ისეთი ინდივიდები, რომლებიც პირდაპირ ბმაში იმყოფებოდნენ და იმყოფებიან ნაციონალურ მოძრაობასთან. მეტიც, არიან ისეთი ინდივიდები, რომლებიც ამ წლების მანძილზე, და მე ვგულისხმობ გამსახურდიას შემდგომ პერიოდს, ვიდრე დღემდე, მონაწილეობდნენ არჩევნების გაყალბებაში. დღესაც ამ არჩევნების საბოლოო შედეგის სურათის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ძალიან ბევრი ასეთი უკანონო ბერკეტი იქნა ამოქმედებული იმისთვის, რომ სასურველი შედეგი დამდგარიყო. ამ შემთხვევაში ერთ მტკიცებულებას მოგიყვანთ მხოლოდ. იცით, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე აჭარაში გამოვლენილ იქნა 11 000 ყალბი პირადობის მოწმობა, რომლის უკან იდგა კუდის მაღალჩინოსანი თემურ პატარიძე. პატარიძე აქ არის მეისრე, რომლის უკანაც დგას ძლიერი სახელისუფლებო, სახელმწიფო მანქანა, რომელიც მას და მისნაირებს ინსტრუმენტებად იყენებდა და, შესაბამისად, ასეთი ყალბი პირადობის მოწმობებით თუ სხვა ბოროტი მანქანებით ახდენდა არჩევნების მანიპულირებას. დღეს, როდესაც საარჩევნო სიაში, ამომრჩევლის ერთიანი რაოდენობა კვლავ 3 537 000-ით ფიქსირდება, ეს გვაძლევს დასაბუთებულ ვარაუდს ეჭვისთვის, რომ ხელისუფლება არც ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ გამოეკლინა პოლიტიკური ნება და არჩევნები ჩაეტარებინა ერთი ხმა, ერთი ამომრჩეველი, რასაც, სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში არსებული არაერთი პოლიტიკური ორგანიზაცია აცხადებდა ხოლმე, მათ შორის „ეროვნული ფორუმი“, რომლის პოლიტიკური ამოცანის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი, რომლის ამოხსნის წინაშეც იდგა, არსებობდა სწორედ საარჩევნო სიების, საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფაში, რასაც სამართლიანი არჩევნების ჩატარება უნდა მოჰყოლოდა. მოგეხსენებათ, „ქართულმა ოცნებამ“ ამ საკითხში ნამდვილად უღალატა თავის პირობას და საარჩევნო გარემო არამცთუ გაუმჯობესებულია, არამედ მთელ რიგ საკითხებში უფრო გაუარესებულია. ეს არის საარჩევნო სიების ფორმირების წესი, საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირების წესი, ეს არის უფასო საარჩევნო რეკლამით სარგებლობის წესი. აქ არის საუბარი გლობალურად არა მხოლოდ საარჩევნო კოდექსზე, იგივე პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონზეც და საერთოდ, ზოგადად საარჩევნო კანონმდებლობაზე, რომელიც მოიცავს არაერთ მნიშვნელოვან კანონს, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა გატარებულიყო და არ გატარდა. ამას დაემატა ასევე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებული ჩვენი დიასპორისთვის, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქეებისთვის საარჩევნო ხმის უფლების შეზღუდვა. მოგეხსენებათ, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიის საელჩომ არაერთგზის გამოხატა მხარდაჭერისა და თანადგომის სურვილი მედიაციის ფარგლებში ამ არჩევნების ჩატარებისა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, არც ახალი ხელისუფლება, მსგავსად ნაციონალური მოძრაობისა, არ აღმოჩნდა მზად იმისთვის, რომ მსგავსი პოლიტიკური ნება გამოეხატა და ეს არჩევნები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეც ჩატარებულიყო. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ზღუდავს ჩვენი მოქალაქეების უფლებას და ამ არჩევნების შედეგად მიღებული შედეგები ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურად, თუმცა, ეს არჩევნები ნამდვილად არის წინ გადადგმული ნაბიჯი ყველა იმ არჩევნებთან შედარებით, რომლებიც აქამდე ჩატარებულა ჩვენს ქვეყანაში.

– დაბოლოს, ერთმნიშვნელოვან საკითხს მინდა შევეხოთ. გახსოვთ, რამხელა ხმაური მოჰყვა სოფელ ჭელაში მინარეთის მშენებლობის საკითხს. სასულიერო პირების თქმით, დღეს მინარეთის თემა ისევ აქტუალურია, რომ მის დადგმას „ოცნებაშიც“ ლობირებენ და რომ თურქეთის ინტერესები ბოლომდე ტარდება. რატომ დუმს პოლიტიკური სპექტრი მინარეთის საკითხზე? სასულიერო პირების ინფორმაციით, ადგილზე შეიტყვეს, რომ მინარეთის მშენებლობასთან დაკავშირებით საკრებულოში დავით ბერძენიშვილმა დარეკა.

– აქაც ლოგიკას მივყვეთ. იმ ფაქტს, რომ თურქული ეკონომიკური და კულტურული ექსპანსია სახეზეა მრავალი წელია საქართველოში, მე მგონი, სადავოდ არავინ გახდის. სიახლე მხოლოდ ისაა, რომ მესამე კომპონენტმაც იჩინა თავი ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებით, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში და ეს არის რელიგიური ექსპანსიის ძალიან არსებითად შესახები ნიშნები. ამის მტკიცებულებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ამ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც სუფევს აჭარის ტერიტორიაზე და ასევე ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები, რაც სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი პროვოკაცია, რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელშეწყობილ იქნა ადგილობრივი და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან. იცით, რომ სოფელი ჭელა დასახლებულია ეკომიგრანტებით აჭარიდან და ასევე რაჭიდან. ძალიან მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმას, რომ რაჭიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტების რაოდენობა ძალიან მცირეა. 5-6 ოჯახი სახლობს ჭელაში. აბსოლუტურ უმრავლესობაში არიან მუსლიმური რელიგიური თემის წარმომადგენლები ჩვენი თანამემამულე აჭარლები, რომლებიც თავიანთ საკულტო ნაგებობებსაც ფლობენ ჭელაში. არაერთხელ მითქვამს, ჯერ კიდევ 2010 წელს, რომ საქმე გვაქვს ისეთ არაორდინარულ ვითარებასთან, როდესაც უმრავლესობა განხილული უნდა იქნეს, უმცირესობად ანუ როდესაც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ თემს დაქვემდებარებული ოჯახების რაოდენობა უმცირესობაში აღმოჩნდა მუსლიმური თემის წარმომადგენელ ოჯახებს შორის. აქ ხაზს იმას ვუსვამ, რომ იქ იქნა წამოჭრილი ასეთი პრობლემა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი მუსლიმური საკულტო ნაგებობის დამხმარე ნაგებობა მინარეთი აგებულ იქნა მართლმადიდებლური ეკლესიის ნატაძრალი ქვებით. ბუნებრივია, ამან გამოიწვია გარკვეული, მე თუ მკითხავთ, სამართლიანი პრობლემა, მართლმადიდებელ ოჯახებს შორის, რასაც, სამწუხაროდ, იმდროინდელი ხელისუფლების მხრიდან, არც რომელიმე უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან, რომელიც დასავლეთიდან ფინანსდება, არავითარი რეაგირება არ გამოუწვევია. ხმად მღაღადებლისად დარჩა მაშინ ჩემი ხმა პარლამენტში. მაგრამ ნახეთ, რა მოხდა სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ, როდესაც სარფის საბაჟო გამშვებპუნქტზე შემოტანილ იქნა მინარეთისთვის გამზადებული რკინის კონსტრუქცია, რომლის განბაჟების მართლზომიერების საკითხი დადგა ეჭვქვეშ და მას შემდეგ, რაც ეს მინარეთი უკვე დაიდგა ჭელაში, აიღეს და წაიღეს ექსპერტიზაზე, რამაც, ჩემი აზრით, პროვოკაციის შედეგად გამოიწვია ძალიან დიდი ვნებათაღელვა. იმწამსვე გააქტიურდნენ დასავლეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები; იმწამსვე მოჰყვა ამ საკითხს კომენტარები ადამიანის უფლებათა სხვადასხვა კომისარიატებში, მათ შორის, ევროპის საბჭოს უმაღლეს კომისარიატში და იმ წამსვე მოჰყვა ამ ყველაფერს საქართველოს სახელმწიფოს სახელის დისკრედიტაცია. აი, რას ემსახურებოდა ეს პროვოკაცია. ეს ყველაფერი იყო თითიდან გამოწოვილი. არ მეგულება დედამიწაზე სხვა ისეთი სახელმწიფო, რომელიც მსგავსი ტოლერანტობით გამოირჩეოდეს ნებისმიერი სხვა რელიგიური დენომინაციის მიმართ, როგორც ეს საქართველოში ხდება. მაგრამ მსგავსი პროვოკაციების შედეგად ეს სურათი იღებს რადიკალურად განსხვავებულ სახეს, რაც, რა თქმა უნდა, უნდა აღიკვეთოს პოლიტიკური ნების არსებობების პირობებში, რაზეც პასუხისმგებლობა მმართველ კოალიციას ეკისრება. თუკი ასეთი პროვოკატორები დღეს გამოვლენილი არ არიან, ესეც „ქართული ოცნების“ მმართველობის სისუსტედ უნდა ჩაითვალოს.

– ივანიშვილის ხელისუფლება სათანადოდ ყურადღებას არ იჩენს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მიმართ? ითქვა, რომ მუსლიმანთა საკულტო ნაგებობიდან 400 მეტრში მშენებარე მართლმადიდებლური ტაძრისთვის 3 კუბური მეტრი ხის მასალა ვერ გამოძებნა ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტაძრის გადასახურად.

– აშკარად შესამჩნევია ექსპანსიის ყველა მიმართულება თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან. საქართველოს ხელისუფლებაში, როგორც ძველში, ისე ახალში, უხვად მოიძებნებიან ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც გარკვეული ლობისტის როლსა და ფუნქციას კისრულობენ, რათა, ექსპანსიით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, შედეგები იქნეს გარანტირებული და რასაც კონკრეტული დამკვეთი ჰყავს თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან. ის ფაქტი, რომ მედრესეები იხსნება; რომ ქართველი ბავშვები გაჰყავთ სხვადასხვა დაპირებით თურქულ სასწავლო დაწესებულებებში; რომ აშკარად შეინიშნება რელიგიური პროზელიტიზმის ნიშნები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და არა მხოლოდ აჭარაში, იმაზე მეტყველებს, რომ ამ ყველაფრის უკან დგას არა მხოლოდ ექსპანსიის გენერატორი კონკრეტული თურქული ორგანიზაცია, არამედ ამ ექსპანსიის მიმღები და ლობისტი კონკრეტული ძალა ქართულ ხელისუფლებაში, იქნება ეს არასამთავრობო სექტორი თუ სამთავრობო. არ მინდა, კონკრეტულად ვინმე დავადანაშაულო, მაგრამ ფაქტია, რომ მომავალში იმ მესამე პოლიტიკური ძალისთვის, რომელზეც თავში გესაუბრეთ, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და დანიშნულება იქნება გამოვლენა სწორედ ასეთი ძალებისა და მათი არდაშვება პოლიტიკურ სადავეებთან.

– ანუ გააქტიურდება პროცესი პოლიტიკური სპექტრის დასაწმენდად?

– აუცილებლად. დღეს არის აუცილებლობა მესამე დამბალანსებელი პოლიტიკური სუბიექტის ჩართვისა პოლიტიკურ სივრცეში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ გამსახურდიას შემდგომ რეალურად არ ხორციელდება ქვეყანაში ნაციონალური პოლიტიკა. ქვეყნის ეროვნული ინტერესები არ არის დაცული არც ერთი კოალიციისა თუ პოლიტიკური ძალის მხრიდან, რომლებიც ხელისუფლების სათავეში არიან. ეს არის უტყუარი ფაქტი. ამიტომ ჩვენ მივდივართ ერთადერთ აზრამდე: ის ძალები, რომლებიც დასავლეთიდან მართავენ თავიანთ მარიონეტულ ძალებს, არ არიან მოწადინებული, საქართველო რეალურად იმართებოდეს ეროვნული ძალების მიერ.

მიხეილ სააკაშვილი: „ბოლო დღეებს ყველა მიმართულებით მაქსიმალურად ვიყენებ“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სხვადასხვა ქვეყნებში სიარულის პარალელურად, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისთვის მსოფლიოს წამყვანი გამოცემების სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის შეძენითაა დაკავებული.

ერთ-ერთი ვიზიტისას პრეზიდენტმა 2000-მდე წიგნი შეიძინა, რომელსაც ის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას გადასცემს

„მთელი ევროპის მასშტაბით წიგნის მაღაზიებში დავდივარ და საპრეზიდენტო ბიბლიოთეკისთვის წიგნებს ვაგროვებ. ასეთი მასშტაბური ბიბლიოთეკა პოლიტიკური მეცნიერების, ისტორიისა და სოციოლოგიის შესახებ ლიტერატურით, საქართველოში არსად არ არის. ვვარაუდობთ, რომ წლის ბოლომდე 5-6 ათასი წიგნი გვექნება. აქედან 2000 წიგნი უკვე თავად ხალხმა გვაჩუქა.

ბოლო დღეებს ყველა მიმართულებით ვიყენებ, საქმეზეც დავდივართ და ეს წიგნებიც ხელს გამოვაყოლეთ. ვიღაცამ შეიძლება ისიც თქვას, რომ ეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა“ – განაცხადა სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

თინა ხიდაშელი: „სააკაშვილი საკუთარ პოლიტიკური კუბოს სახურავს ძალიან ჩქარი ტემპით აჭედებს“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თინა ხიდაშელის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილისგან ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

დეპუტატი არ გამორიცხავს იმასაც, რომ 17 ნოემბრამდე დარჩენილ დროში, პრეზიდენტმა ვანო მერაბიშვილიც შეიწყალოს, მიუხედავად იმისა, რომ მის მიმართ ჯერ განაჩენი გამოტანილი არ არის.

,,სამი დღის წინ ვთქვი, რომ სააკაშვილი ახალაიას ნამდვილად შეიწყალებსთქო, იმიტომ რომ მიხეილ სააკაშვილი ასეთია. თუ მან გადაწყვიტა, რომ კანონის უგულვებელყოფით გააკეთოს ეს, პრობლემა არ არის, – შეიწყალოს.

მისგან არ გამიკვირდება, თუ 17 ნოემბრამდე ჯერ კიდევ განაჩენგამოუტანელ ვანო მერაბიშვილსაც შეიწყალებს. ეს მისი საქმეა და მისი გადასაწყვეტია.

მიხეილ სააკაშვილი ძალიან დიდი ტემპითა და მონდომებით აჭედებს საკუთარი პოლიტიკური კუბოს სახურავს“ – განაცხადა ხიდაშელმა.

ნიუსპრესი

შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალებს გადარჩენის მხოლოდ ერთი შანსი აქვთ“

ვინ უნდა გარიყონ პარტიიდან

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

– ამ ერთი კვირის განმავლობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა, ქვეყანას ჰყავს ახალი პრეზიდენტი, ახალი პრემიერი... როგორია თქვენი ხედვები და შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში, ვულოცავ გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტობას და ირაკლი ღარიბაშვილს – პრემიერობას. ეს ბრძოლა, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო ორი წლის წინ და ახლა ფაქტობრივად პირველი ეტაპი დასრულდა, როდესაც მის მიერ დასახელებული კანდიდატი გახდა პრეზიდენტი. ვინც ოპოზიციაში ვიყავით, მარგველაშვილს კარგად ვიცნობთ. ეს კაცი თავიდანვე ოპოზიციურად იყო განწყობილი საკაშვილის რეჟიმისადმი. მე მივესალმები ზოგადად იმ პოლიტიკას, რომ მესიანისტური დამოკიდებულება გავიდეს ქართული პოლიტიკიდან, რამაც კარგი არაფერი მოგვიტანა ამ ოცი წლის განმავლობაში. დღეს პრეზიდენტად მოვიდა ადამიანი, რომელიც არის განათლებული, ნორმალური, წესიერი. მასთან არ არის ასოცირებული ისეთი წარმოსახვები და ილუზიები, რომ აი მესია მოვიდა და რაღაც სასწაულს მოახდენს. მოვიდა ჩვეულებრივი, ქართველი პატიოსანი და განათლებული კაცი, რომელსაც საკმაოდ შეზღუდული უფლებები აქვს, თუმცა დიდი ფუნქციები აქვს იმ კუთხით, რომ ფაქტობრივად ის არის მედიატორი ხელისუფლების სამ შტოს შორის. ამიტომ მე ვთვლი, რომ მარგველაშვილი საუკეთესო კანდიდატია და სწორედ ამიტომ გაიმარჯვა არჩევნებში.

– რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს?

– ირაკლი ღარიბაშვილის შემთხვევაში ჩვენ არჩევნებთან არ გვქონდა საქმე. ბატონმა ირაკლიმ თავი გამოიჩინა არჩევნების დროსაც, თავი გამოიჩინა შინაგან საქმეთა მინისტრობის დროსაც. მე ვთვლი, იმ კანდიდატებიდან, რომლებიც სახელდებოდნენ პრემიერის პოსტზე, ამ ფუნქციას ყველაზე უკეთესად თავს გაართმევს ბატონი ღარიბაშვილი. მან საკმაოდ საინტერესო რეფორმები განახორციელა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს შეიძლება უცხო თვალისთვის არ ჩანდეს და მკვეთრი შედეგები არ იყოს, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს დადებით შედეგებს აუცილებლად მოიტანს. ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა გავაკეთოთ განცხადება, რომ იმ ფონზე, როდესაც მოხდა უზარმაზარი უპრეცედენტო შეწყალება, ძალიან ბევრი კრიმინალი გამოვიდა გარეთ ამ შეწყალების საფუძველზე. სხვანაირად ვერც ვერაფერს ვერ იზამდი, ვფიქრობ, რომ ეს შეწყალება იყო განსახორციელებელი. მან ამ ფონზე მოახერხა და კრიმინოგენური მდგომარეობის დისბალანსი არ მოახდინა. მან შეინარჩუნა ბალანსი და შეძლო რომ კრიმინოგენური მდგომარეობა არ გაზრდილიყო. ასევე საკმაოდ გააუმჯობესა შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა. მე წარმატებას ვუსურვებ ირაკლი ღარიბაშვილს, მას წარმატება აუცილებლად დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი თავს გაართმევს ამ დაკისრებულ მოვალეობას. ძალიან რთული პერიოდი ხვდება მას, ძალოვან უწყებებს რომ თავი დავანებოთ ეკონომიკური მდგომარეობაა ფეხზე დასაყენებელი. 20 წელიწადია, ეკონომიკა არ გვქონია და ეს პრობლემა სერიოზულად დგას ქვეყნის წინაშე.

– გაართმევს ამ ყველაფერს თავს? საკმაოდ ნიჭიერიაო, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის ჩრდილქვეშ ხომ არ აღმოჩნდება?

– არა მგონია. ბიძინა ივანიშვილი თვითონ არ აპირებს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას. მე მჯერა ბიძინა ივანიშვილის, როდესაც აცხადებს, არ ჩავერევიო. თუ ჩაერევა, იმასაც ამბობს, როგორ ჩაერევა, ჩაერევა, ღიად საჯაროდ, ისე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ეს ნებისმიერი მოქალაქის ფუნქციაა, ჩავერიოთ იქ, სადაც შევხედავთ, რომ სწორად არ ვითარდება მოვლენები და მიმართულებები. დანარჩენი ვნახოთ... მე მჯერა, რომ საკმაოდ ნიჭიერი და პერსპექტიული ადამიანია. ძალიან რთულ საქმეს უნდა შეეჭიდოს. მოდით, სწორად და ობიექტურად შევაფასოთ, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ეს ადამიანი. პირველი: ჩვენ გეოპოლიტიკურად ვმდებარეობთ ისეთ ტერიტორიაზე, ძალიანაც რომ გინდოდეს კარგი საქმის კეთება, ამაში ხელს გიშლის უამრავი ქვეყნის აგენტურა, სპეცსამსახურები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს ჭიდილი ყოველთვის მიმდინარეობს და გადის იმაზე, რომ საქართველომ რამენაირად შეიცვალოს თავისი ვექტორი, საგარეო მიმართულებით. საგარეო მიმართულების კუთხით არის საკმაოდ სერიოზული სამუშაო. ამ აგენტურასთან და ათას უბედურებასთან ბრძოლა, რომელიც ღარიბაშვილისთვის კი არა, საქართველო რაც არსებობს, სულ არსებობდა ეს პრობლემა. გარდა ამისა, ქუჩაში არის დარჩენილი ბევრი პოლიტიკური ძალა, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკური ძალები შეეცდებიან, კარგი გაგებით, ზეგავლენა მოახდინონ, გააკრიტიკონ და, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად წავა მოთხოვნები, რომ ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

– რომელსაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ხელისუფლება...

– ბიძინა ივანიშვილი წარმატებით იგერიებდა ამ სიტუაციას, ვნახოთ, ღარიბაშვილი როგორ შეძლებს ამის განხორციელებას. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების არჩატარებისთვის ბიძინა ივანიშვილს მოჰყავდა ის არგუმენტები, რომ ჩვენ რამენაირად სტაბილიზაცია მოვახდინოთ ქვეყანაში. გახსოვთ, როდესაც საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და ხელისუფლებაში მოვიდა „ქართული ოცნება“, საზოგადოების დიდი ნაწილი გამოდიოდა ითხოვდა სააკაშვილის გაგდებას აქციების მეშვეობით. ბიძინა ივანიშვილის დიდმა ავტორიტეტმა მოახდინა ის, რომ სააკაშვილს ჩაუმთავრეს ის ვადა. ამ გადმოსახედიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ივანიშვილის ამ პოზიციამ გაჭრა და სასიკეთო შეიქმნა ქვეყნისთვის. შეგვეძლო, ჩვენ ერთი წლის წინ გაგვეშვა სააკაშვილი, მაგრამ, პირველ რიგში, ეს გამოიწვევდა ქვეყანაში დესტაბილიზაციას და მეორე – ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების სერიოზულ უკმაყოფილებას. ეს აიცილა ბიძინა ივანიშვილმა თავიდან და გავუძელით ამ ერთ წელიწადს და ვნახეთ, რა მშვიდად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ერთხელ და სამუდამოდ მოხდა ისე, რომ არ დაგვჭირდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება და ერთი პოლიტიკური ციკლი რამენაირად ჩავატარეთ. ღარიბაშვილი შეეცდება ამ კურსის გაგრძელებას და, იმედია, შეეცდება წარმატებითაც, თუმცა, ვიმეორებ, ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც გარეთ არიან დარჩენილები აუცილებლად მოითხოვენ ვადამდელ არჩევნებს. ალბათ, მათ პოზიციაშიც არის ლოგიკა და სიმართლის დიდი მარცვალი. რატომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? იმიტომ, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს ქვეყნის მოსახლეობის რეალურ განწყობებს. ვნახოთ, ღარიბაშვილი ამას როგორ გაართმევს თავს. მას კარგი მასწავლებელი ჰყავს და, უფრო სწორად, ჰყავდა და ისიც კარგი მოსწავლეა. კიდევ ბევრი გამოწვევა დგას ღარიბაშვილის წინაშე, პირველ რიგში კი – მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დალაგება.

– ამ შემთხვევაში, ალბათ, ქართულ-რუსული ურთიერთობები იგულისხმება.

– რასაკვირველია. ეს საკმაოდ რთული საკითხია და სერიოზული მუშაობა სჭირდება. ალბათ, ურთულესი პრობლემა და უპირველესი ამოცანა არის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, რომ შეიქმნას საშუალო ფენა ქვეყანაში. ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ საჯარო სამსახურების ხარჯზე, რადგან ისედაც ბევრი საჯარო სამსახურია და ბევრი მათგანი გასაუქმებელია. ერთი ციდა სახელმწიფოსთვის ამდენი სამინისტროს ყოლაც სიგიჟეა. ალბათ, ამ მიმართულებითაც მოუწევს გარკვეული პერიოდის შემდეგ მუშაობა. მას მოუწევს ისეთ პერიოდში მუშაობა, როცა ბევრ საჯარო მოხელეს პერსონალური მანქანებიდან ჩამოსვლა მოუწევთ. თქვენ გახსოვთ, ეს საკითხები ისმებოდა ბიძინა ივანიშვილის დროსაც, მაგრამ, როგორც ჩანს, სიმწვავე აკლდა და აწი უფრო მწვავედ დაისმება. ბატონ ირაკლის მოუწევს ამ გამოწვევების მიღება. მე მჯერა, რომ ის ნორმალურ, გამოცდილ კადრებს დაიყენებს გვერდით და ყველაფერი შესაძლებელი იქნება. არ არის ისეთი საკითხები, რომლის მიღწევაც არის შეუძლებელი და წარმოუდგენელი. მთავარია, პოლიტიკური სტაბილურობა შეინარჩუნოს მან ქვეყანაში. ღარიბაშვილი არ იქნება ისეთი პრემიერ-მინისტრი, რომელიც წლების განმავლობაში გვყავდა. აქამდე წინა პლანზე იყო სულ პრეზიდენტი და ის იყო პასუხისმგებელი პოლიტიკაზეც, როგორც საგარეოზე, ისე საშინაოზე. დღეს ღარიბაშვილი ხდება ეს ფიგურა, რომელმაც, გარდა იმისა, რომ ეკონომიკა ფეხზე დააყენოს, იქ კრიმინალი არ იყოს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, ის პოლიტიკური ფიგურა ხდება. პოლიტიკური ფიგურა, რომელიც პასუხს აგებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე. როდესაც მის ბიოგრაფიას გავეცანი, ღარიბაშვილს პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს, პოლიტიკა ცალკე დარგია, ცალკე სფეროა, მაგრამ ის, რაც მან გააკეთა ამ ორი წლის განმავლობაში, რაც პოლიტიკაშია, საკმაოდ კარგი სვლები, კარგი ნაბიჯები იყო და, იმედია, ყველაფერს წარმატებით გაართმევს თავს.

– თქვენ ფიქრობთ, თავიდან ავიცილებთ პოლიტიკურ კრიზისს, რომელზეც ასე აქტიურად საუბრობენ?

– მე მგონი, ავიცილებთ პოლიტიკურ კრიზისს, თუ არ იქნება რაღაც უბედურება, კატაკლიზმები და ხელოვნური ჩარევები, რასაც არ უჩანს პირი ამ ეტაპზე. „ქართული ოცნების“ გუნდი ამ ერთი წლის განმავლობაში უფრო მობილური გახდა, უფრო შეკრული გახდა. ახლა რომ გითხრათ, პარლამენტში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ბრწყინავენ პოლიტიკურად, ამას ნაკლებად ვიტყვი. იქ აშკარად ლიდერობს რესპუბლიკელების ფრთა და ბუნებრივიცაა, ამით ურო მეტი გამოცდილება აქვთ. ღარიბაშვილის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ასევე, რომ მიიყვანოს ქვეყანა არჩევნებამდე. მე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ვგულისხმობ, რომელიც მოკლე ხანშია და რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანია. მე ამას ყოველთვის ვამბობდი, ეს უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი არჩევნებია. მარგველაშვილი რომ გაიმარჯვებდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობდა, მაშინ იმ ადამიანმა პოლიტიკას თავი უნდა დაანებოს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იმ ფონზე, როდესაც ეკონომიკური ზრდა ჯერჯერობით არ შეინიშნება და ეს ვერც მოხერხდებოდა, რადგან ნულიდან მოუწია ხელისუფლებას ყველაფრის დაწყება. ამ ფონზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საკმაოდ მნიშვნელოვანი და სერიოზულია, რადგან იმას, ვინც თვითმმართველობაში იმარჯვებს, ყოველ შემთხვევაში, მყარ პოზიციებს იკავებს, იმ პარტიისთვის, ფაქტობრივად, გზაა გახსნილი საპარლამენტო არჩევნებისთვის. სწორედ ღარიბაშვილის მოვალეობა იქნება, რომ ქვეყანა მშვიდად მიიყვანოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე. მთელი ის მონაპოვარი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა შექმნა, რასაც ჰქვია სააკაშვილის რეჟიმის ჩამოშორება, ახლა ამას მივამატოთ სამართლიანობის დამკვიდრება, ახლა ეს ყველაფერი მის ხელშია და მასზეა დამოკიდებული, ის როგორ წარმართავს, ამას ყველაფერს. ძალიან ბევრი მომენტია. ფაქტობრივად, რაც ოცი წლის განმავლობაში არ გაკეთდა, ღარიბაშვილმა უნდა გააკეთოს სამი წლის განმავლობაში, მას ოთხი წელიც აღარ აქვს. სამ წელიწადში უნდა გააკეთოს ეს ყველაფერი. ეს ყველაფერი, დამერწმუნეთ, არ არის მარტივი. 90-იანი წლების გამოძახილი დღემდე ისმის და ეს ჭრილობები ქვეყანას ჯერაც ვერ მოუშუშებია. ბევრი რეფორმაა განსახორციელებელი. მე არ ვიცი, მას როგორი სტრატეგია და პროგრამა აქვს, მაგრამ ამ ერთ ციცქნა სახელმწიფოში ამდენი გუბერნატორი და სამხარეო ინსტიტუტი არაფერში საჭირო არ არის.

– თვლით, რომ უნდა შემცირდეს?

– აუცილებლად. ამის სამხარეო სტრუქტურა, იმის სამხარეო სტრუქტურა, ამდენი სტრუქტურები არაფერში საჭირო არ არის. ამდენს როგორ უძლებს ეს საწყალი ბიუჯეტი, გამკვირვებია. ყველაფერი განხორციელდეს თბილისიდან. რა საჭიროა ამდენი პარალელური სტრუქტურა!

– რაც შეეხება ნაციონალებსა და მიხეილ სააკაშვილს, რა ბედი ელით, როგორია მათი მომავალი?

– ვნახეთ, რომ არჩევნებზე 20% მიიღეს. თავი დავანებოთ, თუ როგორ და რანაირად მიიღეს ეს პროცენტები. არსებობს მოსაზრებები, რომ ის ამომრჩეველი, რომელმაც მათ ხმა მისცა, მოისყიდეს და ასე შემდეგ... ნაციონალურმა მოძრაობამ, ფაქტობრივად, უნდა მოახდინოს თავისი პარტიის რეორგანიზაცია. პირდაპირ ვთქვათ, ეს არ იყო პარტია. მთავარი კომიტეტი ახლა შექმნეს. ელემენტარული კანონი ითხოვდა ამას. ეს არ იყო პარტია, მათ არ გააჩნდათ არანაირი სტრუქტურა. ეს იყო პირდაპირ ამომრჩეველზე ორიენტირებული ძალა. ახლა მათ მოუწევთ პარტიად გარდაქმნა, ასევე ის ოდიოზური ავადსახსენებელი ფიგურები, როგორც უხსენებლის ხსენება არ შეიძლებაო, ისე მათი ხსენება რომ არ მინდა, ეს ხალხი თავიანთი პარტიიდან უნდა გარიყონ, თუ უნდათ, რომ იარსებონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის 20%, რომელიც მათ მიიღეს, მალე ნული პროცენტი გახდება.

– ბატონო შალვა, რაც შეეხება პარლამენტის გარეთ დარჩენილ ოპოზიციას?

– მე ძალიან სერიოზულად ვფიქრობ, რომ კიდევ გამოჩნდება ერთი ძლიერი მოთამაშე ქართულ პოლიტიკურ არენაზე. ერთი ნიშა აბსოლუტურად ცარიელია და მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს ნიშა შეივსოს და საკმაოდ სერიოზულად. ეს არის წმინდა ეროვნული იდეოლოგიის ნიშა და ის აბსოლუტურად ცარიელია. დღეს ვერც „ქართული ოცნება“ და ვერც ერთი ძლიერი მოთამაშე პარტია ამ ნიშას ვერ ავსებს. ეს ძალა პოლიტიკურ არენაზე აუცილებლად გამოვა და საკმაოდ სერიოზულადაც. თუ გარკვეულმა ადამიანებმა თავიანთი ამბიციები გადალახეს, ეს მოხდება და ქვეყნისთვის ძალიან კარგი იქნება, ასევე აუცილებელიც არის. თუ მსოფლიო პოლიტიკას გადავხედავთ, ეროვნული იდეოლოგიის მქონე პარტიები ყველგან წინა პლანზე მოდიან და მოდიან. საქართველოში კი, სადაც ეს საკითხი უფრო მძაფრად დგას და საზოგადოებისთვის ეს უფრო ახლოს არის, ვიდრე ნეოლიბერალიზმი და სხვა მიმდინარეობებიც, ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ამ თემამ წინა პლანზე წამოიწიოს. ყველა ეს თემა კი ისევ და ისევ პრემიერთან მოიყრის თავს. ამიტომ საჭიროა, რომ მას ძალიან ძლიერი პოლიტიკური გუნდი ჰყავდეს და არა მენეჯერების გუნდი. მენეჯერები კარგია, მაგრამ დღეს მენეჯერების თავში უნდა იდგეს ძლიერი პოლიტიკური გუნდი. თვითონ „ქართულ ოცნებას“ აქვს ჩასატარებელი სერიოზული სამუშაო იმისთვის, რომ ერთ შეკრულ პოლიტიკურ გუნდად იქცეს. პარტიის გაძლიერებაზე საკმაოდ სერიოზული სამუშაო აქვთ ჩასატარებელი. მე როგორც ვიცი, „ქართული ოცნების“ პარტიის ყრილობა უნდა ჩატარდეს, სადაც პარტიის თავმჯდომარედ ღარიბაშვილი დასახელდება.

რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი ბიბლიოთეკარი ვერ გახდება“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

– ბატონო, რამაზ, როგორი პრეზიდენტი იქნება გიორგი მარგველაშვილი? საზოგადოებამ იცის, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქტირებით წინა პრეზიდენტის ძალაუფლებისგან მკვეთრად შემცირებული ძალაუფლება ექნება ახალ პრეზიდენტს. მიუხედავად ამისა, რა შეგიძლიათ გვითხრათ, ახალი რეალობის გათვალისწინებით რა ტიპის პრეზიდენტი ეყოლება ქვეყანას?

– უნდა ითქვას, რომ ორივე ლიდერი დასავლეთზეა ორიენტირებული. თუმცა, უნდა მოგახსენოთ ჩემი აზრი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი რიტორიკის დონეზე იყო დასავლეთზე ორიენტირებული. რეალურად კი მისი ყველა ნაბიჯი შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსეთის სასარგებლოდ იდგმებოდა. როდესაც დასჭირდა დასავლეთის, მე ვიტყოდი შანტაჟირება, გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც დასავლურ ორიენტაციაში საერთოდ არ მოიაზრება. ვგულისხმობ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსა და ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღებას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები არ ეთანხმებოდა. უვიზო რეჟიმი ცუდი არ იყო ქვეყნებს შორის ურთიერთობისთვის, მაგრამ ეს ნაბიჯი ფაქტია, რომ არ იყო პარტნიორ დასავლეთთან შეთანხმებული ნაბიჯი. რაც შეეხება მარგველაშვილის პოზიციას და დასავლეთისადმი ორინტაციას, ეს რეალურია და არა მხოლოდ რიტორიკის დონეზე.

– თქვენ სააკაშვილის განსხვავებასა და მსგავსებაზე ამახვილებთ ყურადღებას, ერთგვარ შედარებას აკეთებთ და ამ ფონზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– კონკრეტული მაგალითების მოყვანა შემიძლია. სააკაშვილი როდესაც იუსტიციის მინისტრი გახდა, შეგიძლიათ გაიხსენოთ პირველი, რაც გააკეთა?

– იუსტიციის სამინისტროს შესასვლელთან სატანიო ყარაულის დაყენებას გულისხმობთ?

– დიახ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მან საჩვენებელ მომენტზე გააკეთა აქცენტი. ჩვენ ვერ მივხვდით, რომ სააკაშვილი პრეზიდენტის რანგშიც იგივეს გააგრძელებდა. მარგველაშვილის მინისტრობის პერიოდი რომ გავიხსენოთ, რით დაამახსოვრა მან თავი საზოგადოებას? განათლების სფეროში მოსახლეობის დიდი ნაწილია ჩართული, ყოველ შემთხვევაში შეხება აქვს, ამდენად, ის შეეხო ოჯახებსა და მათ პრობლემებს, არა რიტორიკის დონეზე, არმედ რკინის ქალამნები ჩაიცვა და მთელი საქართველო მოიარა. სადაც ბავშვების გადაყვანის პრობლემა იყო და ბევრ რეგიონში იდგა ეს პრობლემა, ავტობუსები დანიშნა, უფასო სახელმძღვანელოების იდეით გამოვიდა და განახორციელა კიდეც.

– სტუდენტების აქციებიც იყო...

– ეს აქციები ცნობილია, როგორი იყო. ბენდუქიძე აიძულა, კანონი დაეცვა. ამ საქმიანობის ფონზე, რაც ვახსენე, გამოჩნდა, რომ მას კამათიც შეუძლია. თუმცა, როგორც ექსპერტის ამპლუაში, საზოგადოებას არაერთი მისი კამათი უნახავს. ჩემი აზრით, ჩანს, რომ მარგველაშვილი ძირითადად საქმის კეთებაზე იქნება ორიენტირებული.

– თქვენ ამბობთ, რომ საქმის მკეთებელი პრეზიდენტი გვეყოლება?

– დიახ. ერთი წლის ანალიზით ვამბობ, რომ ის ორიენტირებული იყო საქმეზე და არა სანახაობაზე.

– დასავლელი ანალიტიკოსები სააკაშვილზე ხშირად ამბობდნენ, რომ სააკაშვილი დასავლელი ლიდერია. მარგველაშვილზე ასეთი შეფასება არავის გაუკეთებია, მას აკლია ქარიზმა?

– ქარიზმა არ არის ხალი ან ვარცხნილობა, რომელიც ადამიანს შეიძლება ობიექტურად ჰქონდეს ან შეიქმნას. ქარიზმა იქმნება ლიდერისა და საზოგადოების ურთიერთობაში. ქარიზმის თანაავტორი ერთნაირად არიან, როგორც ლიდერი, ისე საზოგადოება. რა თქმა უნდა, ლიდერზე არის დამოკიდებული თუ როგორ იმუშავებს საზოგადოებაზე, რას შესთავაზებს მას, რომ მერე ეს ქარიზმა შექმნას. თუმცა, უნდა კი ლიდერს, რომ ქარიზმატული გახდეს? ესეც ცხადია. თუ კი მას არ უნდა, ამ ტიპის ლიდერი იყოს, ამის მაგალითიც გვაქვს. ყველა წინაპირობა ჰქონდა ივანიშვილს, რომ სწორედ ქარიზმატული ლიდერი ყოფილიყო, მაგრამ მას ეს არ უნდა. ვფიქრობ, არც მარგველაშვილი არ ეცდება, რომ ქარიზმატული ლიდერი გახდეს. ქარიზმატულობა დასავლეთის შეფასებით ხშირ შემთხვევაში კომპლიმენტად არ უნდა აღვიქვათ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა კომფორმირებულობას აღვივებს ლიდერი და შემდეგ ამ კომფორმიზმის ექსპლუატაციას ეწევა. გამოდის, საზოგადოება ბრმა მორჩილებისკენ მიჰყავს. ეს არის ქარიზმატული ლიდერი. შეიძლება კარგისკენ წაიყვანოს, შეიძლება ცუდისკენ, მაგრამ ორივე შემთხვევაში საზოგადოების დამორჩილებას ცდილობს. დასავლელი ანლიტიკოსები პიროვნების ინდივიდუალობას უფრო აფასებენ. ქარიზმატულობა, თუ შეიძლება ითქვას, წარსული ეპოქის გადმონაშთია და არა თანამედროვეობის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ვამბობ, უნდა თუ არა მომავალ პრეზიდენტს თუ მომავალ პრემიერს ქარიზმატულობა? მე კი ვირჩევდი, რომ ხალხისა და ლიდერის მოთხოვნაც იყოს – არა ქარიზმატულობას. სააკაშვილს ქარიზმატულობის სურვილი იმთავითვე ჰქონდა და ამისთვის ბევრ რამეს აკეთებდა. პიარზე ორიენტირებულობა, რომლის შესახებაც მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო საუბარი, სწორედ ქარიზმატული ლიდერის იმიჯის შექმნის ერთ-ერთი ხერხია. სააკაშვილი ქარიზმატული ლიდერის იმიჯის შექმნის პიარს აკეთებდა და არა იმ პიარს, რომელიც ყველა სახელმწიფოს ლიდერს ესაჭიროება.

– სააკაშვილი ოპოზიციის ქარიზმატულ ლიდერად შეიძლება ვიხილოთ, თუ შეიძლება ბიბლიოთეკარი გახდეს?

– ბიბლიოთეკარებს ერთი პროფესიული თავისებურება აქვთ – ერთ ადგილზე უნდა ისხდნენ. თუნდაც ამიტომ, ალბათ, არ გახდება ბიბლიოთეკარი, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ ასპარეზს, ეს დამოკიდებული იქნება, რამდენად შეინარჩუნებს მისი პოლიტიკური ძალა წამყვანი ოპოზიციური ძალის სტატუსს. რადგან მიუხედავად ყველაფრისა მაინც ღიმილის მომგვრელია იმაზე საუბარი, რომ წამყვან ოპოზიციას წარმოადგენს ის პოლიტიკური პარტია, რომლის სიმბოლოც ერთი წლის წინ ცოცხი იქცა.

– არჩევნებზე ასეთი შედეგი რომ დაფიქსირდა, კითხვის ნიშანი გაქვთ?

– მე მგონი, ყველას აქვს. ივანიშვილმა თქვა: მე მაქვს კითხვის ნიშანიაო.

– ბატონო რამაზ, ეს საზოგადოების პრობლემაა?

– ალბათ, ნაწილობრივ საზოგადოების. ნაციონალურ მოძრაობას გამოკითხვების მიხედვით 11-12 პროცენტი ყოველთვის ჰქონდა. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ბევრი ეშმაკობაა გამოკითხვებში ჩადებული. გაყალბების მექანიზმებიც ჰქონდათ, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში არ დაშლილა და გამომზეურებულა, ასევე გარკვეულ რეგიონებში საყრდენებიც ჰქონდათ, შეიძლება ითქვას, არაფორმალური. ამას ემატება საზოგადოების ის განწყობებიც, რომელიც არჩევნების დღეს ასე დალაგდა. ამ ყველაფრის ჯამია ის პროცენტი, რომელიც დაინერა და არა მხოლოდ საზოგადოების განწყობით. 13 პროცენტი ჩემთვის ეთიკის, ზნეობის პრობლემაა და არა პოლიტიკის.

– უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე, რომელიც საკვანძო პოსტია ქვეყანაში, ირინა იმერლიშვილის კანდიდატურა განიხილება, რა შეგიძლიათ გვითხრათ? – ჯერჯერობით იმერლიშვილი საზოგადოებაში პოლიტიკაზე მსჯელობით არ არის ცნობილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის ანალოგითაც შეიქმნა ჩვენთან ეს ინსტიტუტი, ძალიან ძლიერი პოლიტიკური ანალიტიკოსები იყვნენ ხშირად ამ პოსტზე. თუმცა, ეს პოსტი მეორე მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანი ორგანიზაციული პოსტია, რომელმაც თავი უნდა მოუყაროს ყველა იმ ძალას, რომელიც ქვეყანაში უშიშროებას ემსახურება. ვფიქრობ, იმერლიშვილზე ყურადღება სწორედ იმიტომ შეჩერდა, რომ ის პოლიტიკურ თამაშებში ჩართული არასდროს ყოფილა და რომ ის კარგი ორგანიზატორია. მაგალითად, ამერიკული ანალოგიით, ისეთი ანალიტიკოსი იყოს, როგორიც კისინჯერი იყო, აუცილებელი არ არის. ჩვენ ჯერჯერობით უშიშროების კარგად ორგანიზებული სისტემა გვჭირდება და არა კარგად მოლაპარაკე პირი უშიშროებაზე.

პატრიარქს ჰელმანდის პროვინციიდან ჩამოტანილი საქართველოს დროშა გადასცეს

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ალექსანდრე კიკნაძემ, გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, აისაფ-ის მისიაში მონაწილე ქართული კონტინგენტის სახელით, სიმბოლური საჩუქარი – საქართველოს სახელმწიფო დროშა გადასცეს.

შეიარაღებული ძალების ოფიცრები პატრიარქს, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ესტუმრნენ. სამხედროებთან ერთად იმყოფებოდნენ ასევე თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე და მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, ქართული დროშა აისაფ-ის მისიის შესრულებისას ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ ბაზაზე ფრიალებდა.

ოფიცრებმა, საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების სახელით, საქართველოს სახელწმიფო დროშა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსაც გადასცეს.

ნიუსპრესი

ბიძინა ივანიშვილი: „დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკური პარტია ქართულ პოლიტიკას კიდევ ბევრ ვარსკვლავს გაუზრდის“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ,,რესპუბლიკურ პარტიას“ წარმატებებს უსურვებს და იმედოვნებს, რომ შემდგომი მოღვაწეობის პერიოდში პარტია ქართულ პოლიტიკას კიდევ ბევრ ვარსკვლავს გაუზრდის. ამის შესახებ განცხადება პრემიერმა, საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში“, პარტიის ყრილობის მიმდინარეობისას, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მან ასევე, ქართული პოლიტიკის ისტორიაში, პარტიის წვლილზე ისაუბრა.

,,ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში ერთად მოვახდინეთ სასწაული, ქვეყანა ერთობლივად, თანადგომით შემოვაბრუნეთ და ევროპას დავუახლოვეთ. ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ ოქტომბრის არჩევნების ომშიც. საოცრება მოვახდინეთ და დემოკრატიული, ევროპული არჩევნები ჩავატარეთ“ – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე შეფასებით, ყველაზე მეტი პოლიტიკური კულტურა ,,რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს.

„35 წელი სამშობლოს ფასეულობებს თანმიმდევრულად იცავდით და დღესაც არჩევნები გაქვთ. უსუფაშვილი რომელიც ჩემთვის ყველაზე საყვარელი და ძალიან წარმატებული პოლიტიკოსია, დღეს პარლამენტის სპიკერის პოსტს იკავებს. თვითონ ეს ცვალებადობა, რომ უკვე მე-5 თავმჯდომარეს ირჩევთ, თქვენი დემოკრატიულობის მტკიცებულებაა. თქვენ ახერხებთ დაიცვათ ფასეულობები, მე კი ვამაყობ იმით, რომ თქვენ ასეთები ხართ. წარმატებებს გისურვებთ და დარწმუნებული ვარ, რომ რესპუბლიკური პარტია პოლიტიკას კიდევ ბევრ ვარსკვლავს გაუზრდის“ - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

„რესპუბლიკური პარტია“ გუშინ რიგით მე-15 ყრილობა გამართა. ყრილობას ბიძინა ივანიშვილთან ერთად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც დაესწრნენ.

ნიუსპრესი

გიგი უგულავა ახალ პრემიერთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს

თბილისის მერი გიგი უგულავა, „თბილისელების ინტერესების სასარგებლოდ“, ცენტრალურ მთავრობასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს.

ამასთან დაკავშირებით მერი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, ცენტრალური ხელისუფლება პოლიტიკური მოტივით თბილისელების დასჯას ახორციელებს.

,,ჩვენ ერთი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით ცენტრალური მთავრობის მხრიდან თბილისისა და თბილისელების უგულვებელყოფას და პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მხოლოდ თბილისის დასჯას ემსახურებოდა. ცენტრალურმა მთავრობამ გააჩერა პრაქტიკულად დასრულებული შემოვლითი რკინიგზა, ახალი ხიდის მშენებლობა და უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც თბილისის განვითარებისთვის აუცილებელია. ასევე, შეუმცირა თბილისს ბიუჯეტი, რითაც საფრთხის წინაშე დააყენა თბილისის ტრანსპორტის, საბავშვო ბაღების, დასუფთავების და სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების ეფექტური მუშაობა. საფრთხის წინაშე დადგა, ასევე თბილისის საერთაშორისო ვალდებულება, ღირსეულად ჩაატაროს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი“ – აცხადებს უგულავა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი არსებითად, წინამორბედის საქმის გამგრძელებელია, ის იმედოვნებს, რომ ცენტრალური მთავრობის ზემოაღნიშნული „მავნე პრაქტიკა გადაიხედება“.

„მე როგორც თბილისის მერი, მზად ვარ თბილისელების ინტერესების სასარგებლოდ, ცენტრალურ მთავრობასთან ვითანამშრომლო იმისათვის, რომ თბილისში ეკონომიკური კრიზისი დავძლიოთ და კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ საბავშვო ბაღების, ტრანსპორტის, დასუფთავების, თბილისის კეთილმოწყობისა და უბრანული განვითარების სერვისები“ -ნათქვამია გიგი უგულავას განცხადებაში.

ნიუსპრესი

სვეტიცხოველში უფლისწულ გიორგის ნათლობის ცერემონია გაიმართა

გუშინ სვეტიცხოველში უფლისწულ გიორგის ნათლობის ცერემონია გაიმართა.

უფლისწულის ნათლიები ბიზნესმენი ლევან ვასაძე, მიხეილ ახვლედიანი და უფლისწულის ბიძები – გურამ და ირაკლი ბაგრატიონები არიან. უფლისწულის ნათლობის ცერემონია სრულიად საქართველოს პათოკოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აღასრულა.

გუშინდელ ღონისძიებას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურიც ეწრებოდნენ. ნათლობაზე ბიზნესმენი ლევან ვასაძე მეუღლესთან და შვილებთან ერთად იმყოფებოდა.

ქართული სამეფო გვარის წარმომადგენლების, ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და დავით ბაგრატიონ-მუხრანელის პირველი შვილი გიორგი 2011 წლის 27 სექტემბერს მადრიდში დაიბადა.

მედიანიუსი

ბაჩო ახალაიას მეუღლე პრეზიდენტს მადლობას უხდის

შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბაჩანა ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ბაჩანა ახალაიას შეწყალების აქტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით მადლობას უხდის.

ნადარეიშვილი მის მიერ ფეისბუკზე გამოქვეყნებულ სამადლობელ წერილში წერს, რომ რუსეთის მონობა არასოდეს დაბრუნდება თავისუფალ საქართველოში და სწორედ მან შექმნა ის ეპოქა ქვეყანაში,რაზეც ღირსეული ქართველები მუდამ ოცნებობდნენ.

„მადლობა პრეზიდენტო ყველაფრისთვის .თქვენს შეუპოვრობას , სიძლიერეს , სამშობლოს უზომო სიყვარულს ,თავდადებას და სიმამაცეს პროგრესულად მოაზროვნე ქართველები ყოველთვის დავაფასებთ,საკმაოდ ბევრნი ვართ.ყველას უყვარხართ, გულში ქოცებიც კი გაღიარებენ.რუსეთის მონობა არასოდეს დაბრუნდება თავისუფალ საქართველოში.თქვენ შექმენით ის ეპოქა საქართველოში,რაზეც ღირსეული ქართველები მუდამ ვოცნებობდით. ღმერთი გფარავდეთ“,-წერს ნადარეიშვილი.

პრეზიდენტის მიერ ახალაიას შეწყალებას ადვოკატი გიორგი ონიანი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პრეზიდენტის შეწყალების მიუხედავად, ბაჩო ახალაია პატიმრობაში მაინც დარჩება. მისი განმარტებით, ახალაიას სანდრო გირგვლიანის საქმეზე აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაჩო ახალაიას შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა, რომ მისი ვალია, ხელი მოაწეროს ბაჩო ახალაიას შეწყალების აქტს. პრეზიდენტი ახალაიას ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე იწყალებს, რომელზეც ახალაიას 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

მედიანიუსი

მამუკა გვაძაბია: „რუსეთი აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნას გეგმავს“

გულიკო ბალაძეს

უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი მამუკა გვაძაბია აცხადებს, რომ რუსეთი კვლავ ცდილობს აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნას და ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს, გალში აგიტაციასაც არ ერიდება, კონფერენციასაც ატარებს.

– იმ რეალურ სიტუაციაში, რაც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში, ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე რეგიონებში, მათ შორის, კერძოდ, სამეგრელოს მიმართ მეფის ცარისტული პერიოდიდან მოყოლებული, დღევანდელი ხელმძღვანელობის ჩათვლით, ყოველთვის ჰქონდა დაყავი და იბატონეს პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა გამოკვეთილად ვლინდებოდა აფხაზეთსა და სამეგრელოს რეგიონში. საბჭოთა პერიოდშიც ეს მხოლოდ საქართველოს არ ეხებოდა, არამედ სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებსაც შეეხო. თქვენ გახსოვთ მოკავშირე და ონომიური რესპუბლიკების სტატუსების გათანაბრების მცდელობა, რაც საქართველოს სინამდვილეში ნიშნავდა რომ ავტონომიების, აფხაზეთის, აჭარისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის უფლებები ცენტრის უფლებებს გაუთანაბრდებოდა. ფაქტობრივად, ეს საქართველოს დეზინტეგრაციას ნიშნავდა. ამისთვის იყო გამიზნული და გაკეთებული, – განაცხადა უპატიოთა მოძრაობის ლიდერმა მამუკა გვაძაბიამ.

– ბატონო მამუკა, დღევანდელ სიტუაციაში რუსეთს რა მცდელობები აქვს ჩვენი რეგიონების მიმართ, თუ არ ჩავთვლით ღია ომსა და ბრძოლებს?

– კონკრეტულ სიტუაციაში, დღეს საინტერესოა დღევანდელი რუსეთის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. რუსეთი დღეს აგრძელებს იმ პოლიტიკას, რასაც ჰქვია სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის მცდელობა. ამისთვის სხვადასხვა ღონისძიებას მართავენ. ცოტა ხნის წინ გალში გაიმართა „მეგრული ენის, როგორც „არაქართველური“ ენის“ შემსწავლელი სიმპოზიუმი თუ კონფერენცია, სადაც, ჩემი ინფორმაციით, ზუგდიდიდანაც გადავიდა რამდენიმე ტვინამღვრეული პიროვნება ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

– ვინ იყვნენ, ცნობილია?

– ჯერჯერობით ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ასი პროცენტით ვიცი, რამდენიმე პიროვნება რომ გადავიდა მონაწილეობის მისაღებად. როდესაც ცნობილი გახდება მათი გვარები მათ დასახელებასაც არ მოვერიდები. რამდენადაც ვიცი, ამ ღონისძიებაზე ლაპარაკი იყო, როგორ უნდა აღდგეს მეგრული ენის სტატუსი, რომ მეგრულ ენას არაფერი საერთო არ აქვს სხვა ქართველურ ენებთან, რომ მეგრული ენა არის დისკრიმინირებული, მეგრული ენის გავრცელებისა და განვითარების არეალი გაცილებით მეტი იყო და თანდათან მცირდება და ა.შ. ჩამოსული იყვნენ მოსკოვიდან.

– მოსკოვიდან ქართველები იყვნენ ჩამოსული თუ არაქართველები?

– ძირითადად რუსები იყვნენ, რომლებიც ამაზე მუშაობენ. ისინი მუშაობენ რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებაში, სპეცსამსახურებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, რომლის წიაღში ქართველური ენების შემსწავლელი ჯგუფებიც კი არის. ერთი ფაქტი მინდა დავასახელო. თუ არ ვცდები, მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში თბილისში გაიმართა კონფერენცია, რომელსაც მასპინძლობდნენ სუფთა პრორუსული ორიენტაციის არასამთავრობო ორგანიზაციები. უცხოეთიდან შემოსული „გაზპრომის“ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებია, რომლებიც რუსული ორიენტაციის არიან. ამ ღონისძიებაზე ჩამოსულები იყვნენ მოსკოვიდან. ეს პიროვნებას დავასახელებ. ის არის ვინმე კონსტანტინ სილაევი. ის არის მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კავკასიის კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი. ასეთ თანამდებობაზე და ასეთი სტატუსით ან გერეუს ოფიციალური მაღალჩინოსანი არის ხოლმე, ან ფსბ-ს მაღალჩინოსანი. გამორიცხულია, რომ ასეთ ადგილას სხვა პიროვნება იყოს ამ სტატუსით. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ეს პიროვნება მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად. მოხსენება წაიკითხა 2012 წლის 15 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში არსებული მდგომარეობისა და ამ კონტექსტში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ, სადაც გარკვეულწილად ნაქები იყო საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილის მონაყოლით, როგორც თავის დროზე ჩამოდიოდნენ მეტროპოლიაში ცენტრიდან და დიდაქტიკური ტონით გვესაუბრებოდნენ, ისეთი დიდაქტიკური ტონით საუბრობდა. ისინი ცდილობდნენ, შეენიღბათ დიდაქტიკური ტონი, მაგრამ არ გამოსდით.

– დიდაქტიკური ტონი ვის ჰქონდა?

– იმ რუსს, ისეთი მენტორული ტონით ელაპარაკებოდა, თქვენ ამას თუ გააკეთებთ, ამას თუ გააკეთებთ, ამას თუ გააკეთებთო. იმის თქმა მინდა, რომ რუსეთის დღევანდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა საქართველოს დეზინტეგრაცია, მათ შორის, სამეგრელოში სეპარატიზმის გაღვივების გზით აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნის იდეით.

– იმ კონფერენციას, რომელიც გალში ჩატარდა, რა გავლენის მოხდენა შეუძლია ადგილობრივ მოსახლეობაზე?

– თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მოსკოვი რა კონფერენციას ჩაატარებს, არავინ არაფერს ეკითხება.

– საინტერესოა, მოეწონათ თუ არ მოეწონათ?

– არიან ისეთი პიროვნებებიც, რომლებიც ამას იწონებენ, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტაა. ისინი ბევრნი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ რუსეთ-საქართველოს ომის დროს ტანკებზე ამხედრებული ნიღბიანი პიროვნებები მიზანს მიაღწევდნენ. ეს ნიღბიანი პიროვნებები სამეგრელოში ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად იბრძოდნენ, რომ მოეთხოვათ აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნა. ეს ხდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც საოკუპაციო ძალები შემოვიდნენ ზუგდიდში.

– ეს ნიღბიანები ქართველები იყვნენ?

– დიახ, ქართველები იყვნენ, თუმცა, ისინი ძალიან ცოტანი აღმოჩნდნენ. ამ პროცესის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო პუტინის თანაკურსელი პეტერბურგის ფსბ-ს სკოლიდან, გვარად ვინმე თოდუა, რომელიც 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს შემოვიდა ლარსიდან. შემოსვლა აღნიშნულია საზღვარზე, მაგრამ გასვლა – არა ანუ ის სოხუმიდან გაიპარა, როდესაც რუსებმა უკან დაიხიეს გარკვეული მოქმედებების შემდეგ. მათი მიზანი იყო ხალხის მობილიზება სამეგრელოში, ზუგდიდში, რომ მიტინგი ჩაეტარებინათ და მოეთხოვათ აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკა. თქვენ გახსოვთ, მაშინ რუსეთის საოკუპაციო ჯარი განლაგდა სამეგრელო იმერეთის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე ანუ ჩხოროწყუს, ცხენისწყლისა და ფოთის ადმინისტრაციული ტერიტორიის დასასრულს.

– ანუ, თუ მსუყე ნიადაგი იქნებოდა ამისთვის, შესაძლებელია, ის გაეკეთებინათ, რაზეც რუსები ოცნებობდნენ?

– თუ მსუყე ნიადაგი იქნებოდა, შეიძლებოდა, მიტინგზე ხალხი გამოსულიყო, მოეთხოვა, მიტინგს რეზოლუცია მიეღო, საოკუპაციო ჯარი „ეროვნული უმცირესობების“ მოთხოვნას მხარს დაუჭერდა და ვერაფერს იზამდი. ხელისუფლებას ძალიან ბევრი რამ შეიძლება დააბრალო, მაგრამ ამ მომენტის განეიტრალება ძალიან რთული იყო. ხალხი ამას არ აჰყვა. მათ ხალხი ვერ მოაგროვეს.

– მოსახლეობაში ვინმე დადიოდა, მიტინგზე გამოდითო?

– აგიტაცია იყო, მაგრამ მასობრივად ხალხის გამოყვანა ვერ შეძლეს. რამდენიმე ტვინამღვრეული პიროვნება ყველგანაა, როგორ თბილისში, ასევე ზუგდიდში, გალსა და სოხუმში. ყველგან არიან ტვინამღვრეული პიროვნებები, რომლებიც ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ოკუპაცია დიდხანს რომ გაგრძელებულიყო და რუსეთის ჯარი დიდხანს ყოფილიყო, შემდეგ დიდი ფული დატრიალდებოდა და რაღაცას გააკეთებდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მაშინ ამის განეიტრალება მოხერხდა, მაგრამ დღეს ის პროცესი სხვადასხვა ფორმით გრძელდება.

– გალში კონფერენცია როდის ჩატარდა?

– ორ-ნახევარი თვის წინ.

– დღეისთვის რა მდგომარეობაა?

– დღეისთვის რუსული ძალები მუშაობენ.

– როგორ, დადიან და აგიტაციას ატარებენ?

– აგიტაციასაც ატარებენ, შეფარული აგიტაციაც არის. იგივე ბიბლიის თარგმნის ფაქტიც არის. ეს ყველაფერი მოსკოვიდან ფინანსდება. ეს საკითხი აყვანილია რუსეთის სპეცსამსახურების კონტროლზე. ეთნოდივერსიული ჯგუფი ილორში ფუნქციონირებდა. ახლა გალსა და ილორს შორის დიდი მანძილი არ არის და მიდი-მოდიან, მოსახლეობას ესაუბრებიან და უნერგავენ, თითქოს მეგრელები ქართველები არ არიან, რომ მეგრელებმა უნდა მოითხოვონ ავტონომია, რესპუბლიკა უნდა მოითხოვინ და ა.შ. ამ მიმართულებით ძალიან სერიოზულად მუშაობენ და დიდი საფრთხეა. ქართული სპეცსამსახურები რაღაც ღონისძიებებს რაღაცით რომ შენიღბავენ (არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ხელისუფლება იქნება), იმის გარეთ გამოტანა არ შეიძლება. ხურჩის ინციდენტს ამგვარ საკითხებთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, მაგრამ რაღაც კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს. არ აქვს მნიშვნელობა, ვისი ხელისუფლებაა, სააკაშვილის თუ ივანიშვილის, როდესაც შენი ტერიტორიის ნაწილი არის ოკუპირებული და საოკუპაციო ხაზი ენგურზე გადის, როდესაც ოკუპანტი არაფერს არ ერიდება, მაშინ ჩვენ, აქეთ მხარეს, მით უმეტეს, მის მცხოვრებლებს, მათ შორის, სპეცსამსახურებს არ გვაქვს უფლება, რაღაც ისეთი კონტრღონისძიებები ჩავატაროთ, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მიერ თუნდაც პროპაგანდის სახედ აღიქმება? აბა, მაშინ როგორ გინდა? გამოდის, ისინი აკეთებენ ყველაფერს, ჩვენ არაფერი უნდა გავაკეთოთ. რამდენიმე დღის წინ რადიოსადგურ „ეხო კავკაზში“ ლაკობას ინტერვიუს მოვისმინე, სადაც სეპარატისტებმა პირდაპირ თქვეს, ჩვენ ხომ ვამბობდით, რა სისხლისმსმელები, რა კაციჭამიები არიან ქართველები, ხომ ვამბობდით, რომ ქართული სპეცსამსახურები აკეთებენ ამას და ჩვენ და ჩვენი მოკავშირე რუსეთი არაფერ შუაშია. ა, ბატონო, საქართველოს ხელისუფლებამ ეს გამოამზეურა და სააკაშვილზე გამოიტანაო.

– როგორ შეიძლება, ხელი შევუშალოთ მათ განზრახვებს?

– ჩვენი წარმომადგენლები ამ მიმართულებით მუშაობენ გალში, ოჩამჩირეში და აფხაზეთშიც. ამის საჯაროზე გამოტანაა საჭირო, რადგან სუფთა რუსული ფულით ფინანსდება და პირდაპირ რუსულ სპეცსამსახურებთან არიან კავშირში.

დღეს საქართველო გაივსო აგენტურით, განსაკუთრებით რუსული აგენტურით. წინა ხელისუფლების დროს ნაბან წყალს ბავშვიც გადაყოლეს, მაგრამ ძირითადად გერეუსა და ფსბ-ს აგენტურის 90% განადგურდა. მოსკოვს, უბრალოდ, საყრდენი არ დარჩა აქ სამუშაოდ. ამ ბნელ საქმეში თავის მზაკვრულ როლს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიაც ასრულებს. ჩემმა მეგობარმა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და არის ებრაელი, მითხრა, რომ საქართველოში რუსეთიდან ჩამოსულ მომლოცველებში ძალიან დიდ რაოდენობით არიან ფსბ-სა და გერეუს აგენტები. მართლმადიდებლობის სპეკულირებით ხდება ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის არაპრაგმატული და არასახელმწიფოებრივი დელეგირება. თითქოს მართლმადიდებელი მოყვრად მოდის, სინამდვილეში მართლმადიდებელმა ილორი წაბილნა.

გიორგი ლალიძე: „ახლო მომავალში სოციალური პრობლემები არ მოგვარდება“

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან

– ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა დემოკრატიულობის მაღალი ხარისხი აჩვენა, რაც სხვა არჩევნებისგან ნამდვილად გამოარჩევს, თუმცა ამომრჩევლის დაბალი აქტივობა ბევრ რამეზეც მიანიშნებს.

– ფაქტია, რომ საქართველოში ჩატარდა არჩევნები და პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქართველმა ხალხმა მოახერხა, არჩევნების გზით შეეცვალა პრეზიდენტი. რაც შეეხება არჩევნებზე ამომრჩევლის დაბალ აქტივობას, ეს, ჩემი აზრით, განპირობებულია ქვეყანაში არსებული უიმედობითა და ნიჰილიზმით. საზოგადოების 50 პროცენტზე მეტს, რომელიც არ მივიდა არჩევნებზე, პრაქტიკულად, რწმენა აქვს დაკარგული ძირითადი პოლიტიკური ძალების მიმართ. მათი ბოლო იმედი იყო ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მოქალაქეთა დიდ ნაწილს გაუცრუა იმედები და მიდის პოლიტიკიდან. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებას, ეს მოხდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციის გამარჯვების ინერციის შედეგად. ხალხმა ხმა ამჯერადაც ბიძინა ივანიშვილს მისცა. არ არის საზოგადოებისათვის უცხო ის, რომ ცალკე აღებულ გიორგი მარგველაშვილს არ აქვს ის რეიტინგი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის მიეღწია. თუმცა, ფაქტი სახეზეა, რომ ის არის საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი და ეს არის ჩვენი ქვეყნის რეალობა. მაგრამ ჩვენი საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას უთმობდა იმ ფაქტს, რომ უახლოეს ხანში ქვეყანას ახალი პრემიერი ეყოლებოდა, რომელიც, პრაქტიკულად, ქვეყნის პირველი პირია. საზოგადოების მთელი ყურადღებაც სწორედ აქეთკენ იყო მიპყრობილი, რამაც ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა არჩევნების შედეგებსა და ამომრჩევლის აქტივობაზეც. მინდა გითხრათ, რომ პირადად ჩემთვის სამარცხვინო და შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი მთავრობას პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაზე სათათბიროდ საკუთარ სახლში, ბიზნესცენტრში იბარებს. მე ვფიქრობ, ეს პირდაპირ არის სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინების მცდელობა. ბატონი ბიძინა, რომელიც აცხადებს, რომ მიდის პოლიტიკიდან, რეალურად ყველა საკვანძო თანამდებობაზე ნიშნავს თავის ნდობით აღჭურვილ პირებს, ხოლო თვითონ (არ მინდა, ნაციონალების სიტყვები გამოვიყენო, თუმცა ფაქტი სახეზეა) ჩრდილიდან შეეცდება ქვეყნის მართვას, ისე, რომ არანაირი პასუხისმგებლობა არ ექნება დაკისრებული.

– ალბათ, მისთვის სანდო პირების დანიშვნა თანამდებობებზე ვერ იქნება იმის გარანტი, რომ ივანიშვილი მართვის სადავეებს ხელიდან არ გაუშვებს.

– ვერ დაგეთანხმებით ამაში. მე ვფიქრობ, რომ ვერც ბატონი მარგველაშვილი და ვერც ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის ნების საწინააღმდეგოდ ვერ წავლენ, ვინაიდან ცალკე აღებულ არც ერთს პოლიტიკური წონა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ჩვენ სერიოზულ ცვლილებებს ნამდვილად არ უნდა ველოდოთ და, თუ გავითვალისწინებთ ქართველი ხალხის ემოციურ ხასიათსა და „ქართული ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე კოალიციის რეიტინგი კიდევ უფრო დაიწევს.

– აშკარაა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანია გვერდზე გასწია, ყველა ელოდებოდა, რომ თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტობის კანდიდატად მოგვევლინებოდა თუმცა ეს არ მოხდა, აშკარა რისკზე არ წავიდა ალასანია, თუმცა ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ალასანია ივანიშვილის გუნდში დიდხანს ვერ დარჩება.

– ივანიშვილმა სწორედ იმიტომ არ დაასახელა ალასანიას კანდიდატურა არც პრეზიდენტის და არც პრემიერის პოსტზე, რომ ალასანია არის დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა. მას კოალიციის გარეშეც აქვს საზოგადოებაში ავტორიტეტი და პოლიტიკური წონა, შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა ისეთი მორჩილი, როგორიც მარგველაშვილი და ღარიბაშვილი იქნებიან. მეტიც, რომ არა დასავლეთის ზეწოლა, ივანიშვილი დიდი ხნით ადრე გაათავისუფლებდა ალასანიას თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან. მოგეხსენებათ, ალასანია ასოცირდება, როგორც პროდასავლური ტიპის პოლიტიკოსი და მას ჰყავს გარკვეული ლობი როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში და თუ ივანიშვილი ალასანიას მოხსნიდა, ეს აღიქმებოდა, როგორც დასავლეთთან დაპირისპირება. ის იმ ფონზე, როდესაც ნაციონალური მოძრაობა მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის, რომ ივანიშვილი არის რუსეთის პოლიტიკის გამტარებელი, სწორედ ამიტომ ივანიშვილი ვერ გაბედავდა ალასანიას მოხსნას.

– ფაქტია, რომ ბოლო ერთ წელიწადში სოციალური ფონი შესამჩნევად გაუარესდა, თუმცა ხელისუფლება საპირისპიროს ამტკიცებს.

– ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის საუკეთესო შემფასებელია საზოგადოება. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში უმრავი ადამიანი დარჩა უმუშევარი, იხურება მცირე და საშუალო საწარმოები, სოციალური ფონი დღითიდღე უარესდება. გულწრფელად გეტყვით, მეეჭვება, ახალმა მთავრობამ უახლოესი წლების განმავლობაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება შეძლოს. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის, თუმცა რეალური მდგომარეობა სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს.

კულტურის სამინისტრო დევნილ ბავშვებზე იზრუნებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მეურვეობა აიღო 1000-მდე დევნილ ბავშვსა და 71 დევნილ პედაგოგზე. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად საქართველოს მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში გახსნილი 12 სახელოვნებო სკოლა კულტურის სამინისტროს ძალისხმევით აღდგა. შედეგად, წეროვანში, გორში, მეტეხში, წილკანში, კოდაში, თელიანში, შავშვებში, სკრაში, კარალეთში, ხაშურში, მოხისსა და ახალსოფელში 71 დევნილი პედაგოგი განაახლებს მუშაობას, 1000-მდე ბავშვი კი უფასოდ დაეუფლება ხელოვნების დარგებს.

ფონდის მიერ „ხელოვნები თანადგომისათვის“ 2008 წელს გახსნილმა 12-მა სახელოვნებო სკოლამ 2013 წლიდან შეწყვიტა ფუნქციონირება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ინიციატივით, ნოემბრიდან ამ კერების ახალი ეტაპი დაიწყო.

პირველ ნოემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრ დავით დარახველიძესთან ერთად წეროვანს ესტუმრა. მინისტრმა მოსახლეობას, ბავშვებსა და პედაგოგიურ კოლექტივს მიულოცა პროექტის განახლება და წეროვანის ახალგაზრდულ ცენტრს საჩუქრად გადასცა კინოთეატრის აპარატურა. გურამ ოდიშარიამ ისაუბრა სკოლის მომავალ გეგმებზეც, სადაც მუდმივად მოეწყობა სამხატვრო და მუსიკალური მასტერკლასები.

დელეგაციამ დაათვალიერა წეროვანის საჯაროსკოლაში დევნილი ბავშვების მიერ შესრულებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა და შეაფასა საკონცერტო ნომრები პატარების მონაწილეობით.

მინისტრთან ერთად წეროვანს ასევე სტუმრობდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, ფონდის „ხელოვნები თანადგომისათვის“ ხელმძღვანელი ციცი იაშვილი და სამინისტროების წევრები.

გურამ ოდიშარია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდსაც შეხვდა, რომელმაც ქართულ საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია ამერიკის საელჩოს მიერ გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციისთვის 600 ათასი დოლარის გამოყოფის შესახებ. როგორც შეხვედრაზე გადაწყდა, თანხა ტაძრის სახურავის რესტავრაციას და გარე ფასადს მოხმარდება. სამუშაოები 2014 წლის გაზაფხულიდან დაიწყება. სარეაბილიტაციო სამუშაოებს „საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“ სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ფაკულტეტთან ერთად განახორციელებს.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტი ახალი აპარატურით აღიჭურვა. სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეები მანანა ბერიკაშვილი და ალექსანდრე მარგიშვილი, უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანი დავით ჯანელიძე და სტუდენტები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, კინო-ტელე ფაკულტეტის ტექნიკური აღჭურვისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, გამოიყო სპეციალური გრანტი 500.000 ლარი. შეიქმნა ჯგუფი პედაგოგებისა და სტუდენტებისგან, რომელმაც ჩამოაყალიბა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული ხედვა, შეირჩა აპარატურა სასწავლოსტუდიისთვის. გარდა ახალი ტექნიკის შეძენისა, კულტურის სამინისტროს გრანტის საშუალებით გარემონტდა და სრულად იცვალა სახე სასწავლო აუდიტორიებმა, ფაქტობრივად შეიქმნა სტუდიები, რომელიც აღიჭურვა დიდი მონიტორებით, კომპიუტერებით და განათების ხელსაწყოებით. აღჭურვამ სასწავლო პროცესი ბევრად გააუმჯობესა და სტიმული მისცა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. უკვე დაიწყო დიდი პავილიონისა და ხმის სტუდიის სამშენებლო სამუშაოები.

– დღეს უკვე სტუდენტებს უახლესი გადამღები აპარატურით მუშაობის საშუალება აქვთ. შეუძლიათ ისწავლონ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ამონტაჟონ იზოლირებულ, საერთაშორისო დონის კლასის პროგრამებით აღჭურვილ სამონტაჟოებში. უდიდესი შენაძენია, ასევე, ხმის რეჟისორებისათვის თანამედროვე აპარატურა. ამ პროცესებმა ასახვა ჰპოვა სასწავლო პროცესზე, კინო-ტელე ფაკულტეტს დაემატა ახალი საგნები: ახალი ტექნიკა ტექნოლოგიები, კინო-ტელე მხატვრობა, პროდიუსინგი, მენეჯმენტი და დისტრიბუცია, 3დე ანიმაცია, 3დე სტერეოსკოპია, გამოსახულების სამეტყველო ენა და სემანტიკა, სპეცკურსი ოპერატორებისათვის ახალი აპარატურის ასათვისებლად, – განმარტა დავით ჯანელიძემ.

უნივერსიტეტს გაუჩნდა საშუალება დააფინანსოს საკურსო (500 ლარით) და სადიპლომო (1500 ლარით) ნამუშევრები. ეს თანხა საწყისია, რათა სტუდენტმა მოიპოვოს თანადაფინანსება სხვადასხვა წყაროებიდან.

მთელი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დახმარებით ჩატარდა მასტერკლასები მაღალი რანგის უცხოელი სპეციალიტეტების მიერ. ლოძის კინოსკოლასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში ივნისივლისში პოლონელმა პედაგოგებმა ჩაატარეს საზაფხულო სკოლა დაინტერესებული სტუდენტებისათვის, შეიქმნა ერთობლივი ფილმი „თბილისი გამთენიიდან დაღამებამდე“, რომლის პრემიერაც დეკემბერში, თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე შედგება.

უნივერსიტეტი ინტენსიურად თანამშრომლობს „ფრანგულ ინსტიტუტთან“, გოეთეს ინსტიტუტთან, ასევე ამერიკის, ისრაელის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ლიტვისა და სხვა საელჩოებთან. ოქტომბერში ალმა-ატაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას და უნივერსიტეტი „წამყვანი კინოსკოლების ასოციაციის“ წევრი გახდა. 2013 წელს კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებმა სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე მოიპოვეს 9 ძირითადი პრიზი, მათ შორის 3 გრან პრი: „ყველაზე ძვირფასი“ რეჟისორი სოსო ბლიაძე (მიხო ბორაშვილის ჯგუფი) ლიუბლიანა, სლოვენია, ფესტივალი „ფილოფესტ“ მთავარი პრიზი საუკეთესო ფილმისთვის, პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, პრიზი საუკეთესო მსახიობისთვის. ფილმი აგრეთვე მოხვდა „სილექტის“ საუკეთესო ათეულში და ნაჩვენები იყო თელ-ავივში; „გზაჯვარედინი“ რეჟ. ზურა დემეტრაშვილი (ლევან თუთბერიძის ჯგუფი.) პორტო, პორტუგალია, ფესტივალი „მიფეკ“ მთავარი პრიზი საუკეთესო ფილმისთვის. ჟიურის სპეციალური პრიზი „ამირანი-2013“; „აქოდესღაც ზღვა იყო“ რეჟისორი ლევან სიხარულიძე (ლევან თუთბრიძის ჯგუფი) ალმა-ატა, ყაზახეთი, მთავარი პრიზი საუკეთესო ფილმისთვის, პრიზი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის „ამირანი 2013“; „მერაბ დუკაშვილი“ რეჟ. ზაზა ნოზაძე (ბუბა ხოტივარის ჯგუფი) პრიზი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის „ამირანი 2013“. ქართული კინოსკოლა ნოემბერში მიწვეულია კოტბუსის(გერმანია), ვგიკის(მოსკოვი), მიუნჰენის(გერმანია) ფესტივალებზე.

კულტურის სამინისტრომ კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა კულტურის მოყვარულებს – „ახალი საუნჯე“. მისი პრეზენტაცია „მწერალთა სახლში“ გაიმართა. ჟურნალის რიგით მეექვსე ნომრის წარდგენასთან ერთად მოეწყო შეხვედრა ჟურნალის ავტორებთან და სარედაქციო ჯგუფთან. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი შოთა იათაშვილი, სარედაქციო ჯგუფი, მწერლები და მიწვეული სტუმრები. ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი „ახალი საუნჯე“ უკვე რამდენიმე თვეა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცემა. „ახალი საუნჯე“ პროზისა და პოეზიის ახალ ნიმუშებთან ერთად აერთიანებს თარგმანებსა და კრიტიკულ რევიუებს.

რიგით მეექვსე ნომრის ავტორები არიან ეკა ქევანიშვილი „წერა – სუნთქვაა!“, ლელა კოდალაშვილი „პოეტები – ხიდები“, მარიამ წიკლაური „როცა არ გიყვარს, არათუ სული, არამედ მღვრიეა მთელი ეს ჩვენი კაცობრიობა“, შალვა ბაკურაძე „მისი ფოლკლორული ხმა“, ბათუ დანელია „ლექსები“, ციტატები (ივანე ამირხანაშვილი, ნონა კუპრეიშვილი, გურამ ბენაშვილი, თამარ ერისთავი, თემურ შავლაძე). რუბრიკაში ბიოგრაფია წარმოდგენილია კლაუს კაშტბერგერი – ფრიდერიკე მაირიოკერი ფრიდერიკე მაირიოკერი „ლექსები“, ბოლო ჰელი „ეს ცეცხლოვან ბორბალს ჰგავს“ (ინტერვიუ ფრიდერიკე მაირიოკერთან), ფრიდერიკე მაირიოკერი – ქალაქ ვენაზე მიჯაჭვული; ერნსტ იანდლი და მისი მოვალეობა ღმერთების წინაშე. ფრიდერიკე მაირიოკერი – სამი სიტყვა. პროზა, ესეისტიკა – ზურაბ გოგიძე „სისტერ ოფ ზი მუნს“, მარიკა მამალაძე „უცვეთი ანრი“, დავით ქართველიშვილი „ვენი ვიდი...“ (მეორე ნაწილი). პოეზია – ლუკა აქიმიძე, მაია ლიპარტელიანი, ერეკლე შველიძე. ნობელიანტი – ამბროსი გრიშიკაშვილი, რკინიგზის „რაპორტებიდან“ ნობელის პრემიამდე. ახალი თარგმანები – უმბერტო ეკო „პრაღის სასაფლაო“. II თავი. ვინ ვარ მე? ხელოვნება – ზაზა შათირიშვილი „ტფ/თბილისური კულტურის პოეტიკა“, დავით ანდრიაძე „სათაური ბოლოში ანუ ჯარა სიზმართა ცთომილთა“. ახალი წიგნები – ეკა ქევანიშვილი, სალომე ბენიძის უძინართა ამბავი; ირაკლი კაკაბაძე, სახელმწიფო სახრჩობელასთან.

ლიტერატურული პროცესები აქტუალურია არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ამბროლაურის კულტურის ცენტრში ლიტერატურული მარათონის „მწამს მომავალი სახე მცინარი“ მონაწილეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. მარათონის დაფინანსებაში პირველად ჩაერთო სახელმწიფო სექტორი და კონკურსი ახალგაზრდა მკითხველებისათვის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით შედგა. ღონისძიებაზე დასწრების სურვილი ორგანიზატორებსა და მიწვეულ სტუმრებთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველმა ქარუმ წერეთელმა გამოთქვა.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, ლიტერატურული მარათონის „მწამს მომავალი სახე მცი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქართული ფლორის მცენარეებითა და აპითერაპიის პროდუქტებით უოპერაციოდ ვმკურნალობთ მასტოპათიას, საკვერცხის კისტას, მიომას, ბუასილს, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულს, კვანძოვან ჩიყვს, ნაღვლის ბუშტსა და თირკმლის კენჭოვან დაავადებებს, ნევროზს, კოლიტს, დისბაქტერიოზს, დიაბეტს, ეპილეფსიას, ენურეზს. ტელ: 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● მთლიანი ორგანიზმის ფუნქციონალური დიაგნოსტიკა, დგინდება ორგანიზმში პათოლოგიური პროცესების არსებობა, ასევე სიმსივნის ადრეული სტადიები, შემდეგ ინიშნება მკურნალობა მცენარეული პრეპარატებითა და ფუტკრის პროდუქტებით. 599-742-369; 270-78-03 (ბინა); 790-70-78-03 (სამს). ექიმი ანასტასია ელიზბარაშვილი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათორგანიზმი, ალაგდებაყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრჩებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

სანაკრებო პაუზას ლელო ლიდერად ხვდება

ლელო – არმაზი 28:3

ლელო: ჯოგლიძე, გუგავა, კორკელია, კოპაძე (ხეცურიანი 50), ნიჟარაძე, ხმალაძე, გ.კაჭარავა (მინდიაშვილი 72); პატარაია (სარჯველაძე 71), ბელქანია (ლომთაძე 56), მელიქიშვილი (ლ.მჭედლიძე 76), ნიკოლაიშვილი (ხორბალაძე 72), ქოიავა, მძინარიშვილი, კოლელიშვილი (არველაძე 72), ჭყოიძე

3 ლელო: კოპაძე, ჭყოიძე, კაჭარავა

2 გარდასახვა: ჯოგლიძე

2 ჯარიმა: ჯოგლიძე

1 არეკნი: ხმალაძე

არმაზი: ნიკოლავა (ლობჟანიძე 73), სირაძე, მაჩხანელი, კაიფაჯიანი, ჩხაიძე, კიკნაძე, მისრიაშვილი (მჟავანაძე 55); ბუკია, თაგაური, ესართია, ზ.კაჭარავა (ა.მჭედლიძე 56), არჩუაშვილი, კანდელაკი (თიგიშვილი 74), მინაშვილი, სოსელია

1 ჯარიმა: კიკნაძე

გადადებულ მატჩში „ლელომ“ თანაქალაქელ „არმაზს“ დამაჯერებლად სძლია, სამი უპასუხო ლელოს გატანისთვის პრემიალური ქულაც ჩაიწერა და სანაკრებო შესვენებაზე ლიდერად გავიდა.

„ლელო“ მეტოქეს შერკინებაში სჯობდა და საკუთარ შანსებსაც უფრო ეფექტურად იყენებდა. პირველად მათ მე-8 წუთზე გამოიყენეს შანსი და დაჩი კოპაძემ ლელო გაიტანა, ხოლო გოდერძი ჯოგლიძემ გარდასახა და ანგარიში 7:0 გახდა. ამის შემდეგ „არმაზი“ გააქტიურდა და დავით კიკნაძემ ჯარიმით შეამცირა ჩამორჩენა. არმაზელებს ლელოს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ კაიფაჯიანს დამიწება მცველმა დაასწრო.

„ლელომ“ ისევ დაალაგა თამაში, საპასუხოდ თავადაც შეეძლოთ ლელოს დადება, მაგრამ ვერ მოახერხეს, სამაგიეროდ, ჯოგლიძემ ჯარიმა უშეცდომოდ დაარტყა, რასაც ვერ ვიტყვით არმაზელ დამრტყმელებზე, რომლებმაც ორჯერ სახეირო პოზიციიდან უზუსტოდ დაარტყეს.

ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე „არმაზი“ შერკინებაში ვერ დადგა, უკან დაიხია და გიორგი ჭყოიძემ ბურთი ჩათვლის მოედანში დაამიწა, ხოლო ჯოგლიძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ტაიმიც 17:3 მორჩა.

მეორე ტაიმი კვლავ „ლელოს“ იერიშებით დაიწყო და ჯოგლიძემ ჯერ ჯარიმით გაზარდა უპირატესობა, ხოლო 55-ე წუთზე ლაშა ხმალაძემ შეტევა არეკნით დაასრულა.

ამის შემდეგ ორივე გუნდმა ლელოზე დაიწყო თამაში – „არმაზს“ ჩამორჩენის შესამცირებლად ჯარიმების დარტყმა ხელს აღარ აძლევდა, ხოლო „ლელო“ პრემიალურ ქულაზე ფიქრობდა და გამოუვიდა კიდეც – გიორგი ლომთაძემ ხაზი გაჭრა და ჩათვლის მოედანში ბურთი კაჭარავას შეაყოლა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მაგრამ მეტი აღარაფერი შეცვლილა და „ლელომაც“ 28:3 იმარჯვა.

სატურნირო ცხრილი:

1.ლელო	8	7	0	1	208-93	32
2.ლოკომოტივი	8	6	0	2	187-131	28
3.აია	8	6	0	2	169-101	28
4.არმაზი	8	5	0	3	161-165	22
5.ყოჩები	8	4	1	3	196-170	21
6.ჯიქები	8	3	2	3	180-129	20
7.არმია	7	3	1	3	150-128	17
8.აკადემია	7	1	0	6	76-185	6
9.ბათუმი	7	1	0	6	97-202	5
10.ხარები	7	0	0	7	85-205	2

ფაჩულიას განსხვავებული მატჩები

ზაზა ფაჩულიას ახალ სეზონში ჩინებული სტარტი გამოუვიდა. პირველ მატჩსა და ორმაგ დუბლზე უკვე ვწერდით, მისმა „მილუოკიმ“ კი უქმეებზე კიდევ ორი მატჩი გამართა.

მეორე მატჩში, „ბოსტონთან“ ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა, თუმცა მთლიანობაში ზაზა უფრო შედეგიანი იყო. ქართველმა ცენტრმა 20 ქულა მოაგროვა, რაც ნბა-ში ქართველი კალათბურთელისთვის მართლაც გამორჩეული შედეგია.

რაც ძალიან მნიშვნელოვანია, „მილუოკიმ“ მოიგო და ამაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ ფაჩულიას მიუძღვის. მოგებაცაა და მოგებაც – „მილუოკი“ მე-3 მეოთხედში 22 ქულით აგებდა, შემდეგ კი წარმოუდგენლად შედეგიანი თამაშით მოახერხა „ბოსტონ გარდენში“ „სელტიკისთვის“ გამარჯვების გამოგლეჯა. ფაჩულიას ზუსტი საჯარიმეობის შემდეგ „მილუოკი“ საფინალო სირენამდე 44 წამით ადრე დაწინაურდა, ხოლო დარჩენილ დროში დემორალიზებული ბოსტონელებს საბოლოოდ მოუღო ბოლო – 105:98.

ფაჩულიამ პირადი რეკორდი დაამყარა საჯარიმო სროლებში. ქართველმა ცენტრმა 10-დან 10-ივე საჯარიმო ჩააგდო, რაც ნბა-ში დღესდღეობით ნებისმიერი ცენტრისთვის კი არა, კალათბურთელისთვის საოცნებო შედეგია. ზაზამ 29 წუთს ითამაშა და 10 საჯარიმოსთან ერთად 10-დან 5 ორქულიანი ჩააგდო. 20 ქულასა და 9 მოხსნასთან ერთად ფაჩულიამ 4 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა, ბურთი კი არც ერთხელ არ დაუკარგავს.

მილუოკელთაგან ზაზას შემდეგ საუკეთესო შედეგი გარი ნილსა და ჯონ ჰენსონს ჰქონდათ, რომლებმაც 14-14 ქულა ჩააგდეს.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ასეთი სტარტის შემდეგ საშინაო არენაზე, სადაც „მილუოკი“ 90:97 დამარცხდა „ტორონტოსთან“ ფაჩულიას მცირე დრო დაუთმეს და ჩვენებურიც გაცილებით მოკრძალებული იყო.

ზაზამ მილუოკელთაგან ყველაზე ცოტა – 14:22 წუთი ითამაშა. ვერ ვიტყვით, „ბაქსის“ ძირითად ცენტრ ლარი სანდერსს თამაში წაუვიდა და ქართველი მეფარე ამიტომ დარჩა სათადარიგოდ თქო, რადგან სანდერსმა 22 წუთში მხოლოდ 4 ქულა, 4 მოხსნა და 1დაფარებამოაგროვა. ფაჩულიას ანგარიშზე კი 6 ქულა და 3 მოხსნაა.

ქუთაისური რეკორდები

ქუთაისი – მაქაბი 117:69
(23:9; 37:20; 28:16; 29:24)

ქუთაისში მიმდინარე სეზონის ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა. იმერულმა გუნდმა „მაქაბის“ უმასპინძლა და 48 ქულის სხვაობით – 117:69 დაამარცხა. მიმდინარე სუპერლიგაში არც 117 ქულა ჩაუგდია რომელიმე გუნდს და არც ასე დიდი სხვაობით უმარჯვია.

მალხაზ კოხრეიძის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა სუპერლიგში დაბრუნებული „მაქაბი“ არ დაინდეს. პირველი მეოთხედი მასპინძლებმა 23:9 მოიგეს, დიდი შესვენებისთვის კი ქუთაისელები უკვე 31 ქულით ლიდერობდნენ. მატჩის ბედი პირველი ტაიმის შემდეგ გარკვეული იყო, საინტერესო ისღა დარჩა, თუ რა სხვაობით იმარჯვებდნენ მასპინძლები.

ქუთაისელებს არ უჭირდათ ქულების მოპოვება, მწვრთნელიც ხშირ როტაციას მიმართავდა და გუნდის ყველა წევრს მისცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. კალათბურთელებმაც გაუმართლეს – ერთბაშად 7-მა კალათბურთელმა გამოსახა თავისი მონაგარი ორნიშნა რიცხვით, რომელთა შორისაც ყველაზე მეტი, 19 ქულა ავთანდილ ლომინაშვილმა მოაგროვა.

ყველაზე სარგებლიანი კი აკაკი დვალიშვილი გახლდათ, რომელმაც 18 ქულა და 21 მოხსნა (ესეც მიმდინარე სეზონის რეკორდია) მიითვალა. 18 ქულითა და 8 პასით დაასრულა შეხვედრა ქუთაისელთა რუსთაველმა გამთამაშებელმა გოგა ცეკვავამ. მაქაბელთა შორის 2 კალათბურთელი გამოირჩა: ლევან რევაზაშვილმა 30 ქულა დააგროვა, გიორგი ფერიაშვილმა კი – 22.

მატჩის შემდეგ

მედეა მხეიძე, ქუთაისის მწვრთნელი:

– დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ. შეხვედრამ საშუალება მოგვცა 12-ვე კალაბურთელს მიეღო თამაშში მონაწილეობა. სწრაფი და მოძრავი კალათბურთი ვაჩვენეთ. ინდივიდუალური თამაში უფრო გამოგვივიდა ვიდრე გუნდური. ბიჭები თავიდანვე მობილიზებულნი იყვნენ და ძალიან კარგად იასპარეზეს. რაც მთავარია მაყურებელმაც და მოთამაშებმაც სიამოვნება მიიღეს თამაშით. „მაქაბი“ ახალგაზრდა გუნდია, რომელსაც გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს და გუნდურად თამაშობს. ამ გუნდს საკუთარი თამაშის პოვნას და წარმატებას ვუსურვებ. ჩვენთვის ყველაფერი ახლა იწყება. წინ ურთულესი თამაშების სერია გველის და იმედია წარმატებით დაწყებულ სეზონს წარმატებითვე გავაგრძელებთ.

ჯამლეტ ხუხაშვილი, მაქაბის მთავარი მწვრთნელი:

– ვულოცავ ქუთაისის გუნდს დამსახურებულ გამარჯვებას, თუმცა ვფიქრობ ჩვენს შორის არ არის ისეთი დიდი სხვაობა როგორიც დღეს ანგარიშზე აისახა. ქუთაისელებს ყველაფერი გამოუვიდათ, ჩვენ კი ცარიელ ფარშიც ვერ ვაგდებდით ბურთს. იღბალი დღეს ჩვენკენ არ იყო, ქუთაისელებმა კი მაქსიმუმი გააკეთეს. განსაკუთრებით გამოვარჩევდი ლევან ცეკვავს კარგ თამაშს, რომელმაც ფრთები შეასხა საკუთარ გუნდს და საჭირო სამქულიანები ჩააგდო. ჩვენს გუნდს აკლია გიორგი რევაზაშვილი, რომელსაც ტრავმა აქვს და მეორე წრემდე ვერ დაგვეხმარება. ვფიქრობ, მისი დაბრუნების შემდეგ ჩვენი გუნდი აუცილებლად გაძლიერდება და სულ სხვა თამაშს ვაჩვენებთ – ასე იოლად ვერ მოგვიგებენ.

რუსთავი – სოხუმი 45:78
(11:9; 14:29; 14:20; 6:20)

სოხუმელთა მწვრთნელმა, ვაჟა კვარაცხელიამ თავს უფლება მისცა, თამაში ოპტიმალური შემადგენლობით არ დაეწყო. მოედანზე თავიდანვე ვერ ვიხილეთ ამერიკელი გამთამაშებელი ჯოშუა ჯექსონი, ვახტანგ ქადარია და ნიკა მეტრეველი. შესაბამისად, მასპინძლებმა პირველ მეოთხედში მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და საწყისი ათწუთეული 11:9 მოიგეს.

პირველი პერიოდის ბოლო წუთებზე მოედანზე სოხუმელთა ძირითადი ხუთეულის წევრები გამოჩდნენ – ჯოშუა ჯექსონმა სტუმრებს სისწრაფე შემატა, ხოლო მეტრეველმა ფარქვეშ იყოჩაღა და როცა შეცვლაზე შემოსულმა რატი ბაკაშვილმაც გაისწორა მიზანი, სოხუმელებმა გაქცევა მოაწყვეს. მეორე ათწუთეული კვარაცხელიას გაწვრთნილმა გუნდმა 29:14 მოიგო და დიდ შესვენებაზე 14-ქულიანი ლიდერობით გავიდა. სტუმართა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა ირაკლი ჩლაიძეს, რომელიც საბოლოოდ მატჩის ბომბარდირი გახდა.

მესამე პერიოდში სოხუმელებმა საბოლოოდ გაიფორმეს გამარჯვება, როცა ათწუთეული 20:14 მოიგეს და ბოლო მეოთხედის წინ 19 ქულით დაწინაურდნენ. დარჩენილ დროში რუსთაველებმა სათადარიგო, ახალგაზრდა კალათბურთელები გამოიყვანეს და საბოლოოდ შეხვედრაც სოხუმელთა 33-ქულიანი სხვაობით დასრულდა.

გამარჯვებულთაგან 18 ქულით საუკეთესო ირაკლი ჩლაიძე გახლდათ, ხოლო ნიკა მეტრეველმა 14 მიითვალა. ორმაგი დუბლით დაასრულა ჯერემი საიმონსმა, რომელმაც 10 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა. რუსთაველთაგან 12-12 ქულა ჰქონდათ ლევან ხმელიძესა და რევაზ ჩაჩანიძეს.

ოთარ ხმელიძე, რუსთავის მთავარი მწვრთნელი:

– „სოხუმი“ ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია და შედეგიც ლოგიკურია. სადამდეც შეგვეძლო, მეტოქეს გავუძალიანდით, პირველ მეოთხედში განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ, თუმცა შემდეგ სოხუმელებმა თამაში გამოასწორეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ჩვენ არ გვყავს ისეთი მოთამაშეები, რომ მეტოქისთვის სათანადო წინააღმდეგობა გაგვეწია.

ვაჟა კვარაცხელია, სოხუმის მთავარი მწვრთნელი:

– შეხვედრა ექსპერიმენტალური შემადგენლობით დავიწყეთ, რადგან მეტოქე არ გვყავდა ისეთი, რომ საფრთხე დაგვმუქრებოდა. პირველი ხუთეულით ვითამაშებდით თუ მეორეთი, უნდა მოგვეგო და საბოლოოდ ასეც მოხდა. მთავარია, სხვა, უფრო ძლიერ გუნდებთან გავიმარჯვოთ, დღევანდელი მოგება კი ლოგიკური იყო.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	3	3	0	298:193	6
2.არმია	2	2	0	147:111	4
3.სოხუმი	3	1	2	198:196	4
4.რუსთავი	3	0	3	162:254	3
5.ოლიმპი	2	1	1	182:164	3
6.მაკაბი	3	0	3	211:300	3
7.ბათუმი	2	1	1	166:157	3
8.დინამო	1	1	0	70:63	2
9.შსს	1	1	0	87:83	2

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

ნიუკასლი-ჩელსი 2:0
ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი 2:0
ვესტ ჰემი-ასტონ ვილა 0:0
სიტი-ნორვიჩი 7:0
სტოკი-საუთჰემპტონი 1:1
ფულემი-მანჩესტერი 1:3
ჰალი-სანდერლენდი 1:0
არსენალი-ლივერპული 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	10	8	1	1	22-9	25
2.ჩელსი	10	6	2	2	16-8	20
3.ლივერპული	10	6	2	2	17-10	20
4.სიტი	10	6	1	3	28-11	19
5.საუთჰემპტონი	10	5	4	1	11-4	19
6.ტოტენჰემი	9	6	1	2	9-5	19
7.ევერტონი	9	5	3	1	14-10	18
8.მანჩესტერი	10	5	2	3	17-13	17
9.ნიუკასლი	10	4	2	4	14-16	14
10.ჰალი	10	4	2	4	8-10	14
11.ვესტ ბრომვიჩი	10	3	4	3	10-10	13
12.სუონსი	9	3	2	4	12-11	11
13.ასტონ ვილა	10	3	2	5	9-12	11
14.ვესტ ჰემი	10	2	4	4	8-8	10
15.ფულემი	10	3	1	6	10-15	10
16.სტოკი	10	2	3	5	7-11	9
17.კარდიფი	9	2	3	4	8-13	9
18.ნორვიჩი	10	2	2	6	6-20	8
19.სანდერლენდი	10	1	1	8	7-22	4
20.კრ. პალასი	10	1	0	9	6-21	3

ინგლისი. ჩემპიონიგა

უოტფორდი-ლესტერი 0:3
ბირმინგემი-ჩარლტონი 0:1
ბლექბერნი-მიდლსბრო 1:0
ბორმნუთი-ბოლტონი 0:2
დონკასტერი-ბრაიტონი 1:3
ქარ-დერბი 2:1
ლიდსი-იოვილი 2:0
მილუოლი-ბარნლი 2:2
ნოტინგემი-ბლექპული 0:1
უიგანი-ჰადერსფილდი 2:1
უენსდი-რედინგი 5:2

ესპანეთი. ჩემპიონიგა დივიზიონი

ბარსელონა-ესპანიოლი 1:0
სოსიედადი-ოსასუნა 5:0
ალმერია-ვალიდოლიდი 1:0
რაიო-რეალი 2:3
სევილია-სელტა 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	12	11	1	0	34-7	34
2.ატლეტიკო	11	10	0	1	28-8	30
3.რეალი	12	9	1	2	30-16	28
4.ვილიარეალი	11	6	2	3	19-12	20
5.ბილბაო	11	6	2	3	18-15	20
6.ხეტაფე	11	6	1	4	16-12	19
7.სოსიედადი	12	4	5	3	18-12	17
8.ლევანტე	11	4	5	2	12-14	17
9.ესპანიოლი	12	4	3	5	12-15	15
10.ელჩე	11	3	4	4	12-15	13
11.სევილია	12	3	4	5	20-25	13
12.ვალენსია	11	4	1	6	14-19	13
13.სელტა	12	3	3	6	14-16	12
14.ვალიადოლიდი	12	2	5	5	14-18	11
15.გრანადა	11	3	2	6	7-12	11
16.მალაგა	11	2	4	5	11-14	10
17.ოსასუნა	12	3	1	8	10-21	10
18.ბეტისი	11	2	3	6	9-17	9
19.ალმერია	12	2	3	7	14-24	9
20.რაიო	12	3	0	9	10-30	9

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ნუმანსია-ბარსელონა ბ 1:0
ეიბარი-სარაგოსა 3:2
მალიორკა-ლუგო 0:0
ხირონა-ერკულესი 2:2
ლას პალმასი-ალკორკონი 1:0

იტალია. სერია ა

პარმა-იუვენტუსი 0:1
მილანი-ფიორენტინა 0:2
ნაპოლი-კატანია 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.რომა	10	10	0	0	24-1	30
2.ნაპოლი	11	9	1	1	24-8	28
3.იუვენტუსი	11	9	1	1	23-10	28
4.ფიორენტინა	11	6	3	2	22-13	21
5.ინტერი	10	5	4	1	24-12	19
6.ვერონა	10	6	1	3	20-16	19
7.ლაციო	10	4	3	3	15-13	15
8.უდინეზე	10	4	1	5	11-11	13
9.ატალანტა	10	4	1	5	12-13	13
10.მილანი	11	3	3	5	17-19	12
11.პარმა	11	3	3	5	16-19	12
12.ტორინო	10	2	5	3	16-18	11
13.ჯენოა	10	3	2	5	9-14	11
14.კალიარი	10	2	4	4	10-17	10
15.ლივორნო	10	2	3	5	12-16	9
16.სამპდორია	10	2	3	5	9-16	9
17.ბოლონია	10	2	3	5	13-22	9
18.კატანია	11	1	3	7	7-19	6
19.სასუოლო	10	1	3	6	8-24	6
20.კიევო	10	1	1	8	7-18	4

იტალია. სერია ბ

სიენა-ჩიტადელა 1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-ლევერკუზენი 1:0
ჰამბურგი-გლადბახი 0:2
ჰერტა-შალკე 0:2
ნიურნბერგი-ფრაიბურგი 0:3
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი 1:2
აინტრახტი-ვოლფსბურგი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	11	9	2	0	24-7	29
2.დორტმუნდი	11	9	1	1	31-9	28
3.ლევერკუზენი	11	8	1	2	22-11	25
4.გლადბახი	11	6	1	4	25-15	19
5.ვოლფსბურგი	11	6	0	5	16-13	18
6.შალკე	11	5	2	4	20-22	17
7.ჰერტა	11	4	3	4	17-14	15
8.ჰოფენჰაიმი	11	3	4	4	26-25	13
9.შტუტგარტი	11	3	4	4	21-20	13
10.ჰანოვერი	10	4	1	5	12-16	13
11.მაინცი	10	4	1	5	15-21	13
12.ჰამბურგი	11	3	3	5	23-24	12
13.ვერდერი	10	3	3	4	9-15	12
14.აინტრახტი	11	2	4	5	14-20	10
15.აუგსბურგი	10	3	1	6	11-19	10
16.ფრაიბურგი	11	1	5	5	12-21	8
17.ნიურნბერგი	11	0	7	4	11-22	7
18.ბრაუნშვაიგი	11	2	1	8	8-23	7

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კაიზერი-ზ.პაული 4:1
აუე-ფიურტი 2:6

საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-მარსელი 1:1
აიაჩო-ვალანსიენი 1:3
ლიონი-გენგამი 2:0
რეიმსი-ბასტია 4:2
სოშო-სენტ ეტიენი 0:0
ევიანი-ტულუზა 2:1

1.პსჟ	12	8	4	0	24-7	28
2.მონაკო	11	7	4	0	20-8	25
3.ლილი	11	7	2	2	13-4	23
4.ნანტი	11	6	1	4	15-9	19
5.მარსელი	12	5	3	4	16-12	18
6.რეიმსი	12	4	6	2	15-12	18
7.სტ. ეტიენი	12	5	3	4	17-15	18
8.რენი	12	4	5	3	16-12	17
9.გენგამი	12	5	2	5	16-14	17
10.ნიცა	11	5	2	4	12-11	17
11.ლიონი	12	4	3	5	17-15	15
12.ბასტია	12	4	3	5	14-19	15
13.ევიანი	12	4	3	5	14-20	15
14.ტულუზა	12	4	3	5	10-18	15
15.ბორდო	11	3	5	3	14-13	14
16.მონპელიე	11	2	6	3	14-15	12
17.ლორიანი	12	3	1	8	11-23	10
18.ვალანსიენი	12	2	2	8	10-19	8
19.აიაჩო	12	1	4	7	8-18	7
20.სოშო	12	1	4	7	10-22	7

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-კანი 2:1

ჰოლანდია. ეროვნული

აიაქსი-ვიტესი 0:1

ვიტესელთა გოლი
ვაკო ყაზაიშვილმა გაიტანა

ალკმაარი-დენ ჰააგი 2:0
ტვენტე-ნაიმეგენი 2:2
პსვ-ზვოლე 1:1

პორტუგალია. ა ლიგა

აკადემიკა-ბენფიკა 0:3
ბელენენსეში-პორტუ 1:1
სპორტინგი-მარიტიმუ 3:2

ხუთეული. ჩემპიონიგა

ვოლგა-ცსკა 1:2
დინამო-ტომი 1:0
ზენიტი-ამკარი 1:1
კრასნოდარი-ყუბანი 1:2

მოტლანდია. ჩემპიონიგა

ინვერნესი-კილმანროკი 2:1
სელტიკი-დ.იუნაიტედი 1:1
ჰართსი-სტ.ჯონსონი 0:2

შვეიცარია. სუპერლიგა

არაუ-ბაზელი 1:1
სიონი-ლუცერნი 3:0

ბელგია. ჩემპიონიგა

ანდერლეხტი-ლეუვენი 3:1
კორტრაიკი-ოსტენდე 2:0
ლიერსი-შარლერუა 2:1
მეხელენი-ვარეგემი 2:1
მონსი-გენკი 2:3

ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ადმირა 4:2
ვოლფსბურგერი-გროდიგი 1:1
ზალცბურგი-შტურმი 1:0
რიდი-ინსბრუკი 4:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-ფენერბახჩე 2:3
ქაისერი-ქაშიმფაშა 0:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-პლატანიასი 1:0
პაოკი-ერგოტელისი 2:1
პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი 0:1

ჩეხეთი. გამბჰინესლიგა

ბრნო-იიჰლავა 1:0
პრჟიბრჟამი-სლავია 0:0
ლიბერეცი-ზნოიმო 0:0
სლოვაკეკო-დუკლა 0:1
სპარტა-ტეპლიცე 2:0

პორტუგალია. ექსტრაჯანა

კრაკოვია-კორონა 1:2
ვიძევი-პოგონი 2:1
ლეგია-ზაგლებიე 2:0

ლეგიას მეორე გოლი
ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა

უკრაინა. ჩემპიონიგა

ჰოვერლა-სევასტოპოლი 1:2
ილიჩევეცი-ტავრია 1:2

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი 4:0
ოლბორგი-ოდენსე 1:0

აშშ. მლს

პლეი ოფი

ნიუ ენგლანდი-კანზასი 2:1
სიეტლი-პორტლენდი 1:2

ბრაზილია. სერია ა

ვასკუ-კურიტიბა 2:1
სან პაულუ-პორტუგეზა 2:1
ატლეტიკო(მ)-ნაუტიკუ 5:0

არგენტინა. ჩემპიონატი

არხენტინოსი-ოლიმპო 4:0
როსარიო-რაფაელა 3:2
გოდოი-ბელგრანო 1:1
ხიმნასია-რასინგი 1:3

რატომ შეჩერდა რიყეზე მუსიკალური თეატრის მშენებლობა?

ეკა ირემაშვილი



რიყეზე მუსიკალური თეატრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობა შეჩერებულია. თბილისის განვითარების ფონდი მშენებლობის შეჩერების მიზეზად ფინანსების არქონას ასახელებს. მშენებლობის პირველი ეტაპი, რომელიც ნაგებობის აშენებას ითვალისწინებდა, უკვე დასრულებულია. ხოლო მეორე ეტაპი, რომელიც შიდა სამუშაოების დასრულებას მოიცავდა, ფინანსების არქონის გამო შეჩერებულია.

რიყეზე მუსიკალური თეატრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობისთვის ამ დრმდე 75 მილიონ ლარამდეა დახარჯული. რიყეზე მუსიკისა და დრამის თეატრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობას საფუძველი 2011 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თბილისის მერმა გშიგი უგულავამ ჩაუყარეს. ობიექტის მშენებლობა ორ წელიწადში უნდა დასრულებულიყო. შენობის პროექტი იტალიელ არქიტექტორს მასიმილიანო ფუქსასს ეკუთვნის. არქიტექტორი რიყის ტერიტორიის უკეთ შესწავლისა და დათვალიერების მიზნით, პირადად იმყოფებოდა თბილისში, რათა მისი პროექტი რიყის განაშენიანების გეგმაში სრულყოფილად ჩამჯდარიყო. პროგრამა რამდენიმე მასშტაბურ პროექტს მოიცავდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად რიყის პარკის ლანდშაფტური არქიტექტურისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მიიჩნეოდა, რომელიც სივრცის ძირითად ნაწილს მოიცავდა და ტერიტორიისათვის რეკრეაციული ფუნქციის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფდა. პარკის მთავარი განმსაზღვრელი და მახასიათებელი მწვანე არქიტექტურა და დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკებია. პარკის ტერიტორიაზე მცირე საბავშვო მოედნები, დასასვენებელი ადგილები და ამფითეატრი მოეწყო, სადაც სხვადასხვა მუსიკალური და გასართობი ღონისძიებები გაიმართება. ტერიტორია სხვადასხვა ტიპისა და ზომის სანათი საშუალებებით განათდა. რიყის პარკში დამსვენებლისთვის კომფორტული და სასიამოვნო გარემოა შექმნილი. რიყის პარკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი აქცენტი სამგანზომილებიანი გამოსახულებების მოძრავი მუსიკალური შადრევანია, რომელიც მთავარი საფეხმავლო მოედნით „მშვიდობის ხიდსა“ და ავლაბრის გვირაბის ახალი სეგმენტის სახურავზე მოწყობილ პრომენადეს უკავშირდება. გვირაბის სახურავი გამოყენებულია პარკის ერთ-ერთ ელემენტად და ინტეგრირებულია მთლიან სივრცესთან. რიყის სივრცითი გეგმარების კონცეფციის შემადგენელ ნაწილს „მშვიდობის ხიდი“ წარმოადგენს, რომელიც რიყის პარკს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან, ერეკლე II-ს, შავთელის, ჩახრუხაძის, ლესელიძის ქუჩებთან, მეიდანთან, კალასთან და აბანოთუბანთან აკავშირებს. მითითებული ქუჩები და უბნები ძველ თბილისში ერთ-ერთ ძირითად ტურისტულ მარშრუტს წარმოადგენს, შესაბამისად ნებისმიერი ტურისტისათვის და დაინტერესებული პირისთვის შესაძლებელია დროის მცირე მონაკვეთში, ავლაბრის მოედნიდან რიყის პარკში კიბით ჩასვლა და „მშვიდობის ხიდის“ გადაკვეთით აღნიშნულ ქუჩებთან დაკავშირება. რიყეზე ასევე დაიგეგმა ერთდროინიანი 320 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომის მშენებლობაც, რომელიც მოძრაობის განტვირთვის და ქალაქის უძველეს ნაწილში ავტომობილების პარკირების პრობლემის მოგვარებისთვის დაპროექტდა.

რიყეზე მდებარე მუსიკისა და დრამის თეატრი 500 მაყურებელზეა გათვლილი, თუმცა როდის დასრულდება რიყეზე დაწყებული მშენებლობა და დასრულდება თუ არა საერთოდ, ამ თემაზე თბილისის განვითარების ფონდში ვერ საუბრობენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ამ თემაზე საუბრისას განაცხადა, რომ:

– ბოლო დროს აღნიშნული პროექტით პატრიარქი ინტერესდება და ყოველდღე მახსენებს. თითქოს მეორეხარისხოვანიც გახდა ეს საკითხი. ველარ მოვიცალეთ მაგისთვის. საზოგადოებასთან ერთად გამოვიტანთ სამსჯავროზე და ერთად გადავწყვეტთ. აბსოლუტურად გაუგებარი არქიტექტურაა. მაგას თუ არქიტექტურა ჰქვია. უნდოდათ, რომ ყოფილიყო ღვინის ჭურჭელი. ღვინის ქვეყანა ვართო, ასე მიპასუხეს, როცა ვაკრიტიკებდი ამ პროექტს. ჰგავს დოქს?! კოსმოსიდან შეიძლება მოგაგონოთ. მაგის გადატანა რთული იქნება. ძალიან ძვირი დაჯდება. რამდენიმე მილიონი დასჭირდება. დაშლაც არ დაჯდება იაფი. ისევე როგორც პარლამენტის შენობაა პრობლემა, ვერაფერს ვერ მიუსადაგეს, გამოუყენებადია. რიყეზე რაც არის, ეს არის ნონსენსი. მახსენდება მიხეილ სააკაშვილის განცხადება, რომ თუ არ იქნებოდა პოლიტიკოსი, იქნებოდა არქიტექტორი. აბსოლუტურად შესატყვისობაში მოდის მისი არქიტექტურული და პოლიტიკური გემოვნება. ეს ამის ძალიან კარგი ნიმუშია. დღესაც ვამბობ, რომ აბსოლუტურად გაუგებარი არქიტექტურაა. შეიძლება მაგათ თანამედროვე ხელოვნებისთვის ყური მოუკრავთ. ძალიან რთულია თანამედროვე ხელოვნება გასაგებად. რამდენიმე წელი ვსწავლობდი და არ დაგიმალავთ, რომ რაც უფრო ღრმად მივდიოდი, მით უფრო კარგად გავიგე, რომ ძალიან რთულია იქ გარკვევა. ზოგიერთ ქართველს თუ გაუგებარი და გაურკვეველია, ეს ჰგონია ხელოვნება, მაგრამ ასე არ არის, – მიაჩნია პრემიერ-მინისტრს.

საქართველოში ევროკავშირის კულტურის კვირეული გაიმართება

ეკა ირემაშვილი

4 ნოემბრიდან საქართველოში ევროკავშირის კულტურის კვირეული აიღებს სტარტს და 14 ნოემბრამდე გაგრძელდება. კვიერულის ორგანიზატორი საქართველოში ევროკავშირის წარმომადგნელობაა. კვირეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება და მას „ვისაუბროთ წიგნებზე“ ეწოდება. პროექტი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან და კულტურის ინსტიტუტებთან ერთად გაიმართება.

თბილისთან ერთად ღონისძიება „ვისაუბროთ წიგნებზე“ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც მოეწყობა, მათ შორის, გორში, ქუთაისში, თელავში, ზუგდიდში, ბოლნისსა და ბათუმში.

– „ვისაუბროთ წიგნებზე“ არის მრავალი ღონისძიებისაგან შემდგარი ინიციატივა, რომლის მიზანია კითხვის წახალისება, ლიტერატურული ცოდნის გაღრმავება, ევროპული ლიტერატურის უკეთ გაცნობა, ბიბლიოთეკების მნიშვნელობის კიდევ ერთხელ ხაზგასმა. თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში წიგნების გამოფენა-გაყიდვა მოეწყობა. მკითხველს შესაძლებლობა ექნება, ფასდაკლებით შეიძინოს ევროპელი ავტორების ნაწარმოებები. კვირეულის ფარგლებში საჯარო სკოლებში შეიქმნა „ახალგაზრდა მკითხველთა კლუბები“, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაეცნონ კლასიკურ და თანამედროვე ევროპელ მწერლებს. მოსწავლეები ევროპულ ლიტერატურასთან დაკავშირებული თხზულების კონკურსში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ. კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები ევროპელი ავტორების ქართულად ნათარგმნი ნაწარმოებებით დაჯილდოვდებიან, – აღნიშნავენ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები.

მათივე ინფორმაციით, კვირეულის ფარგლებში ჩატარდება დისკუსიები უნივერსიტეტებში, სკოლებსა და წიგნის მაღაზიებში, რომლებიც საშუალებას მისცემს მონაწილეებს, გაიღრმავონ ცოდნა კლასიკურ და თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაზე და შეხვდნენ ქართველ მწერლებს, ლიტერატურის კრიტიკოსებს, ჟურნალისტებს, მთარგმნელებს, გამომცემლებს. კვირეულში ჩართული იქნებიან რისმაგ გორდეზიანი, ლაშა ბაქრაძე, დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე, პაატა შამუგია, ნანა ტონია, დათო პაიჭაძე, სანდრო ასათიანი, ირმა ტაველიძე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ შეხვედრებსა და დისკუსიებში მოდერატორის ან მოწვეული სტუმრის რანგში.

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. უკვე გამოცხადებულია ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების ფესტივალი „ევროკავშირი ჩემს სამეზობლოში“. მასში მონაწილეობა 14-დან 25 წლამდე მსურველებს შეუძლიათ. მათთვის მთავარი მოთხოვნაა, საფესტივალოდ ევროკავშირის თემაზე მობილური ტელეფონით გადაღებული ფილმები წარადგინონ.

– მონაწილეებმა უნდა შექმნან მოკლემეტრაჟიანი ფილმები, რომელშიც უნდა გადმოსცენ მათი დამოკიდებულება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რომელიმე პროექტის შესახებ. ფილმში ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, თუ რა როლი შეასრულა ამ პროექტმა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნამუშევრები კონკურსანტებმა სპეციალურად შექმნილ ვებგვერდზე უნდა ატვირთონ. საუკეთესო ნამუშევრებს სამწევრიანი ჟიური შეარჩევს, რომელიც საზოგადოების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტებისგან დაკომპლექტდება. გამარჯვებულების ვინაობა 30 ნოემბერს თბილისში გამართულ ღონისძიებაზე გახდება ცნობილი. პირველ ადგილზე გასულს გადაეცემა ეფლ აიფონ 5, მეორე ადგილზე გასული მიიღებს აიპად მინის, ხოლო მესამე ადგილზე გასული პანასონიკის ციფრული კამერით დასაჩუქრდება, – აცხადებენ ევროკავშირის დელეგაციაში.

სამწუთიანი ფილმების ფესტივალი ევროკავშირის დელეგაციამ საქართველოში შარშან გამოაცხადა და მის სახელწოდებად შეირჩა „ევროკავშირი ჩემს სამეზობლოში“. შარშან ამ კონკურსში ქუთაისელმა ლაშა მესხმა, ბათუმელმა ნინო ბეჟანიძემ და თბილისელმა თეკლე კვარაცხელიამ გაიმარჯვეს. ვინ გახდება წელს სამწუთიანი ფესტივალის გამარჯვებული 15 ნოემბერს გახდება ცნობილი.

კულტურის სამინისტრო დევნილ ბავშვებზე იზრუნებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნარი“ მიზანია ახალგაზრდა მკითხველის მხატვრული ლიტერატურით დაინტერესება, კითხვის უნარისა და გემოვნების განვითარება, ცოდნის გაღრმავება, ქართველ და უცხოელ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა. გამარჯვებულები სიგელებით, სამახსოვრო პრიზებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. წელს ლიტერატურულ მარათონში კონკურსი გამოცხადდა 6 ნომინაციაში: ქართული ისტორიული რომანი, კლასიკოსები, ქართული მოთხრობა, პოეზია უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ინტელექტუალური მკითხველი, ქართული საბავშვო მოთხრობა. ლიტერატურული მარათონი „მწამს მომავალი სახე მცინარი“ ამბროლაურში მეათე წელია ტარდება. წელს ის 31 ოქტომბერს დაიწყო და 2 ნოემბერს დასრულდა. მასში 12-დან 21 წლამდე 140 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ლიტერატურული მარათონის გარდა, პროექტმა გაერთიანა სხვადასხვა ღონისძიებებიც. ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ერთი მსახიობის თეატრმა უკვე ითამაშა სპექტაკლი „გოდერძი ჩოხელი“, პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა კი ამბროლაურში სტუმრობა „ტერენტი გრანელით“ დაგეგმა. კონკურსში ჩაერთო ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკაც. დაჯილდოების ცერემონიამდე კი მსურველებს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლის „ქრისტეს“ ნახვაც შეეძლოთ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მუსიკალური მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს. სამინისტროს მხარდაჭერით, სამეფო უბნის თეატრში, ჯგუფის „ირიაო“ საპრეზენტაციო კონცერტი გაიმართა. კონცერტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ჯგუფის მუსიკალური ხელმძღვანელია კომპოზიტორი დავით მაღაზონია, შესაბამისად ჯგუფის მიერ შესრულებული ყველა კომპოზიცია საავტოროა, ორიგინალური და წარმოადგენს ქართული ხალხური მუსიკისა და ელექტრონული ჯაზის სინთეზს.

ეთნო-ჯაზის მიმართულების ჯგუფი ,,ირიაო“ წელს გაზაფხულზე შეიქმნა. იდეა ეკუთვნის პროდიუსერ გიორგი იმნაძეს, რომელმაც სხვადასხვა ჯგუფებიდან პროფესიონალი მუსიკოსები მოიწვია. 11 მარტს ,,ირიაომ“ საპილოტო კონცერტი გამართა ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში, სადაც შესრულდა ექვსი სიმღერა და დიდი წარმატებაც მოჰყვა. კულტურის სამინისტროს, კერძოდ კი მინისტრის მოადგილის ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის ინიციატივით დაიგეგმა აღნიშნული კონცერტი სამეფო უბნის თეატრში. ,,ირიაო“ აუდიტორიის წინაშე წარსდგა სრული პროგრამით, რომელზეც შესრულდა 14 მუსიკალური ნაწარმოები.

ჯგუფმა „ეგარი“ განახლებული კონცერტი „ტაბლაში“ გამართა. „ტაბლა“ თბილისში საერთაშორისო კორპორაციამ „აი სი არი“ წარმოადგინა. ბრენდის უპირატესობად მიჩნეულია ლოკაცია, ნატურალური პროდუქტი, მაღალი ხარისხის სერვისი, ხარისხიანი მუსიკალური პროგრამა, დახვეწილი ინტერიერი, ოჯახური გარემო და ინდივიდუალური მიდგომა ყველა მომხმარებელთან მათი სურვილების გათვალისწინებით. საერთაშორისო კორპორაცია საქართველოს ბაზარზე 10 წელია მოღვაწეობს და წარმოადგენს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების ევროპულ ბრენდებს. ჯგუფის „ეგარი“ კონცერტის თანხლებით წარმოდგენილ იქნა კერძების მრავალფეროვნება დასაგემოვნებლად ფოლკლორული მუსიკალური შოუს თანხლებით.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში იაპონური მუსიკალური ჯგუფის „ჰანამა“ კონცერტი ჩატარდა. ღონისძიება იაპონიის საელჩოს ეგიდით ჩატარდა.

– ცუგარუ-შიამისენის შემსრულებელმა იჩიე ჰანავამ და მევიოლინე ნაცუმი ოკიმასუმ მუსიკალური ჯგუფი ოთხი წლის წინ ჩამოაყალიბეს. ჯგუფი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა მუსიკალურ საშემსრულებლო ჟანრში. პოპ-ბგერების და მელოდიების ჰარმონიული შერწყმით ჯგუფი „ჰანამას“ ცდილობს გადმოსცეს თითოეული ინსტრუმენტისათვის დამახასიათებელი ჟღერადობა და ამავდროულად მოახდინოს მათი ჰარმონიზაცია. სამი წლის წინ პირველ ნეო კლასიკურ საერთაშორისო კონკურსზე, იაპონელმა მუსიკოსებმა წამახალისებელი პრიზი მოიპოვეს, ჯგუფმა მიიღო „ზეციური-ხელოვნის“ ჯილდო ტოკიოს მეტროპოლიტენის მთავრობისაგან – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

იაპონურმა მუსიკალურმა ჯგუფმა „ჰანამას“ კონცერტი საქართველოს ორ რეგიონში ქუთაისსა და ბათუმშიც დაგეგმა. ქუთაისში ჯგუფის კონცერტი ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში ჩატარდა, ხოლო ბათუმში ჯგუფი „ჰანამა“ საკონცერტო პროგრამით ბათუმის ხელოვნების ცენტრში წარდგა.

სჯანგოხდი



1. ეკალმუხა (საბა); 2. ბუვიეს რომანი; 3. „... დამაცადე!“; 4. ჯეი ...; 5. ქოჩრიანი თუთიყუში; 6. ... მერფი; 7. ხანა, ეპოქა; 8. პატარა ჩიტი; 9. ... პუგაჩოვა; 10. ცხენების ჯოგი; 11. მეგრული საალერსო სიტყვა; 12. პითონი; 13. მათემატიკური დებულება; 14. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 15. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 16. დაწყებითი სკოლა (ძვ.); 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. „ოტელოს“ პერსონაჟი; 19. ბუნებრივი საღებავი; 20. მხარე დასავლეთ საქართველოში; 21. თვალების უნებური სწრაფი მოძრაობა; 22. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 23. ოიდიპოსის დედა და მეუღლე; 24. ერთგვარი ბალახი; 25. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 26. თარაშ ემხვარის ცხენი; 27. იუპიტერის თანამგზავრი; 28. ... სიბელიუსი; 29. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 30. მწკრივი; 31. ასო „რ“-ს სახელწოდება; 32. ტიბეტური ხარი; 33. ტაბლეტი; 34. მაიმუნის სახეობა; 35. მშვენიერი ელენეს ქმარი; 36. ... გიბსონი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფაგი; 2. „ხიხვი“; 3. ერაყი; 5. ზარაფი; 6. ტრომბონი; 9. ტროპოსფერო; 10. ბაქშტაინი; 11. ატკინსონი; 14. ფხა; 16. ბერიკა; 18. აზია.

თარაზულად: 1. ფრანტი; 4. რუზველტი; 7. ახტალა; 8. ყარსაღი; 12. „ნორმა“; 13. ეფენდი; 15. იშხანი; 17. უფა; 19. ბრონტოზავრი; 20. ზონდი; 21. „იამაჰა“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კები; 2. დაფნა; 3. იახტა; 4. ჩორთი; 5. ნუნისი; 6. ტრანზიტი; 8. იქთიოლოგია; 10. „ბუდვაიზერი“; 11. კისინჯერი; 14. ბოლიდი; 15. კაჭიჭი; 16. ოპიზა.

თარაზულად: 1. კუპდარი; 4. „ჩინეჩიტა“; 7. ბლეფი; 9. რაგბი; 12. ხიზანი; 13. ათოსი; 14. ბანერი; 17. კოტეჯი; 18. გვერდწითელი; 19. გაბროვო; 20. შამანი.

გაეროს უშიშროების საბჭომ მალიში ფრანგი ჟურნალისტების მკვლელობის საქმე განიხილა

მალიში, ფრანგული რადიოსადგურის „ერეფაის“ ჟურნალისტების მკვლელობის საქმე გაეროს უშიშროების საბჭომ განიხილა.

უშიშროების საბჭოს წევრები მალის ხელისუფლებას ჟურნალისტების მკვლელობაში ეჭვმიტანილთა დასჯისაკენ მოუწოდებენ.

„გაეროს კრების წევრები ხაზს უსვამენ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად, ჟურნალისტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროფესიონალი თანამშრომლები და მათი პერსონალი, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების რაიონებში საფრთხის შემცველი სამუშაოთი არიან დაკავებულნი, სამოქალაქო პირებად ითვლებიან და პატივისცემითა და უსაფრთხოებით უნდა სარგებლობდნენ“, – აღნიშნულია გაეროს უშიშროების საბჭოს განცხადებაში.

მებრძოლებმა რადიოსადგურის ჟურნალისტები ქალაქ კიდალში გაიტაცეს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2 ნოემბერს განაცხადა, რომ ორი ფრანგი ჟურნალისტია მოკლული.

პროვინცია კიდალის გუბერნატორის, პოლკოვნიკ ადამ კამისოკოს განცხადებით, ჟურნალისტები ოთხმა შეიარაღებულმა მამაკაცმა გაიტაცა.

ორივე ჟურნალისტი მალის დედაქალაქ ბამაკოდან კიდალში სამშაბათს ჩავიდა.

როიტერის ინფორმაციით, გატაცებამდე ჟურნალისტები ამბოხებული ტუარეგების წარმომადგენლისგან იღებდნენ ინტერვიუს.

ბი-ბი-სი იტყობინება, რომ მალიში მიმდინარე წლის ივლისში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მიუხედავად, ვითარება არასტაბილურია და ამბოხებულები ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში პერიოდულად თავდასხმებს აწყობენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

რუსეთისა და იაპონიის ისტორიაში პირველად, ტოკიოში საგარეო და თავდაცვის მინისტრების შეხვედრა მიმდინარეობს

რუსეთისა და იაპონიის ისტორიაში პირველი შეხვედრა, ორი ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებისა ტოკიოში მიმდინარეობს. შეხვედრა 2+2-ის ფორმატში იმართება.

„ვართ მონაწილეები მართლაც მნიშვნელოვანი შეხვედრისა. ეს არის მაჩვენებელი რუსეთისა და იაპონიის ურთიერთობებში ახალი ეტაპის დაწყების“, – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

მხარეებმა უკვე მოასწრეს შეთანხმება ერთობლივი სამხედრო სწავლებების ჩატარების შესახებ. ასევე მიღწეულია შეთანხმება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ კონსულტაციების გამართვისა.

ტოკიოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტის პარალელურად იაპონიისათვის ჩრდილოეთის ტერიტორიების, ანუ კურილიის კუნძულების დაბრუნების მოთხოვნით აქცია მიმდინარეობს.

იაპონიის დედაქალაქში დადიან ავტომობილები, საიდანაც ხმამაღლა ისმის: „დააბრუნეთ ჩრდილოეთის ტერიტორიები!“

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფუმიო კისიდა აცხადებს, რომ მას აქვს სურვილი რუსეთთან სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდეს, თავს მხრივ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მოსკოვი დაძაბული მუშაობისათვის მზადაა.

შეხვედრის პარალელურად კურილიის კუნძულებზე მიწისძვრა მოხდა. მისი სიმძლავრე 5,2 მადნიტუდას შეადგენდა.

კურილის კუნძულები, ?ულკანური არქიპელაგი წყნარი ოკეანისა და ოხოტის ზღვის საზღვარზე, კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილოეთით, გადაჭიმულია 1 300 კმ-ზე. ადმინისტრაციულად შედის რუსეთის სახალინის ოლქში. არქიპელაგში 56 დიდი და სხვა უმრავი პატარა კუნძულია. მათი საერთო ფართობი დაახლოებით 15 600 კმ -ია, მოსახლეობა 19 000 ადამიანი (2010).

კუნძულები მთლიანად რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება, მაგრამ მის სამხრეთით მდებარე ორ დიდ კუნძულს, ისევე როგორც პატარა კუნძულებს – სიკოტანსა და ჰაბომაის, მოითხოვს იაპონია. ეს დავა „კურილის კუნძულების კონფლიქტითაა“ ცნობილი.

პაკისტანში თალიბანის ლიდერი მოკლეს

აშშ-ის უპილოტო საფრენი აპარატის მიერ მიტანილი ავიაიერიშის შედეგად, ლიკვიდირებულია პაკისტანის თალიბანის მოძრაობის ლიდერი ხაკიმულა მუხსუდი. აღნიშნული ინფორმაცია ბი-ბი-სის თალიბანის მოძრაობის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა დაუდასტურა.

ადგილობრივი წყაროების ინფორმაციით, უპილოტო აპარატიდან მასხუდის ავტომობილზე მიტანილი იერიშის შედეგად, ავტომანქანაში მყოფი კიდევ ოთხი ადამიანი დაიღუპა. მათ შორის ორი მასხუდის პირადი მცველია.

პაკისტანის ხელისუფლებამ პროტესტი გამოთქვა მის ტერიტორიაზე ამერიკული უპილოტი მფრინავი აპარატების გადაადგილების გამო.

პაკისტანის თალიბანის მოძრაობის წარმომადგენელთა განცხადებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხან საიდი გახდება, რომელიც საჯნას მეტსახელითაა ცნობილი.

როიტერის ინფორმაციით, მეხსუდის დაკრძალვა დღეს, ადგილობრივი დროით 15:00 საათზე, ჩრდილოეთ ვაზირისტანის დედაქალაქში – მირანშახში გაიმართება.

პაკისტანის ხელისუფლება გაღიზიანებულია პაკისტანელი თალიბების ლიდერის ხაკიმულა მეხსუდის მკვლელობის გამო. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩაინდხური ნისარ ალი ხანმა განაცხადა, რომ ლიდერის მკვლელობამ ნულამდე დაიყვანა ბოევიკებთან მოლაპარაკების შესაძლებლობას.

ახსანიშნავია, რომ პაკისტანელი თალიბების ლიდერი მოკლული იქნა სწორედ იმ დროს, როდესაც პაკისტანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თალიბებთან მშვიდობიან მოლაპარაკებებს იწყებს და მოსალაპარაკებლად დელეგაციის გასაგზავნად ემზადება.

პაკისტანში უსაფრთხოების ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან მოყვანილნი და თალიბების „პასუხს“ ელიან.

ამ ფონზე, დაზვერვის სამსახურისა და საველე მეთაურების ინფორმაციით, პაკისტანელი „თალიბები“ ამჟამად შეხვედრას მართავენ, რომელზეც ახალი ლიდერი უნდა აირჩიონ. ინფორმაციას ამის შესახებ „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

„თალიბების კომიტეტის ხელმძღვანელობა დაუდგენელ ადგილზე შეიკრიბება, რომელიც ჩრდილოთ ვაზირისტანთან ახლოს იქნება“, – წერს „ფრანს პრესი“.

თავად „თალიბები“ აცხადებენ, რომ მათი ლიდერის ცხედარი „დამახინჯებულია, თუმცა მისი ამოცნობა შეიძლება“.

თალიბანი, ან თალიბანის მოძრაობა, სუნიტური ფუნდამენტალისტური პრო-პაშტუნთა მოძრაობაა, რომელიც თითქმის მთელ ავღანეთს მართავდა 1996-2001 წლებში.

TV პროგრამა

ოთხშაბათი
4 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებითი-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – "ნოსტალგია" – მხ/ფ "**გაალეთ პოლიციაა!**" (ფ.ნუარე) **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ (პ/ე) **22.20** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.20** მხ/ფ "**კუნძული**" (ს.იოჰანსონი) **01.40** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "კარიბის კუნძულები" **08.30** მხ/ფ "**ჰინეტუ I**" **10.15** მხ/ფ "**კუზიანი**" (ჟ.მარე) **12.00** მხ/ფ "**ბუმი-2**" (ს.მარსო) **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.05** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ციკი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) **14.40, 15.05** ფულთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა _ პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ "**ნედ კელი**" (ო.ბლუმი) (ტიტ)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩვენი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიბების დრო**" **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.30** მხ/ფ "**ზოლიანი დოლი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**პასტორალი**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" **6** სერ. **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**ერთი რამის სიყვარული, დაფარეა რომ სჭირდება**" **16.55** კონცერტი - ი.ს.ბახი **18.10** დიდ ხარშენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** დოკ/ფ "აჩაჩა ურემი" **19.35** მხ/ფ "**წარსული ზაფხული**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** დოკ/ფ "სამი საქართველო" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე"- პატრიარქის მოგზაურობა მესტიისა და სვანეთის ეპარქიაში **23.45** მოკ/ფ "**ბზიანეთი**" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**"

მაესტრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **10.15 სერიალი "რთული გზა"** (გამ) **12.50** თოქ-შოუ პოლიტმეტრი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური ამბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი". 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე". 23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

როგორია ლაშა ბუღაძის მკვდარი ზონა?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჰაგან ჩახალიანს, გულზე შემომეყარა და ერთბაშად მიმავიწყდა, რის დაწერაც მინდოდა. ვფიქრობდი, ცოტას შევაქებმეთქი, გაკეთებულს დავუფასებ (მართალია, არანორმალურად გვანერვიულა, მაგრამ, ფაქტია, რაღაც ხომ მაინც გააკეთა ამ 9 წელიწადში), მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა სრულიად ჩამიკვდა მისი საქმიანობის პოზიტიურად შეფასების სურვილი. არ ველოდი, თუკი ასე სამარცხვინოდ დაასრულებდა თავის პრეზიდენტობას! ვინც უყურა სააკაშვილ-ჩახალიანის წაკინკლავება-კონფლიქტს, ის, ალბათ, დამეთანხმება, რომ ბ-ნი ჩახალიანის ტექსტები ბევრად უფრო ობიექტური და, მეტიც, კონსტრუქციული იყო, ვიდრე ბ-ნი სააკაშვილის. თუმცა სააკაშვილს არც ესმოდა, რას ეუბნებოდა ეს კაცი (ამ დროს, თავიდან ეჭვი გამიჩნდა, იქნებ მშვიდად მოუსმინოს-მეთქი), უცებ ისევ ისტერიულ, ბანალურ ტელეპოპულისტ და ვითომ პატრიოტ პოლიტიკოსად გადაიქცა და ჯერ არაადეკვატურად აყვირდა, მერე კი, ოდნავ აჭრილი, „სეპარატისტო ლაჩრებო“-ს ძახილით დაედევნა „საქართველოს ერთ მუჭა მტრებს“.

ალბათ სიტყვა დაედევნაც ბრჭყალებში უნდა ჩამესვა, რადგან, რა ვქნათ, ყველას გვახსოვს, როგორი დადევნებაც იცის პრეზიდენტმა. ჰო, სამწუხაროდ, ის იდიოტური ტელეშოუ გამახსენდა, ვითომ რომ გააქცია რუსი სამხედროები 2008 წლის ომამდე რამდენიმე თვით ადრე...

ამ დროს, რა თქვა ტყუილი ვაჰაგან ჩახალიანმა? მე არ ვიცი, გულში რა უდევს ამ ადამიანს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სომხური ეკლესიები თბილისის ცენტრშიც კი ინგრევა და ამაზე კაცშვილი არ იღებს ხმას. რა შუაშია აქ სეპარატიზმი? თუკი ამას სეპარატიზმი ჰქვია, მაშინ მეც სეპარატისტი და საქართველოს მოძულე ვყოფილვარ, რადგან მეც მისნაირად ვფიქრობ, რომ დიდი სომეხი მწერლით, ოვანეს თუმანიანით, ქართველებმა და სომხებმა ერთად უნდა ვიამაყოთ, და მეც მისნაირად ვბრაზობ ჩემი უმწეობის გამო, რომ ვერაფერს ვშვრები, როცა ვხედავ, როგორ ნადგურდება ჩვენს თვალწინ თუნდაც კოტე აფხაზის ქუჩაზე მდგარი ნორაშენის სომხური ეკლესია.

თუმცა ამ შემთხვევაში ალბათ მხოლოდ სააკაშვილს არ ეთქმის საყვედური – ყველამ კარგად უწყის, ვინაა საქართველოში კათოლიკეებისა თუ სომხების ეკლესიების ელეგანტურ-ჯიქური მიტაცებით დაკავებული. და თუკი წართმევა არ გამოვა, დაე, დაინგრეს, ვის რაღად უნდა...

ბრაზი ან, თუ გნებავთ, იგივე სეპარატიზმი ამ აგდებულობის, ქედმაღლობის, შეურაცხმყოფელი უცხოობის, დისტანციის და ვითომ პატრიოტული, სინამდვილეში კი ჩვეულებრივი კრიმინალიდან, უკანონობიდან ჩნდება, როცა შენს თანამოქალაქეს ამა თუ იმ განმასხვავებელი ნიშნის გამო არ მიიჩნევ თანაბრად.

ვერც ერთმა ჯაშუშურმა თუ ზეჯაშუშურმა სპეცსამსახურმა ვერ დაგვიშავა იმდენი, რამდენიც ჩვენ, ქართველებმა დავუშავეთ ერთმანეთს. ეს ხომ ყველამ ვიცით!

ფრთხილად ვიყოთო, მოგვიწოდებდა ნარბენი სააკაშვილი. ამ დროს, ყველაზე არაფრთხილად თვითონ იქცეოდა გუშინ. და რა, პირველად? გუშინ ვიფიქრე – კიდევ კარგი, ერთი დღეღა დარჩა, იქნებ ცოცხალ გაკვეთილად გამოდგეს მომავალი მმართველებისთვის: აი, რა ცუდია, როცა პრეზიდენტი თავადაა გამხლეჩი! როცა თავად ხდება სეპარატისტი... ხომ გახსოვთ ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა?

მისი მთავარი პრობლემაც სწორედ ეს იყო: ასეც ვერ იქცა მთელი ქვეყნის პრეზიდენტად, და ამ ვერქცევას თვითონვე შეუწყო ხელი. ხასიათია ასეთი, რას ვიზამთ. თუმცა ეს გამოხდომა არა მხოლოდ სულელური და უგემოვნო იყო, არამედ „შავრაზმული“ და შოვინისტურიც. ასე არ უნდა იქცეოდნენ პრეზიდენტები. სამწუხარო ფინალია“.

ავთანდილ ვარსიმაშვილმა ტრილოგიაზე მუშაობა დაასრულა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ავთო ვარსიმაშვილი:

– ეს არის ჩვენი ბოლო ნამუშევარი, ტრილოგიის ბოლო ნაწილი – „იდიოტოკრატია“, „ყველაფერი კარგად იქნება“ და „სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა“. მაყურებელმა იმიტომ უნდა ნახოს ეს ფილმი, რომ დაისვენებს და კარგ მუხტს მიიღებს, თან ნახავს არაჩვეულებრივ სამსახიობო შემადგენლობას, თავისუფალი თეატრის ვარსკვლავებს და მათთან ერთად ნინო ანანიაშვილს და ნინო ქათამაძეს. ჩვენი გენიალური ბალერინა არ ცეკვავს და არაჩვეულებრივად თამაშობს. ეს მისი დებიუტია კინოში. რაც შეეხება ნინო ქათამაძეს, ისიც არ მღერის ამ ფილმში და თამაშობს. ეს ყველაფერი ერთად ქმნის იმის საფუძველს, რომ მაყურებელი მოვიდეს, ფილმი ნახოს და შეაფასოს. ეს არის აბსურდული კომედია, ძალიან მხიარული, მაგრამ ფინალში ხდება ცოტა ტრაგიკულიც კი. ფილმი არის იმაზე, თუ რატომ გვიჩნდება ჩვენ ამ ქვეყნის მოქალაქეებს ამ ქვეყნიდან გაქცევის სურვილი. რა პრობლემები გვაქვს იმისთანა, რომ აქედან წასვლა გვინდა. ჩვენს ფილმში ვისაც ამის რეალიზება შეუძლია, მათ წურბელებივით ეწებებიან ამ სახლის ყველა მაცხოვრებლები.

კახა მიქიაშვილი:

– ეს არის ახალი ფილმი ავთო ვარსიმაშვილისა და მას ჰქვია „სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა“. თავისუფალი თეატრის მსახიობებთან ერთად ამ ფილმში მონაწილეობს მსოფლიო პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელმაც დაამტკიცა, რომ კარგი ცეკვის გარდა, მას არაჩვეულებრივი მსახიობობაც შეუძლია. ის მაყურებელი, რომელიც ჩვენს წინა ფილმებსაც ნახულობდა, შეჩვეული იყო ექსცენტრიულ და აბსურდულ კომედიებს, ახალ ფილმშიც ეს ჟანრი დარჩენილია. ბატონი ავთოს ყველა ფილმი მომწონს, მაგრამ ეს განსაკუთრებით მომწონს, რადგან ამ იუმორში ის რეალობაც არის დანახული, რომელშიც ყველას გვიწევს ცხოვრება. აქ არ არის აქცენტი მხოლოდ იუმორისა და სიცილზე. მაყურებელი კი იცინის, მაგრამ ბოლოს ხვდება, იმიტომ კი არ იცინოდა, რომ პერსონაჟები იყვნენ სასაცილო, არამედ ჩვენს რეალობას უყურებენ ამ ფილმით.

აპოლონ კუბლაშვილი:

– არაჩვეულებრივი სიტუაციებიც არის ამ ფილმში, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ჩვენს ყოველდღიურობაშიც შეიძლება გვქონდეს. სულელური არაჩვეულებრივი სიტუაციების შედეგად ყველანი ერთად ვიპარებით. ნამდვილად კარგი საყურებელი ფილმია, ბევრისთვის ეს კომედიაა და მარტო სასაცილოდ მოვა. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი კომედიაა, ჩემთვის ის ძალიან სევდიანია.

ნიკა წულუკიძე:

– ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, როცა ბატონმა ავთომ შემომთავაზა, რომ მიმეღო ამ ფილმში მონაწილეობა, ცოტა ვინერვიულე. გენიალურ მსახიობებთან ერთად მომიწია გადასაღებ მოედანზე ყოფნა. მათ შორის იყვნენ ნინო ანანიაშვილი და ნინო ქათამაძე. სრულიად განსხვავებულია ეს ფილმი. ბატონი ავთოს ფილმებს შორის, ყველაზე უფრო საინტერესოა. ნინო ანანიაშვილის ისეთი საინტერესო ნამუშევარია, გეგონებათ კინოვარსკვლავია. იგივე შემიძლია ვთქვა ნინო ქათამაძეზეც. გოგა ბარბაქაძე არაჩვეულებრივია. დღევანდელ რეალობაში სამწუხაროდ, მსახიობები სახასიათო გმირებს ვერ ქმნიან, როგორც ადრე იყო ქართულ კინოში, გოგა კი ამ ფილმით აჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია სახასიათო გმირების შექმნა დღევანდელობაში. რაც შეეხება ჩემს გმირს, ერთი პატარა როლი მაქვს და მეამაყება, რომ ასეთი ადამიანების გვერდით ვიდექი.

სამგლოვიარო განცხადებები

ნანა ბოკუჩავა, გოგი, დათო ჯინჭარაძეები, გუგა დევდარიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან საზოგადოების საუკეთესო ნაწილის თვალსაჩინო სახის, ამაღლებული სისადავის, ღირსეული მამულიშვილის

კიტა ნიკოლოზის ძე შავიშვილის

გარდაცვალებას.

უფალმა აამაღლოს ზეციურ სამუდამო სასუფეველში კეთილშობილი პიროვნების ნათელი სული!

მეუღლე თამაზ კუჭავა, შვილი ნინო კუჭავა, სიძე დათო ჭიჭინაძე, შვილიშვილები თამაზ იორაშვილი, ბარბარე ჭიჭინაძე, ძმა ვაჟა რუსიშვილი, რძალი ლელა აბაშიძე, მძახლები ლევან და ნათელა ჭიჭინაძეები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა რუსიშვილი-კუჭავა

პანაშვიდი: 3, 4 ნოემბერს, 16 საათზე, თბილისი, ატენის 18ა, II სადარბაზო, VII სართული.

გამოსვენება: 5 ნოემბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6719	ევრო — 2,2614
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6759	100 რუსული რუბლი — 5,1953

ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

წარმატებული მეცნიერი მაგალი საჯაია კიბოს წამლის აღმოჩენის ზღურბლზე დგას, მაგრამ მოულოდნელად თავს იკლავს. გამომძიებელ ჯუანშერ მიგრიაულს თვითმკვლელობის არ სჯერა, მაგრამ მკვლელობის დამამტკიცებელი სამხილები არ ჩანს.

ცოტა ხნის შემდეგ ძარცვავენ ზურაბ ხიდურელის ბინას. ზურაბ ხიდურელი იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, რომელშიც მაგალი საჯაია მუშაობდა.



რამდენიმე დანაშაული ერთმანეთში იხლართება. ჯუანშერ მიგრიაული დარწმუნებულია, რომ მათ შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ამ დროს თავად გამომძიებელს უცნობი პირები იტაცებენ.

ვითარება კრიტიკული ხდება...

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი
ტომი 2 ..... შავი ვარდი

ასტროპროგნოზი 4 ნოემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ცხოვრება გეცვლებათ და გიხარიათ. **ქალწული** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** – სიმძიმე მოგეხსნებათ, მთლიანობაში მშვენიერი დღეა. **მშვილდოსანი** – არავის აყვეთ, საკუთარ გულს მისდიეთ. **თხის რქა** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **მერწყული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** – სახლში დიდი სიხარული გელით, მოემზადეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი

თარაზულად: 6. ჩოგბურთის გუნდის მწვრთნელი; 7. მოყვითალო პიგმენტი; 8. პოლიტიკური გაერთიანება; 9. ხის მოჭრისას მიწაში ჩარჩენილი ნაწილი; 10. შტატი აშშ-ში; 11. თვითმფრინავიდან რითიც ხტებიან; 15. ჭიები, უმეტესად პარაზიტები; 17. იგივეა, რაც მელოტი; 19. რუსი კლასიკოსი მწერალი; 21. ურანის თანამგზავრი; 22. ფსიქიკურად დაავადებული (ბოდვები, ჰალუცინაციები); 23. ტრამვაის მძღოლი.

შვეულად: 1. მცენარე დამუხლული ღრუ ღეროთი; 2. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 3. პლანეტის სამოძრაო გზა; 4. რომის პაპის გვირგვინი; 5. მთავრობის წევრი; 8. ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებისათვის ფერის მიმცემი ნივთიერება; 12. ფირნიში; 13. შურისძიების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მშობიარობის ნაადრევი ხელოვნური შეწყვეტა; 16. მასობრივი, უმეტესწილად საპროტესტო თავყრილობა; 18. შემეცნებით-გასართობი საშუალება; 20. „... მბორგალი“.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



როგორია ლაშა ბუღაძის მკვდარი ზონა?

ეკა ირემაშვილი

მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე რადიო თავისუფლების ვებ გვერდზე საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება. როგორც ცნობილია, მწერლის პროტესტი თამაზ ტყემალაძის გადაწყვეტილებამ გამოიწვია, რომელიც გოგი გვახარიას გადაცემის „წითელი ზონა“ დახურვას შეეხებოდა. ლაშა ბუღაძის გარდა, ეს გადაწყვეტილება რიგითმა მაყურებლებმაც გააპროტესტეს და აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ხალხის ფულით ფინანსდება და ამიტომ არხის ხელმძღვანელობამ საზოგადოებრის აზრი უნდა გაითვალისწინოს. მოგვიანებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელმა გადაწყვეტილება შეცვალა და გადაცემა ეთერში დატოვა.

ლაშა ბუღაძის პოზიციას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„2451 წელი. თბილისი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ე.წ. გვიანდელ ჰომინიდთა საზმაუს ტერიტორიაზე აღმოჩენილია პირველი არხის მიძინებულ მარად უსუფთაო ვულკანად ქცეული ტუალეტის ნაშთები და ევოლუციის მიღმიერი საზმაუს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უკიდურესად ადრეული (პრეჰომინიდური) თავის ქალა (რიგით – მეექვსე).

საზმაუს ტუალეტის ნაშთებში აქტიურად წარმოებს ქიმიურ-დიქლოფოლოგიური წმენდა, თუმცა ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ ოდესმე სრულად მოხდება საზმაუს ტუალეტის ნაშთების დეზინფექცია-ამოტუმბვა. მოსაქმულის კოეფიციენტი აქმეტისმეტად მაღალია – საუკუნეების წინ ნასაქმარი დღემდე ავრცელებს ტოქსიკურ არომატს, თუმცა საუბარია ამ ნაშთების კონსერვაცია-დაფლვაზეც.

ნაპოვნია საზმაუს ოთახებში ჩახარშულ-შედგმული სუპ-ბორშჩის ნარჩენებიც. ფაქტობრივად, არ მოიძებნება სუპის სახეობა, რომელიც საზმაუს ოთახებში არ დამზადებულა. სუნი აქაც კრისტალიზებულია.

რეალურად, ესაა ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლი პლანეტაზე, რომელსაც სპეციფიკური სუნი უდის.

დერეფანში ნაპოვნია გვიან-დიაოხური ეპოქის სამი ცალი ბარელიეფი: „დოდო შონავა ებრძვის საზმაუს დერეფანში მორბენალ გიგანტურ ვირთხას“, „ეკა კვესიტაძე სამარადჟამო გამოუფხიზლებლობით წყევლის რიგით მე-6 გვიან ჰომინიდ თ. ტყემალაძეს“ და „ბორდს ცეცხლოვან ფუნაში აფლობს პოეტი ჰომო-ერექტუსი ი. კაკაბაძე“.

დერეფანშივე ნაპოვნია ემზარ გოგუაძის პოსტ-კიკლადური ხანის ბიუსტი, რომელსაც თან ახლავს წარწერა: „დაფეთებული მამრი. სავარაუდოდ – ჰომინიდი“.

გვხვდება პრეისტორიული კომპიუტერული ეკრანიც, რომელზედაც სამუდამოდაა შეყინული ბორდის წევრ ნ. დანელიას ნამტირალევი სახე. ასევე აღმოჩენილია მეექვსე ჰომინიდ ტყემალაძის ტომობრივი ფიცის ტექსტის დასაწყისი („შვილიშვილებს ვფიცავარ...“ – მერე წაშლილია) და, სავარაუდოდ, მის მიერვე ჩამოწერილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2013 წლის საზმაუს სატელევიზიო ბადის მონახაზი:

„დაუბრუნდეს ეკრანს დიქტორი, უკეთუ... (წაშლილია)“ „11. 00. – „ცეროდენას ეკრანი“. „13. 00. – 16. 00. შესვენება“. „16. 15. – რჩეული ნეკროლოგები“. „17. 00. – პროგრ. „ნაშუადღევს“ (საღამოს გავიდეს, არა უჭირს, ვინ უყურებს)“. „19. 00. – 22. 00. – შესვენება“. „22. 00. – პროგრ. „ვრეშია“. „22. 40. – ქართული მხატვრული ფილმი „რაიკომის მდივანი“ (ახალგაზრდებს მოეწონებათ).

საერთო გადაწყვეტილების თანახმად, „ტყემალაძის ბადე“ საქართველოს ოქროს ფონდში იქნება დაცული. გათხრები კვლავაც გაგრძელდება. გვიანმა ჰომინიდებმა მიგრაცია, სავარაუდოდ, აქ დაასრულეს“.

ლაშა ბუღაძე უკანასკნელად ეხმაურება აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ქმედებებს:

„გამხლეჩი პრეზიდენტი: სულ სხვა რამის დაწერას ვაპირებდი ახლა, მაგრამ როცა ვნახე, როგორ გაეკიდა დაცვით გარშემორტყმული პრეზიდენტი საკაშვილი ყოფილ პატიმარ ვა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ავთანდილ ვარსიმაშვილმა ტრილოგიაზე მუშაობა დაასრულა

ეკა ირემაშვილი

რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა ტრილოგიაზე მუშაობა დაასრულა. ფილმების „იდიოტოკრატია“ და „ყველაფერი კარგად იქნება“ შემდეგ რეჟისორი კინოსმოყვარულებს ახალ ფილმს სთავაზობს, რომელიც ტრილოგიის დასასრულია. „სახლი, რომელიც ფანჯრიდან გაიპარა“, – ასე ეწოდება ნამუშევარს, რომლის პრემიერაც 7 ნოემბერს საქართველოს კინოთეატრებში გაიმართება. თუმცა მანამდე რეჟისორმა მასმედიის წარმომადგენლები შეკრიბა და თავისი ახალი ნამუშევრის დახურული ჩვენება გამართა, რომელსაც ჟურნალისტების გარდა, შემოქმედებითი ჯგუფი და ცნობილი პიროვნებებიც ესწრებოდნენ.

ფილმის ავტორების თქმით, ეს არის აბსურდული შავი კომედია „იდიოტოკრატიის“ და „ყველაფერი კარგად იქნებას“ შემქმნელებისაგან, ეს არის „ვარსსტუდიოს“ კიდევ ერთი ნამუშევარი, სცენარის ავტორი და რეჟისორია ავთო ვარსიმაშვილი, ოპერატორები გიორგი შანიძე, მიხეილ მაღალაშვილი, მხატვარი თეო კუხიანიძე, მონტაჟი დიმა ლობჟანიძე, ხმის რეჟისორი სანდრო მაზიაშვილი, განათება დათო სუხიშვილი. ფილმში მონაწილეობენ ნინო ანანიაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ჯაბა კილაძე, აპოლონ კუბლაშვილი, მარიამ ნადირაძე, კახა მიქიაშვილი, სანდრო მარგალიტაშვილი, ნინო ქათამაძე, ნიკოლოზ სვენტიცკი, სალომე ჭულუხაძე, ხატია ბრაჭული, სლავა ნათენაძე, ვიოლეტა სეზანი, ლაშა გურგენიძე, ნინო დუმბაძე, ნიკოლოზ წულუკიძე.

– რატომ უჩნდება ადამიანებს ქვეყნიდან გაქცევის სურვილი? რას გააკეთებთ თუ ხარ საკრებულოს ბუფეტის მიმტანი და შემთხვევით ერთ მილიონ დოლარს იპოვნი? აახვევ ამ ქვეყნიდან? აახვიე ოღონდ გახსოვდეს, რომ შენთან ერთად ძალიან ბევრი ადამიანი მოინდომებს გაპარვას. თქვენ გელით გენიალური მოცეკვავის ნინო ანანიაშვილის და არაჩვეულებრივი მომღერლის ნინო ქათამაძის ბრწყინვალე დებიუტი მხატვრულ კინოში, გოგა ბარბაქაძის ფანტასტიური აქტიორული გარდასახვა, თანამედროვე ქართული თეატრისა და კინოს უპირველესი ვარსკვლავების შესანიშნავი თამაში, ავთო ვარსიმაშვილის შავი, აბსურდული იუმორი. კომედია ტრაგიკული დასასრულით! – ასეთია ახალი ფილმის სინოფსისი.

– მშვენიერი ფილმია, ძალიან ვიხალისე, დარწმუნებული ვარ ფილმს დიდი წარმატება ელის, – აცხადებს რეჟისორი თემურ ბაბლუანი.

– საოცარი შეგრძნება მქონდა: დამსვეს სავარძელში, ძალიან ბევრი მაცინეს და ფილმის ბოლოს მივხვდი, რომ ვიჯექი სტომატოლოგიურ სავარძელში და ხარხარში ყველა კბილი დამაძრეს, – ამბობს რეჟისორი ანდრო ენუქიძე.

– ქართულ კინოში ასეთი სტილის ფილმი არც მინახავს, გილოცავთ, შესანიშნავია, – მიაჩნია ბუბა ხოტივარს.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

საქართველო ევროპის ჩემპიონია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები რაგბიში ევროპის ჩემპიონი გახდა. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ ბრწყინვალე და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს, მათ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ბელგიის 19-წლამდე მორაგბეთა ნაკრები გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 32:6. ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით, უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 20-წლამდელთა მსოფლიო ალაფის საგზური მოიპოვეს, რომელიც გაისად აპრილში ჰონგ-კონგში გაიმართება.

დავით ვართანიანი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– უბედნიერესი ადამიანი ვარ! ევროპის ჩემპიონები გავხდით და ალაფაზე გავედით. მე უზომოდ ვამაყობ ჩემი ბიჭებით და თითოეულ მათგანს მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო ყველაფრისათვის რაც მათ გასამარჯვებლად გააკეთეს. ამავდროულად მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სამწვრთნელო შტაბს და ყველა ადამიანს ვინც გუნდის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა. ყველას გილოცავთ ამ ბრწყინვალე გამარჯვებას. ეს ქართული რაგბის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ვულოცავ სრულიად საქართველოს!

გიორგი ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

– ყველას ვულოცავ ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას. შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ, ჩვენ კიდევ ერთხელ დავუმტკიცეთ ყველას, რომ ამ ტურნირში გამარჯვება შეგვიძლია. მე უზომოდ ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კარგი და ძლიერი მომავალი თაობა ეზრდება ქართულ რაგბს. დარწმუნებული ვარ, რომ რამოდენიმე მათგანს მალე ვიხილავთ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სამწვრთნელო შტაბს, რაგბის ეროვნულ აკადემიას და ყველას ვინც გუნდის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება მატჩს – პირველ ტაიმში ბიჭებმა ცოტა ინერვიულეს, მაგრამ მეორე ტაიმში მათ შეძლეს ძალების მობილიზება, დაალაგეს თამაში. ალბათ ამ თამაშის უფრო დიდი ანგარიშითაც შეიძლებოდა მოგება, მაგრამ ფინალი ფინალია, რომელსაც თან სდევს დაძაბულობა და ნერვიულობა. რაც მთავარია ბიჭებმა ღირსეულად გაიმარჯვეს, ევროპის ჩემპიონები გახდნენ და მოიპოვეს 2014 წლის აპრილში 20 წლამდელთა მსოფლიო ალაფაზე ასპარეზობის უფლება, რომელიც ჰონგ-კონგში გაიმართება.

მ. ჟ.